ბიბლიოთეკა

Beijing 2008

ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№18 2561) 9 აგვისტო შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი




# მოვდივართ



# დიდი გამარჯვებები გვჭირდება!

**გუშინ**, პეკინში, მსოფლიოს უდიდესი სპორტული ფორუმი - ზაფხულის ოლიმპიური თამაშები დაიწყო...

ჩინეთის დედაქალაქი პლანეტის ყურადღების ეპიცენტრს წარმოადგენდა...

გუშინ საქართველოც მსოფლიოს თვალთახედვის არეში გახლდათ და, სამწუხაროდ, არა სპორტული ბატალიების გამო - ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის შეუნიღბავმა აგრესიამ გამოუცხადებელი ომის ფორმა მიიღო. რუსულმა მოიერიშე თვითმფრინავებმა 8 აგვისტოს არაერთხელ დაარღვიეს ყოველგვარი საერთაშორისო ნორმა და დაბომბეს გორი, ქარელი, ვაზიანი, მარნეული, ფოთი, ბოლნისი...

ქართული საჯარისო ფორმირებები ღირსეულად დაუხვდნენ სეპარატისტებისა და მათი მხარდამჭერების შემოტევას და ძირძველი ქართული მიწისთვის ბრძოლაში თავგანწირვით ჩაებნენ...

სამწუხაროდ, გუშინ განვითარებულ საომარ მოვლენებს მოჰყვა მსხვერპლი როგორც ჯარისკაცების, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის მხრიდან...

„ლელო“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს.

ასეთ ვითარებაში, როცა მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილია კონფლიქტის ზონისკენ, იქ, სადაც დღეს წყდება საქართველოს ბედი, ძალზე ძნელია, ხალხს მშვიდად ესაუბრო, თუ როგორ ტყორცნა ბადრო რომელილაც სპორტსმენმა ან რომელ დისტანციაზე დაამყარა მავანმა ათლეტმა მსოფლიო რეკორდი...

კალამი არ გვემორჩილება, ოლიმპიადის გახსნის მშვენიერი შოუც, როგორლაც, გულს გარეთ განვიცადეთ, მაგრამ პროფესიულ მოვალეობასაც არ ელალატება...

მოკლედ, არ გვეწერება, მაგრამ მაინც ვწერთ!..

ვწერთ იმიტომ, რომ მტერმა ვერ იხილოს ჩვენი სასოწარკვეთა და პანიკა!..

ვწერთ იმიტომ, რომ დღეიდან პეკინის სპორტულ ბატალიებში უნდა ჩაებან ჩვენი სპორტსმენები და მათ ჩვენი გამხნევება და თანადგომა სჭირდებათ!

ვწერთ იმიტომაც, რომ ვიცით „ვისი გორისაც ვართ“ და სხვანაირად არ შეგვიძლია!..

ყველა ქართველი დღეს ერთად უნდა აღუდგეს წინ მოძალებულ აგრესიას, მათ შორის, ჩვენი ოლიმპიელებიც, რომლებიც გაათმაგებული ენერგიით უნდა გავიდნენ სპორტულ არენებზე და მსოფლიოს დაანახვონ ქართული გენის, ქართული სულის უძლეველობა!..

ოლიმპიადა დაიწყო გუშინ - მშვიდობის, მეგობრობის სიმბოლოდ აღიარებული სპორტული ფორუმი...

საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ აგრესორებმა ოლიმპიური სიმშვიდე დაგვირღვიეს, ყველა სულმოუთქმელად ელის პეკინში ქართული დროშის აფრიალებას!

ჩვენ ახლა ყველა „ფრონტზე“ დიდი გამარჯვებები გვჭირდება და გვჯერა, გავიმარჯვებთ კიდეც!

ეს არის ჩვენი ბრძოლა მშვიდობისა და ქვეყნის გაბრწყინებისთვის!

გამარჯვებებით გვევლოს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ და საიმედოდ!

ზვიად სეხნიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფანტაზია ჩიტის ბუდეში

**თენგიზ გაჩეჩილაძე,
ნიკოლოზ ნეფარიძე,
ალექსანდრე
კოტორაშვილი**
პეკინიდან

ყოველი ოლიმპიადა, შეიძლება თამამად ითქვას, ძველის, უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულის, ახალი თამაშების მასპინძელთან შეჯიბრებით იწყება. უპირველესად კი გახსნის საზეიმო ცერემონიალით - ვინ უკეთ! აი, რა არის გამოწვევის დევიზი. ყველა ცდილობს, ორიგინალობით, ეროვნული ტრადიციებით გაალამაზოს და გაამდიდროს ზეიმი და უფრო ღრმად, ემოციურად ჩაენაცვლოს გონებაში ოთხი წლის წინანდელ შთაბეჭდილებებს. თქვენ წარმოიდგინეთ, აღწევენ კიდეც ამას. რომ გგონია, რაღა უნდა იყოს ამაზე უკეთესიო, კიდევ ერთი ოლიმპიური ოთხწლეული გაივლის და უფრო გრანდიოზული, უფრო ლამაზი, შინაარსით ფანტაზიასთან წილნაყარი სანახაობის მომსწრენი ვხდებით. ბარსელონის ოლიმპიადის გახსნისთვის ვინმეს გაეწია კონკურენცია, თითქოს შეუძლებელი იყო, მაგრამ შემდეგ ვიხილეთ ზეიმები ატლანტაში, სიდნეიში, ათენში – საყოველთაო შეფასებით ერთიმეორეზე უკეთესი. ვინმესთვის შეიძლება პირობითი იყოს ასეთი შედარება... მაინც რითი მიიქცია ყურადღება პეკინის ოლიმპიადის საზეიმოდ გახსნის ცერემონიალმა? მტკიცება არ უნდა, რომ პირველ შთაბეჭდილებას სპორტული ნაგებობის გარეგანი და შიდა იერსახე ქმნის. პეკინის ახალი ოლიმპიური სტადიონი ნამდვილად უნიკალურია ამ თვალსაზრისით - დიდებულია არქიტექტურული სიახლეების მრავალფეროვნებით. გადახურვა მიუნხენის ოლიმპიურ არენას გვაგონებს, რომელიც 1972 წელს გაიხსნა, მაგრამ პეკინში სულ სხვა, განსხვავებული საოცრება ვიხილეთ - უფრო ჰაეროვანი კონსტრუქციით. ეს არის ერთ-ერთი საოცრების – ჩიტის ბუდის დიდებულად განსახიერებული ასლი. საზეიმო განწყობა ერთგვარად შემაწუხებელი გახადა "ბუდის შიგნით" ძალიან მაღალმა ტემპერატურამ. ქუჩაში ხომ უსაშველოდ ცხელოდა, სტადიონზე ალბათ ორმაგად სულისშემხუთავი ჰაერი იყო. სტადიონის განიავება დამპროექტებლებს, როგორც ჩანს გამორჩათ, ან... არ ვიცით. ფაქტია, რომ ამ ლამაზი სანახაობის ხილვა ლამის ჯოჯოხეთად ექცა ტრიბუნებზე შეკრებილ ათიათასობით მაყურებელს. ასეთი რამ არც ერთ ოლიმპიადაზე არ გვინახავს, ამას ვერც წარმოვიდგენდით, - ამბობდნენ ბევრის მნახველი კოლეგა-ჟურნალისტები.
ალბათ, ტელემაყურებელიც იხილავდა, რა ტრიუკები სრულდებოდა განსაკუთრებით ბუდის ზედა ზღუდეზე, ოლიმპიურმა ცეცხლმა ბოლო ეტაპიც ხომ ამ ზღუდეზე მეჩირალდნის უჩვეულო გარბენით გაიარა. ბუდეში კი რა არ ხდებოდა - ჩიტების ჭიკჭიკიდან დაწყებული, კოსმონავტების ღია სივრცეში გასვლის იმიტაციის ინსცენირებით დამთავრებული.
მოკლედ, დასრულდა თუ არა ზღაპრული სანახაობა, დაიწყო მონაწილე ქვეყნების წარდგინება-აღლუმი. ტრიბუნებს ჩაუარა 205 სახელმწიფოს დელეგაციამ. ერთ ბუდეში შეკრებილი მთელი მსოფლიო აქ იყო. მონაწილე ქვეყნების რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ალბათ, ამ მაჩვენებლითაც შევა თამაშების ისტორიაში პეკინის ოლიმპიადა. ტრადიციისამებრ, აღლუმი საბერძნეთის დელეგაციის გამოსვლით დაიწყო. თუ რატომ, გასაგებია. ოლიმპიადის სამშობლო ქვეყნის დელეგაციას ნატურალიზებული ბერძენი, ქართველი ჯარჯი ზვიადაური, იგივე ილიას ილიადისი ედგა სათავეში. საქართველოს დელეგაციას კი ჩვენი სახელოვანი ფალავანი რამაზ ნოზაძე მიუძღოდა.



ფოტორეპორტაჟი »»» 8-9

კრივი

## ჟვანია ფავორიტით იწყებს, იზორიამ უნდა მოიგოს



კახა ჟვანია

გუშინ, მოკრივეთა ტურნირის წილისყრა გაიმართა. გაირკვა **ნიკოლოზ იზორიასა** და **კახა ჟვანიას** მეტოქეთა ვინაობაც. შეგახსენებთ, რომ **თენგიზ მესხაძის** გუნდი პეკინში ორი სპორტსმენითაა წარდგენილი.

ხვალ, 69 კგ წონით კატეგორიაში, ჟვანია ოლიმპიურ რინგზე პირველ ბრძოლას გამართავს. ქართველ მოკრივეს წილისყრაზე საოცრად არ გაუმართლა: მისი მეტოქე ამერიკელი **დემეტრიუს ანდრადეა**. მოგეხსენებათ, სამოყვარულო კრივში ფავორიტები სწორედ ამერიკელები და კუბელები არიან. ანდრადე მხოლოდ 20 წლისაა, თუმც მან უკვე მოასწრო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის (ჩიკაგოში, 2007 წელს) მოპოვება.

მეორე დღეს, 57 კგ წონით კატეგორიაში, ათენის ოლიმპიადის მერვედფინალისტი იზორია პირველ ბრძოლას ბოტსვანელ **ტატო ბატშეგისთან** გამართავს. ბატშეგი უცნობი მოკრივეა. წესით, იზორიამ უნდა გაიმარჯვოს.



ნიკოლოზ იზორია

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

ნომრის მორიგე რედაქტორი
**შალვა ბიბილაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ როჯერ ფედერერთან

# ათენს სიდნეი მერჩივნა



გუშინ მსოფლიოს პირველი ჩოგანი როჯერ ფედერერი იუბილარი იყო. ოლიმპიადის გახსნის დღეს შვეიცარიის ნაკრების მედროშეს 27 წელი შეუსრულდა. ეს კარგი საბაბი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჟურნალისტებს "დიდი სლემის" ტურნირების 12-გზის ჩემპიონი პრესკონფერენციაზე დაეპატიჟებინათ და ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის ამჟამინდელი განწყობის შესახებ მიეღოთ ინფორმაცია.

**- ათენში შვეიცარიის ოლიმპიური ნაკრების მედროშეობამ კარგი არაფერი მოგიტანათ: მეორე წრეში გამოეთიშეთ ბრძოლას. ამჯერად როგორ აფასებთ ოქროს მედლისთვის ბრძოლის შანსებს?**

- ერთადერთი, რაც შემიძლია ზუსტად გითხრათ - თავს შესანიშნავად ვგრძნობ. პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. პეკინში, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ ტურნირზე, ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. აქ ბევრი ისეთი ჩოგბურთელია, რომლებმაც კარგად იციან თამაში. მათ შორის ერთ-ერთი მეც ვარ. ეს არის და ეს.

**- ათენთან შედარებით პეკინმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე?**

- ბევრი რამ არ მინახავს, ამიტომ შედარებაც გამიჭირდება. იქაც და აქაც ლამაზი ოლიმპიური ობიექტებია და... ძალიან ბევრი ჟურნალისტი.

**- გული არ გწყდებათ, რომ ზუსტად ერთ კვირაში ATP-ის კლასიფიკაციის პირველ პოზიციას დაკარგავთ?**

- ჩემი აზრით, დღეს სპორტული სამყარო ოლიმპიადას ადევნებს თვალს და არა ჩოგბურთელთა რეიტინგებს. რაფა ნადალმა დაიმსახურა ეს ტიტული. მე კი პეკინის საჩოგბურთო ტურნირამდე მოსამზადებლად სულ უფრო ნაკლები დრო მრჩება. ვცდილობ, ის მაქსიმალურად გამოვიყენო და პეკინში კარგად გამოვიდე.

**- წინა ორ ოლიმპიადაზე გამოსვლას როგორ გაიხსენებთ?**

- ასეთ რამეს არ ივიწყებენ. სიდნეის თამაშები პირველი იყო ჩემს კარიერაში. კარგი ტურნირი გამოვიდა - მეოთხე ადგილზე გავედი! რა თქმა უნდა, ცოტათი ნაწყენი დავრჩი, რადგან მედლამდე ერთი ნაბიჯი დამაკლდა, მაგრამ სწორედ რვა წლის წინ ამისრულდა ბავშვობის ოცნება: ჩემი ქვეყანა ოლიმპიურ თამაშებზე წარმოვადგინე. ათენში კი უკვე შვეიცარიის დროშა ჩამაბარეს. ფანტასტიკური გრძნობაა, როცა სტადიონზე შენი ქვეყნის დროშით მიაბიჯებ და მთელი მსოფლიო შემოგცქერის. სხვათა შორის, სიდნეიში გავიცანი ჩემი ამჟამინდელი მეგობარი გოგონა - ესეც ერთ-ერთი ნათელი ეპიზოდია ჩემს ცხოვრებაში. არ ვიცი, რა უფრო კარგი იყო - ეს გაცნობა თუ მედროშეობა? რვა წელიწადია ერთად ვართ, დროშა კი სულ 10 წუთი მეჭირა ხელში. ასე რომ, ათენის თამაშებს მაინც სიდნეის ოლიმპიადა მირჩევნია (სიცილი დარბაზში).

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირი?**

- თუ მას "დიდი სლემის" ტურნირებს შევადარებთ, აბსოლუტურად განსხვავებული შეგრძნებებია. ოლიმპიადაზე შენი ქვეყნის ღირსებას იცავ და ამის გამო დიდ ზეწოლას გრძნობ. ვერ გეტყვით, შეიძლება თუ არა ეს გრძნობა უიმბლდონზე გამოსვლას შევადაროთ, მაგრამ ოლიმპიადაზე გამარჯვება რომ უმნიშვნელოვანესია, ამაში ეჭვი არ მეპარება. აუცილებლად ვეცდები ამის გაკეთებას.

**- მზადების აქაურ პირობებზე რას იტყვით?**

- აქ ვარჯიში საკმაოდ მძიმეა. თამაშიც არ იქნება იოლი, რადგან საშინელი სიცხეა. ვერ გეტყვით, ეს ჰაერის დაბინძურებას უკავშირდება თუ ადგილობრივი კლიმატის თავისებურებებს, მაგრამ ჩვენს გამოსვლაზე რომ გავლენას იქონიებს, ეს ცხადია. თუმცა ეს დიდად არ მაშინებს.

**- როგორ აფასებთ თქვენს ბოლოდროინდელ გამოსვლებს?**

- პეკინისწინა ორკვირიანი პერიოდი არც ისე წარმატებული გამოდგა. დავმარცხდი მატჩებში, რომელიც, წესით, არ უნდა წამეგო, მით უმეტეს, რომ ცუდად ნამდვილად არ მითამაშია. თუმცა ტორონტოსა და ცინცინატის მასტერსები ტურნირების იმ რიცხვს არ მიეკუთვნება, სადაც მარცხის გამო დიდი ხანი უნდა ვიყო ცუდ ხასიათზე. აი, ოლიმპიადა და აშშ-ის მომავალი ღია პირველობა სხვა საქმეა - ამ ტურნირებს ჩემს კარიერაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ახლა უნდა დავიბრუნო საკუთარი თავისადმი რწმენა.

**- მოსალოდნელია თუ არა პეკინში ფედერერისა და ნადალის ფინალი?**

- რატომაც არა. სავსებით შესაძლებელია პუბლიკამ ამჯერადაც ჩვენი დაპირისპირება იხილოს.

# რაფა ოლიმპიურ სოფელში

როგორც ცნობილია, ესპანელი **რაფაელ ნადალი** 18 აგვისტოდან მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ჩოგანი გახდება. *"ბედნიერი ვარ, რომ მალე რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე ვიქნები. ეს ყველაზე დიდი საჩუქარია წინა წლებში გაწეული სამუშაოს სანაცვლოდ. ახლა სულ სხვა საზრუნავი გამიჩნდება - ამ სტატუსს ხომ შენარჩუნება უნდა?! ამისთვის კი ოლიმპიადაზე და აშშ-ის ღია პირველობაზე წარმატებული გამოსვლაა საჭირო. ასე რომ, ზეიმისთვის დრო არ მაქვს"*, - ამბობს რაფა.

მანამდე კი როლან გაროსისა და უიმბლდონის ჩემპიონმა გადაწყვიტა, კოლექტივს არ მოსწყდეს და სხვებთან ერთად ოლიმპიურ სოფელში იცხოვროს. განსხვავებით თავისი მთავარი კონკურენტისგან, **როჯერ ფედერერისგან**, რომელმაც ხმაურსა და ოლიმპიურ ფაციფუცს ხუთვარსკვლავიან სასტუმროში სიმშვიდე და კომფორტი ამჯობინა.

ნადალი პეკინში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ჩოგბურთელიც ცდილობს პუბლიკა გაახალისოს.



მაგალითად, რაფა ოლიმპიური სოფლიდან ოლიმპიურ ცენტრამდე ორბორბლიანი ტრანსპორტით გადაადგილდება. ეს არის მოხალისეებისთვის განკუთვნილი სპეციალური ტრანსპორტი, რომელიც ტანის გადახრით მოდის მოძრაობაში.

წილისყრის შემდეგ ნადალმა კიდევ უფრო მონდომებით გააგრძელა ვარჯიში. ესპანელს საკმაოდ რთული ბადე შეხვდა. სავარაუდოდ, მეორე წრეში **ლეიტონ ჰიუიტს** უნდა შეხვდეს, მეოთხედფინალში ბრიტანელი **ენდი მიურეი** ელოდება, ნახევარფინალში - **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. არც არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანის** ჩამოწერა იქნება მიზანშეწონილი. მართალია, პირველ წრეში იტალიელი **პოტიტო სტარაჩე** ნადალისთვის სერიოზული ბარიერი არ უნდა იყოს, მაგრამ ფინალში ფედერერამდე მისაღწევად, რაფას ურთულესი გზის გავლა მოუწევს.

# როგეს სადოპინგო პროგნოზი



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგე** ვარაუდობს, რომ ოლიმპიადის დღეებში დაახლოებით 30-40 დოპინგ-ტესტის შედეგი დადებითი იქნება. მთავარი ოლიმპიური ჩინოვნიკი აღნიშნავს, რომ მოხარული იქნება, თუ პეკინის ოლიმპიადაზე მინიმალური რაოდენობის დოპინგ-სკანდალი დაფიქსირდება, მაგრამ არარეალურია იმის იმედად ყოფნა, რომ ყველა ანალიზი უარყოფით შედეგს აჩვენებს.

*"სპორტში დოპინგი შეიძლება საზოგადოებაში კრიმინალს შევადაროთ. შეუძლებელია წარმოიდგინო საზოგადოება კანონების გარეშე. ასევე არ შეიძლება წმინდანი იყოს ყველა ის ადამიანი, ვინც სპორტით არის დაკავებული"*, - მოჰყავს როგეს სიტყვები პეკინის ოლიმპიადის ოფიციალურ ვებგვერდს.

პრეზიდენტი ოლიმპიურ ნაკრებებში ფეხბურთელების გამოძახების პრობლემასაც შეეხო. როგეს აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი გზა ის არის, რომ ფიფამ ოლიმპიური თამაშები თავის ოფიციალურ კალენდარში შეიტანოს.

*"ჩვენი ორგანიზაციისთვის საფეხბურთო ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია. გვინდა, რომ აქ რაც შეიძლება ძლიერმა შემადგენლობამ მოიყაროს თავი. თავად განსაჯეთ: რონალდინიო, რომელსაც კარიერაში ყველაფერი აქვს მოგებული, თავად გამორბის ოლიმპიადაზე. და მას ამისთვის ცენტსაც არ უხდიან. იგივე შეიძლება ითქვას მესისა და სხვა ვარსკვლავებზე.*

*პეკინის თამაშების შემდეგ ჩვენ სპეციალურად შევხვდებით ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს და ამ პრობლემას მოვაგვარებთ. გადაწყვეტილება ძალიან მარტივია: ფიფამ თავის ოფიციალურ კალენდარში უნდა შეგვიყვანოს. მხოლოდ ამის შემდეგ იქნებიან კლუბები ვალდებულნი, ნაკრებში გაუშვან თავიანთი საუკეთესო ფეხბურთელები"*, - ამბობს სოკ-ის პრეზიდენტი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ტრავმები

# არც ივო, არც ლინდსი

პეკინის ოლიმპიური თამაშების საჩოგბურთო ტურნირს ორი დანაკლისი აქვს. ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ხორვატიის მამაკაცთა ნაკრები. გაირკვა, რომ **მარიო ანჩიჩის** შემდეგ ოლიმპიადაზე ვერ გამოვა **ივო კარლოვიჩი**. ექიმების განცხადებით, ჩოგბურთელს მაღალი სიცხე აქვს და ამის გამო ივო იძულებული გახდა, უარი ეთქვა პეკინში გამოსვლაზე.

*"თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. ექიმმა მითხრა, რომ პეკინში გამგზავრებაზე არც კი უნდა ვიფიქრო"*, - ამბობს კარლოვიჩი, რომელსაც პირველ წრეში ჩეხ **ტომაშ ბერდიხთან** უწევდა შეხვედრა.

რაც შეეხება ხორვატთა მესამე ჩოგბურთელს **ივან ლუბიჩიჩს**, მას ფეხი აქვს დაზიანებული, თუმცა ექიმები იმედოვნებენ, რომ ვეტერანი მოახერხებს სტარტამდე ამ პრობლემის მოგვარებას.

▪ ▪ ▪

ერთი დანაკლისია ქალთა ბადეშიც. 1996 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული, ამერიკელი **ლინდსი დავენპორტი** ასევე ვერ ითამაშებს ერთეულთა თანრიგში. როგორც გაირკვა, ვეტერან ჩოგბურთელს მუხლის ტრავმა აწუხებს.

*"სამწუხაროდ, დავენპორტს იმ ტრავმამ შეახსენა თავი, რომლის გამოც მან უიმბლდონის ტურნირი გამოტოვა"*, - ამბობს ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი.

# ივანოვიჩი კითხვის ნიშნის ქვეშ

გამორიცხული არ არის, რომ ოლიმპიური ტურნირი მსოფლიოს პირველი ჩოგანის, **ანა ივანოვიჩის** გარეშე დარჩეს. გუშინდელ ნომერში სერბი ჩოგბურთელის სიტყვები გაგაცანით. ანა ამბობდა, რომ კვლავაც აწუხებს ფეხის ცერა თითის ტრავმა და ამ დაზიანებას ლაზერული თერაპიით მკურნალობს. ახლა კი ირკვევა, რომ ამ ტიპის მკურნალობას ჯერჯერობით შედეგი არ მოაქვს.

*"იმედი გვაქვს, რომ პრობლემა მოგვარდება. სამწუხაროდ, ლაზერულმა თერაპიამ პრობლემას ვერ უშველა. შესაბამისად გვეგონა, რომ მოტეხილობასთან გვქონდა საქმე, მაგრამ მაგნიტურ-რეზონანსულმა გამოკვლევამ ეს არ დაადასტურა"*, - განაცხადა ჩოგბურთელის აგენტმა. თუ ივანოვიჩი გამოჯანმრთელებას მოასწრებს, კვირას ის პირველ მატჩს გამართავს უკრაინელ **მარია კორიტცევასთან**, რომელიც WTA-ს კლასიფიკაციაში 53-ე ადგილს იკავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფენომენი

# სპიცის რეკორდი მე არ მიხსენებია

**ამერიკელი** ფენომენი მაიკლ ფელპსი დღეიდან შეუდგება მარათონს, რომელიც მან თავად შეუდგინა საკუთარ თავს - პეკინის თამაშების მომავალმა ტრიუმფატორმა რვა დისციპლინაში უნდა სცადოს ბედი და თუ გაუმართლებს, იქნებ ახლა მაინც დაამხოს ლეგენდარული თანამემამულის მარკ სპიცის "მუდმივი" რეკორდი, რომელიც ერთ ოლიმპიადაზე მოპოვებულ ოქროს 7 მედალს უტოლდება (1972 წლის თამაშებზე).

ამ ყველაფრის გამო, ფელპსის გამოჩენა ყველგან დიდ აჟიოტაჟს იწვევს, გუშინ მის პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების ტევა არ იყო. ამ საუბარს შემოკლებით გთავაზობთ.

**- საყოველთაო პროგნოზის მიხედვით, პეკინში მარკ სპიცის "მუდმივი" რეკორდი უნდა დაამხოთ. გქონდათ თუ არა ამასთან დაკავშირებით სპიცთან საუბარი და საერთოდ, როგორ აფასებთ სპეციალისტების პროგნოზებს?**

- მარკთან ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ გადმომცეს, რომ ცოტა ხნის წინ წარმატებები მისურვა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მესიამოვნა.

**- თავად თუ ისახავთ ასეთ მიზანს - გააუმჯობესოთ სპიცის რეკორდი?**

- მოსალოდნელ რეკორდზე მხოლოდ თქვენ, ჟურნალისტები საუბრობთ და წერთ. პირადად მე ამაზე სიტყვა არ დამიძრავს. უბრალოდ, ყოველდღიური ცხოვრებით ვცხოვრობ და ვემზადები, ყველა დისტანცია რაც შეიძლება სწრაფად გავცურო. მხოლოდ ამ მიზანს ვუსახავ საკუთარ თავს. ამ თამაშებზე კონკრეტული ამოცანების შესახებ მხოლოდ მე და ჩემმა მწვრთნელმა ვიცით. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არანაირ რეკორდზე არ მიფიქრია და არც უახლოეს დღეებში გადავიტვირთავ ამით გონებას.



**- დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ თქვენს სახეობაში მედლები სამართლიანად გათამაშდება?**

- მხოლოდ საკუთარი თავის გაკონტროლება შემიძლია. ვიცი, რომ დოპინგისგან "სუფთა" ვარ.

**- მოგეწონათ პეკინის მთავარი საწყლოსნო არენა - "წყლის კუბი"? ამ სტადიონზე რაიმე განსაკუთრებული ხომ არ შეგინიშნავთ, რამაც შეიძლება დახმარება გაგიწიოთ ან პირიქით, ხელი შეგიშალოთ მიზნების მიღწევაში?**

- სასიამოვნოა ასეთი მაღალი დონის არენაზე ასპარეზობა. შედიხარ იქ და მაშინვე გრძნობ, რა ატმოსფერო იქნება სტადიონზე, როცა მისი ტრიბუნები პირთამდე შეივსება. ამის გამო მოუთმენლობაც კი მიპყრობს - ერთი სული მაქვს, პირველ სტარტზე როდის გავალ.

**- რვა დისციპლინა - დამეთანხმეთ, ძალიან ბევრია. რომელი იქნება მათგან ყველაზე რთული?**

- ყველა რთული იქნება. სტარტზე იმდენჯერ მომიწევს გასვლა, რომ წინასწარი, ნახევარფინალური თუ ფინალური ეტაპების ერთ დონეზე გაცურვა შეუძლებელი იქნება. მაგრამ ყველაზე ძნელი მაინც პირველი დისციპლინა - 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა იქნება. ყველა ელემენტი ავტომატიზმამდე დაყვანილი ჯერ არ მაქვს, მაგრამ დარჩენილ დროში ამ პრობლემას მოვაგვარებ.

**- ცნობილია, რომ ახალი კომბინიზონებით მოცურავეები გაცილებით სწრაფად გადიხართ დისტანციებს. ხომ არ გაგიზომავთ, რამდენად შემცირდა თქვენი შედეგები წვერის მოშვების შემდეგ (სიცილი დარბაზში)?**

- ჯერ არ შემიმოწმებია. წვერი გასული წლის ბოლოს მოვუშვი. ეს ისე, გასართობად გავაკეთე.

**- ბევრი სპორტსმენი ამბობს, რომ ფინალური გაცურვების დილით დანიშვნა - არც ისე კარგი იდეაა. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე? ფინალური სესიის დილის საათებში ჩატარება ხელს არ შეუშლის ოლიმპიური ან მსოფლიო რეკორდების დამყარებას?**

- ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ. ეს ოლიმპიადაა. აქ ჩამოსვლა - ნებისმიერისთვის დიდი პატივია, ბევრისთვის კი მიუწვდომელი ოცნება. ამიტომაც, მოცურავე ხარ თუ ძალოსანი, სტარტზე გასასვლელად დღის ნებისმიერ დროს უნდა იყო მზად - დილა იქნება ეს, სალამო თუ შუაღამე.

**- სხვა ამერიკელი სპორტსმენების მსგავსად, პეკინში თქვენც ნიღბით ხომ არ სეირნობთ (ჟურნალისტს მხედველობაში ჰყავდა ოთხი ამერიკელი ველომრბოლი, რომლებიც პეკინის აეროპორტში ნიღბებით გამოცხადნენ)?**

- ბოლო წლების განმავლობაში აქ რამდენჯერმე ჩამოვედი, მაგრამ სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემები არ მქონია. საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ თავს. თუმცა ბოლო დღეები ძირითადად ოლიმპიურ სოფელში, საკუთარ ნომერში გავატარე და უამრავი ფილმი ვნახე.

**- ოლიმპიურ სოფელზე რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?**

- საუკეთესო! აქ ყველაზე კარგად იგრძნობა ოლიმპიური სული. გუშინ ბიჭებთან ერთად მთელი დღე ბანქოს თამაშში გავატარე. ასეთი უსაქმურობის ატმოსფერო სტარტების წინ მოდუნების საშუალებას მაძლევს. ახლა ზუსტად ეს მჭირდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## 9 აგვისტო. შაბათი

| | |
|---|---|
| 02:30-06:30 | **ცხენოსნობა**. გუნდური. სამჭიდი (გაწვრთნა). I დღე |
| 02:30-06:30 | **ცხენოსნობა**. ინდივიდუალური. სამჭიდი (გაწვრთნა). I დღე |
| 04:30-05:45 | **ტყვიის სროლა**. ქალები. პნევმატური შაშხანა. 10 მ. კვალიფიკაცია |
| 05:00-05:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. A ჯგუფი |
| 05:00-06:30 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ანგოლა (A ჯგუფი) |
| 05:00-06:45 | **კალათბურთი**. ქალები. ბელარუსი-ავსტრალია (A ჯგუფი) |
| 05:00-08:00 | **ბადმინტონი**. ქალები (ერთეულები). 1/32 ფინალი |
| 05:00-08:00 | **ბადმინტონი**. კაცები (ერთეულები). 1/32 ფინალი |
| 05:00-09:30 | **სასტენდო სროლა**. კაცები. ტრაპი (სატრანშეო სტენდი). კვალიფიკაცია |
| 06:00-06:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. E ჯგუფი |
| 06:00-07:00 | **ფარიკაობა**. ქალები. ხმალი. ინდივიდუალური. 1/32 ფინალი |
| 06:00-07:30 | **ფრენბურთი**. ქალები. იტალია-რუსეთი (B ჯგუფი) |
| 06:00-07:40 | **ძალოსნობა**. ქალები. 48 კგ. (A ჯგუფი) |
| 06:30-06:50 | **ტყვიის სროლა**. ქალები. პნევმატური შაშხანა. 10 მ. ფინალი |
| 06:45-08:15 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. უნგრეთი-შვედეთი (B ჯგუფი) |
| 07:00-07:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. A ჯგუფი |
| 07:00-08:30 | **ფარიკაობა**. ქალები. ხმალი. ინდივიდუალური. 1/16 ფინალი |
| 07:00-13:30 | **ველოსპორტი (შოსე)**. ჯგუფური საგზატკეცილო რბოლა. მამაკაცები |
| 07:15-09:00 | **კალათბურთი**. ქალები. მალი-ზელანდია (B ჯგუფი) |
| 08:00-08:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. C ჯგუფი |
| 08:00-09:30 | **ფრენბურთი**. ქალები. სერბეთი-ყაზახეთი (B ჯგუფი) |
| 08:00-09:45 | **ტყვიის სროლა**. კაცები. პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. კვალიფიკაცია |
| 08:00-10:00 | **მშვილდოსნობა**. ქალები. წინასწარი რაუნდი |
| 08:00-10:12 | **სპორტული ტანვარჯიში**. მამაკაცები. კვალიფიკაცია. I დივიზიონი |
| 08:00-12:30 | **ძიუდო**. ქალები. -48 კგ. წინასწარი/მანუგეშებელი |
| 08:00-12:30 | **ძიუდო**. კაცები. -60 კგ. წინასწარი/მანუგეშებელი |
| 08:30-09:20 | **ფარიკაობა**. ქალები. ხმალი. ინდივიდუალური. 1/8 ფინალი |
| 08:30-10:00 | **ფრენბურთი**. ქალები. ალჟირი-ბრაზილია (B ჯგუფი) |
| 09:00-09:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. C ჯგუფი |
| 09:00-15:00 | **აფროსნობა**. ქალები. "ინგლინგი". I რბოლა |
| 09:00-15:00 | **აფროსნობა**. "ფინი". I რბოლა |
| 09:00-15:00 | **აფროსნობა**. ქალები. "ინგლინგი". II რბოლა |
| 09:00-15:00 | **აფროსნობა**. "ფინი". II რბოლა |
| 09:20-09:45 | **ფარიკაობა**. ქალები. ხმალი. ინდივიდუალური. 1/4 ფინალი |
| 09:30-11:00 | **კრივი**. 75 კგ. 1/32 ფინალი |
| 09:50-10:50 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ერთადგილიანი (წყვილი ნიჩბით). ქალები. საკვ. |
| 10:00-10:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. C ჯგუფი |
| 10:00-11:30 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. რუმინეთი-ყაზახეთი (A ჯგუფი) |
| 10:00-12:30 | **ბადმინტონი**. ქალები (ერთეულები). 1/32 ფინალი |
| 10:00-12:30 | **ბადმინტონი**. კაცები (ერთეულები). 1/32 ფინალი |
| 10:30-12:00 | **ფრენბურთი**. ქალები. პოლონეთი-კუბა (A ჯგუფი) |
| 10:30-12:15 | **კალათბურთი**. ქალები. ჩინეთი-ესპანეთი (B ჯგუფი) |
| 10:50-11:50 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ერთადგილიანი (წყვილი ნიჩბით). კაცები. საკვ. |
| 11:00-11:20 | **ტყვიის სროლა**. კაცები. პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. ფინალი |
| 11:01-12:30 | **კრივი**. 81 კგ. 1/32 ფინალი |
| 11:30-13:30 | **მშვილდოსნობა**. კაცები. წინასწარი რაუნდი |
| 11:45-13:15 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. რუსეთი-კორეა (B ჯგუფი) |
| 11:50-12:10 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ორადგილიანი (თითო ნიჩბით). ქალები. საკვ. |
| 12:00-14:12 | **სპორტული ტანვარჯიში**. მამაკაცები. კვალიფიკაცია. II დივიზიონი |
| 12:10-12:40 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ორადგილიანი (თითო ნიჩბით). კაცები. საკვ |
| 12:40-13:00 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ორადგილიანი (წყვილი ნიჩბით). ქალები. საკვ. |
| 12:45-14:30 | **კალათბურთი**. ქალები. კორეა-ბრაზილია (A ჯგუფი) |
| 13:00-13:30 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ორადგილიანი (წყვილი ნიჩბით). კაცები. საკვ. |
| 13:00-15:00 | **ფეხბურთი**. ქალები. შვედეთი-არგენტინა (E ჯგუფი) |
| 13:00-15:00 | **ფეხბურთი**. ქალები. ნიგერია-გერმანია (F ჯგუფი) |
| 13:00-15:00 | **ფეხბურთი**. ქალები. აშშ-იაპონია (G ჯგუფი) |
| 13:30-14:00 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ოთხადგილიანი. კაცები. საკვალიფიკაციო |
| 14:00-14:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. E ჯგუფი |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -48 კგ. მანუგეშებელი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -48 კგ. მანუგეშებელი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -48 კგ. ჯგუფი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -48 კგ. ჯგუფი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -60 კგ. მანუგეშებელი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -60 კგ. მანუგეშებელი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -60 კგ. ჯგუფი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -60 კგ. ჯგუფი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -48 კგ. მე-3 ადგილისთვის A |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -48 კგ. მე-3 ადგილისთვის B |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -60 კგ. მე-3 ადგილისთვის A |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -60 კგ. მე-3 ადგილისთვის B |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -48 კგ. ფინალი |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -60 კგ. ფინალი |
| 14:30-14:56 | **ცურვა**. 400 მ. კომპლექსური. მამაკაცები. წინასწარი |
| 14:30-18:30 | **ბადმინტონი**. ქალები (ერთეულები). 1/32 ფინალი |
| 14:30-18:30 | **ბადმინტონი**. კაცები (ერთეულები). 1/32 ფინალი |
| 15:00-15:20 | **ფარიკაობა**. ქალები. ხმალი. ინდივიდუალური. I ნახევარფინალი |
| 15:00-15:24 | **ცურვა**. 100 მ. ბატერფლაი. ქალები. წინასწარი |
| 15:00-15:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. E ჯგუფი |
| 15:00-16:30 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ნორვეგია-ჩინეთი (A ჯგუფი) |
| 15:00-16:30 | **კრივი**. 75 კგ. 1/32 ფინალი |
| 15:15-19:15 | **ცხენოსნობა**. გუნდური. სამჭიდი (გაწვრთნა). I დღე |
| 15:15-19:15 | **ცხენოსნობა**. ინდივიდუალური. სამჭიდი (გაწვრთნა). I დღე |
| 15:20-15:40 | **ფარიკაობა**. ქალები. ხმალი. ინდივიდუალური. II ნახევარფინალი |
| 15:30-16:14 | **ცურვა**. 400 მ. თავისუფალი. მამაკაცები. წინასწარი |
| 15:45-17:45 | **ფეხბურთი**. ქალები. კანადა-ჩინეთი (E ჯგუფი) |
| 15:45-17:45 | **ფეხბურთი**. ქალები. ბრაზილია-კორეა (F ჯგუფი) |
| 15:45-17:45 | **ფეხბურთი**. ქალები. ზელანდია-ნორვეგია (G ჯგუფი) |
| 15:50-16:10 | **ფარიკაობა**. ქალები. ხმალი. ინდივიდუალური. მე-3 ადგილისთვის |
| 16:00-16:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. C ჯგუფი. საძა/რთველო-ლარისა/ჟულიანა |
| 16:00-17:30 | **ფრენბურთი**. ქალები. ვენესუელა-ჩინეთი (A ჯგუფი) |
| 16:00-17:45 | **კალათბურთი**. ქალები. ჩეხეთი-აშშ (B ჯგუფი) |
| 16:00-18:12 | **სპორტული ტანვარჯიში**. მამაკაცები. კვალიფიკაცია. III დივიზიონი |
| 16:10-16:50 | **ფარიკაობა**. ქალები. ხმალი. ინდივიდუალური. ფინალი |
| 16:21-16:40 | **ცურვა**. 400 მ. კომპლექსური. ქალები. წინასწარი |
| 16:31-18:00 | **კრივი**. 81 კგ. 1/32 ფინალი |
| 16:45-17:08 | **ცურვა**. 100 მ. ბრასი. მამაკაცები. წინასწარი |
| 16:45-18:15 | **ხელბურთი**. ქალები. ჯგუფური ტურნირი. გერმანია-ბრაზილია (B ჯგუფი) |
| 17:00-17:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. B ჯგუფი |
| 17:20-17:30 | **ცურვა**. 4x100 მ. თავისუფალი ესტაფეტა. ქალები. წინასწარი |
| 18:00-18:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. B ჯგუფი |
| 18:00-19:30 | **ფრენბურთი**. ქალები. იაპონია-აშშ (A ჯგუფი) |
| 18:15-20:00 | **კალათბურთი**. ქალები. ლატვია-რუსეთი (A ჯგუფი) |
| 19:00-19:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. E ჯგუფი |

## 10 აგვისტო. კვირა

| | |
|---|---|
| 02:30-06:30 | **ცხენოსნობა**. გუნდური. სამჭიდი (გაწვრთნა). II დღე |
| 02:30-06:30 | **ცხენოსნობა**. ინდივიდუალური. სამჭიდი (გაწვრთნა). II დღე |
| 04:30-06:00 | **ბალახის ჰოკეი**. ქალები. იაპონია-ზელანდია (B ჯგუფი) |
| 05:00-05:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. B ჯგუფი |
| 05:00-06:15 | **ტყვიის სროლა**. ქალები. პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. კვალიფიკაცია |
| 05:00-06:30 | **ხელბურთი**. კაცები. ჯგუფური ტურნირი. ხორვატია-ესპანეთი (A ჯგუფი) |
| 05:00-06:45 | **კალათბურთი**. კაცები. რუსეთი-ირანი (A ჯგუფი) |
| 05:00-08:00 | **სასტენდო სროლა**. კაცები. ტრაპი (სატრანშეო სტენდი). კვალიფიკაცია |
| 05:30 | **წყალბურთი**. კაცები. ესპანეთი-კანადა (A ჯგუფი) |
| 06:00-06:07 | **ცურვა**. 400 მ. კომპლექსური. მამაკაცები. ფინალი |
| 06:00-06:50 | **მშვილდოსნობა**. ქალები. გუნდური. 1/8 ფინალი |
| 06:00-06:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. A ჯგუფი |
| 06:00-07:28 | **სპორტული ტანვარჯიში**. ქალები. კვალიფიკაცია. I დივიზიონი |
| 06:00-07:30 | **ფრენბურთი**. კაცები. სერბეთი-რუსეთი (B ჯგუფი) |
| 06:00-07:30 | **ფარიკაობა**. კაცები. დაშნა. ინდივიდუალური. 1/32 ფინალი |
| 06:00-08:00 | **ძალოსნობა**. კაცები. 56 კგ. (B ჯგუფი) |
| 06:00-09:30 | **ბადმინტონი**. ქალები (ერთეულები). 1/16 ფინალი |
| 06:10-06:18 | **ცურვა**. 100 მ. ბატერფლაი. ქალები. 1/2 ფინალი |
| 06:21-06:27 | **ცურვა**. 400 მ. თავისუფალი. მამაკაცები. ფინალი |
| 06:30-08:00 | **ბალახის ჰოკეი**. ქალები. ჩინეთი-ესპანეთი (A ჯგუფი) |
| 06:30-10:30 | **ჩოგბურთი**. კაცები. ერთეულები. I რაუნდი |
| 06:30-10:30 | **ჩოგბურთი**. ქალები. ერთეულები. I რაუნდი |
| 06:30-10:30 | **ჩოგბურთი**. კაცები. წყვილები. I რაუნდი |
| 06:30-10:30 | **ჩოგბურთი**. ქალები. წყვილები. I რაუნდი |
| 06:39-06:46 | **ცურვა**. 400 მ. კომპლექსური. ქალები. ფინალი |
| 06:45-08:15 | **ხელბურთი**. კაცები. ჯგუფური ტურნირი. რუსეთი-ისლანდია (B ჯგუფი) |
| 06:50 | **წყალბურთი**. კაცები. უნგრეთი-ჩერნოგორია (A ჯგუფი) |
| 06:50-07:15 | **მშვილდოსნობა**. ქალები. გუნდური. 1/4 ფინალი. I მატჩი |
| 06:58-07:06 | **ცურვა**. 100 მ. ბრასი. მამაკაცები. 1/2 ფინალი |
| 07:00-07:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. F ჯგუფი |
| 07:10-09:30 | **ბადმინტონი**. კაცები (ერთეულები). 1/32 ფინალი |
| 07:15-07:40 | **მშვილდოსნობა**. ქალები. გუნდური. 1/4 ფინალი. II მატჩი |
| 07:15-09:00 | **კალათბურთი**. კაცები. გერმანია-ანგოლა (B ჯგუფი) |
| 07:18-07:24 | **ცურვა**. 4x100 მ. თავისუფალი ესტაფეტა. ქალები. ფინალი |
| 07:20-09:30 | **ბადმინტონი**. ქალები (წყვილები). 1/8 ფინალი |
| 07:30-09:30 | **ფარიკაობა**. კაცები. დაშნა. ინდივიდუალური. 1/16 ფინალი |
| 07:40-08:05 | **მშვილდოსნობა**. ქალები. გუნდური. 1/4 ფინალი. III მატჩი |
| 08:00-08:20 | **ტყვიის სროლა**. ქალები. პნევმატური პისტოლეტი. 10 მ. ფინალი |
| 08:00-08:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. F ჯგუფი |
| 08:00-09:30 | **ფრენბურთი**. კაცები. იტალია-იაპონია (A ჯგუფი) |
| 08:00-12:30 | **ძიუდო**. ქალები. -52 კგ. წინასწარი/მანუგეშებელი |
| 08:00-12:30 | **ძიუდო**. კაცები. -66 კგ. წინასწარი/მანუგეშებელი |
| 08:05-08:30 | **მშვილდოსნობა**. ქალები. გუნდური. 1/4 ფინალი. IV მატჩი |
| 08:10 | **წყალბურთი**. კაცები. სერბეთი-გერმანია (B ჯგუფი) |
| 08:30-10:00 | **ფრენბურთი**. კაცები. აშშ-ვენესუელა (A ჯგუფი) |
| 09:00-09:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. D ჯგუფი |
| 09:00-10:00 | **აფროსნობა**. "49-ე". I რბოლა |
| 09:00-10:00 | **აფროსნობა**. "ფინი". III რბოლა |
| 09:30-10:30 | **ფარიკაობა**. კაცები. დაშნა. ინდივიდუალური. 1/8 ფინალი |
| 09:30-10:58 | **სპორტული ტანვარჯიში**. ქალები. კვალიფიკაცია. II დივიზიონი |
| 09:30-11:00 | **კრივი**. 64 კგ. 1/32 ფინალი |
| 10:00 | **წყალბურთი**. კაცები. ავსტრალია-საბერძნეთი (A ჯგუფი) |
| 10:00-10:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. B ჯგუფი |
| 10:00-11:00 | **აფროსნობა**. "49-ე". II რბოლა |
| 10:00-11:00 | **აფროსნობა**. ქალები. "ინგლინგი". III რბოლა |
| 10:00-11:00 | **აფროსნობა**. ქალები. "ინგლინგი". IV რბოლა |
| 10:00-11:00 | **აფროსნობა**. "ფინი". IV რბოლა |
| 10:00-11:30 | **ხელბურთი**. კაცები. ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ბრაზილია (A ჯგუფი) |
| 10:00-13:30 | **ველოსპორტი (შოსე)**. ჯგუფური საგზატკეცილო რბოლა. ქალები |
| 10:30-11:00 | **ფარიკაობა**. კაცები. დაშნა. ინდივიდუალური. 1/4 ფინალი |
| 10:30-11:20 | **წყალში ხტომა**. ქალები. 3 მ. სინქრონული ხტომები. ფინალი |
| 10:30-12:00 | **ფრენბურთი**. კაცები. ბრაზილია-ეგვიპტე (B ჯგუფი) |
| 10:30-12:15 | **კალათბურთი**. კაცები. ესპანეთი-საბერძნეთი (B ჯგუფი) |
| 10:50-11:20 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ორადგილიანი, მჩატე (წყვილი ნიჩბით). ქალები. საკვ. |
| 11:00-11:45 | **სასტენდო სროლა**. კაცები. ტრაპი (სატრანშეო სტენდი). ფინალი |
| 11:00-12:00 | **აფროსნობა**. "49-ე". III რბოლა |
| 11:01-12:30 | **კრივი**. 69 კგ. 1/32 ფინალი |
| 11:20 | **წყალბურთი**. კაცები. ხორვატია-იტალია (B ჯგუფი) |
| 11:20-12:00 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ორადგილიანი, მჩატე (წყვილი ნიჩბით). კაცები. საკვ. |
| 11:30-13:10 | **ძალოსნობა**. ქალები. 53 კგ. (A ჯგუფი) |
| 11:45-13:15 | **ხელბურთი**. კაცები. ჯგუფური ტურნირი. გერმანია-კორეა (B ჯგუფი) |
| 12:00-12:25 | **მშვილდოსნობა**. ქალები. გუნდური. 1/2 ფინალი. I მატჩი |

| | |
|---|---|
| 12:00-12:30 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ოთხადგილიანი, მჩატე (თითო ნიჩბით). კაცები. საკვ. |
| 12:25-12:50 | **მშვილდოსნობა**. ქალები. გუნდური. 1/2 ფინალი. II მატჩი |
| 12:30-12:50 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ოთხადგილიანი (წყვილი ნიჩბით). ქალები. საკვ. |
| 12:40 | **წყალბურთი**. კაცები. აშშ-ჩინეთი (B ჯგუფი) |
| 12:45-14:30 | **კალათბურთი**. კაცები. ლიტვა-არგენტინა (A ჯგუფი) |
| 12:50-13:20 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. ოთხადგილიანი (წყვილი ნიჩბით). კაცები. საკვ. |
| 12:55-13:20 | **მშვილდოსნობა**. ქალები. გუნდური. მე-3 ადგილისთვის |
| 13:00-14:28 | **სპორტული ტანვარჯიში**. ქალები. კვალიფიკაცია. III დივიზიონი |
| 13:00-15:00 | **ფეხბურთი**. კაცები. არგენტინა-ავსტრალია (A ჯგუფი) |
| 13:00-15:00 | **ფეხბურთი**. კაცები. ნიგერია-იაპონია (B ჯგუფი) |
| 13:00-15:00 | **ფეხბურთი**. კაცები. ზელანდია-ბრაზილია (C ჯგუფი) |
| 13:00-15:00 | **ფეხბურთი**. კაცები. კამერუნი-ჰონდურასი (D ჯგუფი) |
| 13:00-19:00 | **ჩოგბურთი**. კაცები. ერთეულები. I რაუნდი |
| 13:00-19:00 | **ჩოგბურთი**. ქალები. ერთეულები. I რაუნდი |
| 13:00-19:00 | **ჩოგბურთი**. კაცები. წყვილები. I რაუნდი |
| 13:00-19:00 | **ჩოგბურთი**. ქალები. წყვილები. I რაუნდი |
| 13:20-13:40 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. რვაადგილიანი. ქალები. საკვალიფიკაციო |
| 13:25-13:50 | **მშვილდოსნობა**. ქალები. გუნდური. ფინალი |
| 13:40-14:00 | **აკადემიური ნიჩბოსნობა**. რვაადგილიანი. კაცები. საკვალიფიკაციო |
| 14:00-14:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. D ჯგუფი |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -52 კგ. მანუგეშებელი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -52 კგ. მანუგეშებელი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -52 კგ. ჯგუფი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -52 კგ. ჯგუფი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -66 კგ. მანუგეშებელი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -66 კგ. მანუგეშებელი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -66 კგ. ჯგუფი A (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -66 კგ. ჯგუფი B (ფინალი) |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -52 კგ. მე-3 ადგილისთვის A |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -52 კგ. მე-3 ადგილისთვის B |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -66 კგ. მე-3 ადგილისთვის A |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -66 კგ. მე-3 ადგილისთვის B |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. ქალები. -52 კგ. ფინალი |
| 14:00-15:30 | **ძიუდო**. კაცები. -66 კგ. ფინალი |
| 14:00-15:30 | **ბალახის ჰოკეი**. ქალები. ავსტრალია-კორეა (A ჯგუფი) |
| 14:30-14:49 | **ცურვა**. 100 მ. გულაღმა. ქალები. წინასწარი |
| 14:30-16:00 | **ბალახის ჰოკეი**. ქალები. არგენტინა-აშშ (B ჯგუფი) |
| 14:30-18:00 | **ბადმინტონი**. ქალები (ერთეულები). 1/16 ფინალი |
| 14:54-15:38 | **ცურვა**. 200 მ. თავისუფალი. კაცები. წინასწარი |
| 15:00-15:30 | **ფარიკაობა**. კაცები. დაშნა. ინდივიდუალური. I ნახევარფინალი |
| 15:00-15:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. D ჯგუფი |
| 15:00-15:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. ქალები. D ჯგუფი |
| 15:00-16:30 | **კრივი**. 64 კგ. 1/32 ფინალი |
| 15:00-16:30 | **ხელბურთი**. კაცები. ჯგუფური ტურნირი. პოლონეთი-ჩინეთი (A ჯგუფი) |
| 15:00-16:40 | **ძალოსნობა**. კაცები. 56 კგ. (A ჯგუფი) |
| 15:30-16:00 | **ფარიკაობა**. კაცები. დაშნა. ინდივიდუალური. II ნახევარფინალი |
| 15:40-18:00 | **ბადმინტონი**. კაცები (ერთეულები). 1/32 ფინალი |
| 15:43-16:03 | **ცურვა**. 100 მ. ბრასი. ქალები. წინასწარი |
| 15:45-17:45 | **ფეხბურთი**. კაცები. სერბეთი-კოტ დ'ივუარი (A ჯგუფი) |
| 15:45-17:45 | **ფეხბურთი**. კაცები. აშშ-ჰოლანდია (B ჯგუფი) |
| 15:45-17:45 | **ფეხბურთი**. კაცები. ბელგია-ჩინეთი (C ჯგუფი) |
| 15:45-17:45 | **ფეხბურთი**. კაცები. იტალია-კორეა (D ჯგუფი) |
| 16:00-16:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. F ჯგუფი |
| 16:00-17:28 | **სპორტული ტანვარჯიში**. ქალები. კვალიფიკაცია. IV დივიზიონი |
| 16:00-17:30 | **ფრენბურთი**. კაცები. ბულგარეთი-ჩინეთი (A ჯგუფი) |
| 16:00-17:45 | **კალათბურთი**. კაცები. ავსტრალია-ხორვატია (A ჯგუფი) |
| 16:08-16:35 | **ცურვა**. 100 მ. გულაღმა. კაცები. წინასწარი |
| 16:10-16:40 | **ფარიკაობა**. კაცები. დაშნა. ინდივიდუალური. მე-3 ადგილისთვის |
| 16:25-18:00 | **ბადმინტონი**. ქალები (წყვილები). 1/8 ფინალი |
| 16:30-18:00 | **ბალახის ჰოკეი**. ქალები. ჰოლანდია-ს. აფრიკა (A ჯგუფი) |
| 16:31-18:00 | **კრივი**. 69 კგ. 1/32 ფინალი |
| 16:40-17:07 | **ცურვა**. 400 მ. თავისუფალი. ქალები. წინასწარი |
| 16:40-17:10 | **ფარიკაობა**. კაცები. დაშნა. ინდივიდუალური. ფინალი |
| 16:45-18:15 | **ხელბურთი**. კაცები. ჯგუფური ტურნირი. დანია-ეგვიპტე (B ჯგუფი) |
| 17:00-17:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. F ჯგუფი |
| 17:00-18:30 | **ბალახის ჰოკეი**. ქალები. გერმანია-ბრიტანეთი (B ჯგუფი) |
| 17:11-17:20 | **ცურვა**. 4x100 მ. თავისუფალი ესტაფეტა. მამაკაცები. წინასწარი |
| 18:00-18:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. A ჯგუფი |
| 18:00-19:30 | **ფრენბურთი**. კაცები. პოლონეთი-გერმანია (B ჯგუფი) |
| 18:15-20:00 | **კალათბურთი**. კაცები. აშშ-ჩინეთი (B ჯგუფი) |
| 19:00-19:50 | **პლაჟის ფრენბურთი**. კაცები. D ჯგუფი |

გაიცანით ფავორიტი

# აქ თუ ვერ მოვიგე, ლონდონში გავიმარჯვებ



**უსაინ ბოლტი** მხოლოდ 21 წლისაა, მიუხედავად ამისა, სწორედ მას ეკუთვნის მძლეოსნობაში ყველაზე პრესტიჟულ დისტანციაზე - 100 მეტრზე მსოფლიო რეკორდი (9.72 წამი). ახალგაზრდა სპრინტერმა თანამემამულე **ასაფა პაუელის** წინა მიღწევა 0.02 წამით გააუმჯობესა და ფინიშის შემდეგ, ყოფილი რეკორდსმენისგან ასეთი სიტყვები მოისმინა: *"მადლობა იმისთვის, რომ ამ უმძიმესი ტვირთისგან გამანთავისუფლე. ეს საშინელი წნეხი იყო"*.

ბოლტი პეკინში ორ დისტანციაზე აპირებს გარბენას, ამასთან, "გრძელ სპრინტში" ანუ 200 მეტრზე ის უფრო კომფორტულად გრძნობს თავს და იმედი აქვს, რომ თავისი კუმირის **მაიკლ ჯონსონის** მსოფლიო რეკორდს გააუმჯობესებს. ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ბოლტი ბოლო მომენტამდე ორჭოფობდა - გაერბინა თუ არა ოლიმპიადაზე 100 მეტრი დისტანცია.

ბავშვობაში უსაინი კრიკეტით იყო გატაცებული, ამპლუის შეცვლა კი 15 წლის ასაკში გადაწყვიტა, როცა 200 მეტრზე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ბოლტი კვირაში ხუთ დღეს ატარებს სარბენ ბილიკზე, სამჯერ სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიშობს, ამასთან ყოველი ვარჯიში ორსაათნახევარს გრძელდება. თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად კალათბურთს თამაშობს. მისი საყვარელი გუნდი "ბოსტონ სელტიქსია".

ბოლტი ძალიან თვითკრიტიკულია და დღემდე მიაჩნია, რომ 100 მეტრზე სირბილში ჯერაც ბევრი რამ აქვს დასახვეწი, რათა თავის კუმირებს დაემსგავსოს.

- ბავშვობიდან ჰერბ მაკენლის, დონალდ კოურისა და მაიკლ ჯონსონს ვაღმერთებდი. ჰერბი პირველი იამაიკელი მორბენალი იყო, ვინც ოლიმპიადაზე 100, 200 და 400 მეტრ დისტანციებზე ფინალში გაალწია. დონმა ჩემს საყვარელ დისციპლინაში, "გრძელ სპრინტზე" მოიპოვა ოქროს მედალი. რაც შეეხება მაიკლ ჯონსონს, მან აღიარება თუნდაც იმის გამო დაიმსახურა, რომ მძლეოსნობი'ათვის ძალიან ბევრი რამ აქვს გაკეთებული.

**- გვითხარით თქვენი მთავარი ჰობის შესახებ.**

- ტელევიზორის ყურება მიყვარს. ხშირად ვუზივარ კომპიუტერულ თამაშებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ვირტუალური გასართობები მიტაცებს. ხშირად ბურთს დავტაცებ ხელს, პლაჟზე მივდივარ და მეგობრებთან ერთად ფეხბურთს ვთამაშობ.

**- ცნობილია, რომ ვარჯიშების დაძაბული გრაფიკი გაქვთ. საიდან იღებთ ასეთ კოლოსალურ მოტივაციას და რა გაიძულებთ სტარტებისთვის ასე თავგამოდებით მზადებას?**

- ამის მიზეზი ოჯახია, უფრო სწორად - დედაჩემი. ბავშვობაში ძალიან ზრუნავდა ჩემზე და ახლა მინდა, მისთვის იგივე გავაკეთო. დედაჩემი ყოველთვის გაღიმებული უნდა იყოს და თავისი შვილით ამაყობდეს.

**- არჩევანის საშუალება რომ გქონდეთ, რას მიანიჭებდით უპირატესობას - თქვენს საყვარელ 200 მეტრზე მსოფლიო რეკორდს თუ უბრალოდ, ოლიმპიადის ოქროს მედალს?**

- რა თქმა უნდა, მედალი მირჩევნია. რეკორდებზე არასოდეს ვფიქრობ, რადგან უმთავრესი საზრუნავი ტურნირებზე ჩემი შესაძლებლობების ასი პროცენტით გამომჟღავნებაა. ოლიმპიადას რაც შეეხება, აქ გამარჯვება ჩემი კარიერის მთავარი მიზანი და აზრია. პეკინში ტრიუმფისთვის მზად ვარ, მაგრამ თუ ახლა არ გამომივა, ოთხი წლის შემდეგ მხოლოდ 25 წლის ვიქნები და დანაკარგს ლონდონში ავინაზღაურებ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ინტერვიუ ომზარ შოშიტაშვილთან

# ამ ბიჭებით მთებსაც გადავაბრუნებთ

ამას წინათ თურქეთის ქალაქ სტამბოლში დამთავრდა ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საქართველოს ნარგზავნილებიც მონაწილეობდნენ. გვესაუბრება ჩვენი ქვეყნის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ომზარ შოშიტაშვილი**.

- ივლისში ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს, გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. გვეგონა, გადახალისებული ნაკრები მსოფლიო პირველობაზეც ისახელებდა თავს, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა ბოლომდე ვერ შეძლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა და საბოლოოდ კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ. წარუმატებლობაში მსაჯების ხელიც ურევია. ისინი აშკარად ემხრობოდნენ მასპინძლებს, რამაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა აღშფოთება გამოიწვია. ევროპის ჩემპიონ **შავაძეს** არბიტრებმა ნახევარფინალური პაექრობა სწორედ თურქ მეტოქესთან წაავგებინეს. მერე იგი მესამე ადგილისთვის საბრძოლველად ვერ განეწყო და საბოლოოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

კარგად იასპარეზეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა, რომლებმაც ევროპის პირველობაზე გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, პირადში კი სამი ოქროსა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. ეტყობა, ამ წარმატებით ძალიან გავაბრაზეთ რუსები და თურქები. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ანატოლი მარგიევმა მითხრა - ევროპის პირველობიდან დაბრუნებულებს მიხეილ მამიაშვილმა სულ თითი გვიქნიაო. არც თურქთა მწვრთნელები ყოფილან უკეთეს დღეში და უფროსების თვალში რეაბილიტაცია მსაჯების დახმარებით გადაწყვიტეს. 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში ძალიან დაგვიჩაგრეს კადეტთა და ახალაზრდებს შორის ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, 17 წლის ვლადიმერ ხინჩეგაშვილი. მესამე წრეში ჩვენებური თურქ აჰმეთ პეკერს შეხვდა. პირველი პერიოდი აშკარად წააგებინეს. მეორე პერიოდი ვლადიმერმა 3:0 მოიგო. მესამეში ისევ პეაერმა იმარჯვა და შემდეგ იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. დამამშვიდებელ ჯგუფში გორელმა მოჭიდავემ ორი შეხვედრა მოიგო და მესამე ადგილი დაიკავა.



განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გიორგი მარსაგიშვილის (74) შემართება. წლეულს ევროპის პირველობაზე მას „ბრინჯაო" ერგო. სტამბოლში მზად იყო უფრო მაღალი სინჯის მედალი მოეპოვებინა. ბედი არ გინდა? ასპარეზობის წინა დღეს მოიწამლა, შემდეგ შეჯიბრების მსვლელობისას დამამშვიდებელ ჯგუფში ინდოელ კლუბირ სინგჰ რანასთან დაპირისპირებისას წარბი გაიხეთქა. ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს ხალიჩაზე მის დასაბრუნებლად. გიორგიმაც ივაჟკაცა - ორი შეხვედრა მოიგო და „ბრინჯაოთი" დაიმშვიდა გული.

ახლოს იყო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან **ბექა ჭელიძე** (84). მან ნაკრებში **თორნიკე სვანიძე** შეცვალა. მოგეხსენებათ, თორნიკემ ევროპის პირველობაზე ჩემპიონობა მოიპოვა, მაგრამ ნახევარფინალში ნეკნი დაიზიანა. მართალია, თურქეთში გამგზავრებამდე მან გამოჯანმრთელება მოასწრო, თუმცა მწვრთნელებმა მაინც არ გარისკეს. თან საქმეში ჭელიძის გამოცდაც უნდოდათ. ბექამ იმედები გაამართლა - ფინალამდე აშკარა უპირატესობით დაამარცხა მეტოქეები. გადამწყვეტ შეხვედრაშიც არაფრით ჩამოუვარდებოდა რუსეთელ **აბდუსალიმ გადისოვს**, მაგრამ საკუთარ ფანდზე წამოეგო და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ჩვენ დელეგაციას მესამე ბრინჯაოს მედალი მძიმეწონოსანმა **ლევან ბერიანიძემ** მოუტანა. საგულისხმოა, რომ ლევანი 18 წლისაა, თან ჭიდაობა არც ისე დიდი ხნის წინათ დაიწყო. ვერც კი წარმოვიდგენდი, ასე დამაჯერებლად თუ იასპარეზებდა - ერთადერთი შეხვედრა კუბელ ელიერ რომეროსთან დათმო.

საბოლოოდ, 69 ქულით გუნდური პირველი ადგილი რუსებმა დაიკავეს. ეტყობა, მამიაშვილმა რიგიანად შეაფუცხუნა მწვრთნელები, რომლებმაც მდგომარეობის გამოსასწორებლად ნაკრები გადაზრდილი მოჭიდავეებით დააკომპლექტეს. კულისებში ამას ყველა აღნიშნავდა, მაგრამ ხმამაღლა აღიარებას მოერიდნენ. 49 ქულით მეორე ადგილზე ირანელები გავიდნენ. 41 ქულით მესამე ადგილი ჩვენ გვერგო...

**- ბატონო ომზარ, ეროვნულ ნაკრებ გუნდებზეც მინდა გკითხოთ: ოლიმპიური თამაშები პეკინში ოფიციალურად გაიხსნა. როგორ ფიქრობთ, რა შანსები გვაქვს ჩინეთის დედაქალაქში?**

- არაერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ - ჩვენი ბიჭების პოტენციალიდან გამომდინარე, გაუთვალისწინებელი რამ თუ არ მოხდა, 4-5 მედლის მოპოვება შეგვიძლია, მათ შორის ორი - ოქროსი. მოგეხსენებათ, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები კარგა ხანია, პეკინში არიან. 12 აგვისტოს **ლაშა გოგიტაძე** და **დავით ბედინაძე** იჭიდავებენ, 13-ში **მანუჩარ კვირკველიას** ჯერია, მომდევნო დღეს კი **ბადრი ხასაია** და **რამაზ ნოზაძე** გამოცდიან ძალებს. ნახეთ, რა ბიჭები გვყავს. თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე რა ლაღად მოაფრიალებდა ხუთჯვრიან დროშას რამაზ ნოზაძე.

**- არც ეგვიპტელი იბრაჰიმი გამოიყურებოდა ურიგოდ...**

- გეთანხმებით, დიდი მოჭიდავეა გაბერი. ათენის ოლიმპიური თამაშების ფინალში სწორედ მან დაგვიმარცხა ნოზაძე. ვფიქრობ, ჩვენებურმა რევანში უნდა აიღოს. სხვა თუ არაფერი, რამაზი შარშანდელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონია. გუნდში კიდევ ორი მსოფლიოს ჩემპიონი გვყავს - კვირკველია და ბედინაძე. ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანია ხასაია, რომელსაც წინა წლებშიც არაერთხელ გამოუჩენია თავი მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ამჟამად ბორჯომში განაგრძობენ წვრთნას. ჩინეთში ისინი 11 აგვისტოს გაემგზავრებიან, ხოლო ოლიმპიურ ხალიჩაზე 19 აგვისტოდან მოსინჯავენ ძალებს. გუნდში აქაც სახელოვანი ვაჟკაცები გვყავს. მათ შორის ორი მსოფლიოს ჩემპიონია - **რევაზ მინდორაშვილი** და **გიორგი გოგშელიძე**. ბოლო სამი წელიწადია, **ოთარ თუშიშვილს** მსოფლიოს ჩემპიონატებზე საპრიზო ადგილები არ დაუთმია. **გელა სალირაშვილმა** შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. **ბესიკ გუჩაშვილიც** ევროპის პრიზიორია. ასეთი მოჭიდავეებით ოლიმპიური ჯილდოების მოპოვება კი არა, მთების გადაბრუნებაც შეიძლება.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# მოვფერიანდით

მეორე ტური რომ უცუდესი გამოდგა ქართველი მოჭადრაკეებისთვის, გუშინ მოგახსენეთ. ცხადია, მომდევნო შეხვედრებში ვითარების გამოსწორებას ველოდით, მაგრამ ეჭვი კი გაგვიჩნდა, შეძლებდნენ თუ არა უსიამოვნო დღის დავიწყებას. საბედნიეროდ, ჩვენებურებმა ფსიქოლოგიური ტვირთი იოლად მოიხსნეს მხრებიდან და ისე ჩაამთავრეს დღე, არც ერთ მათგანს არ წაუგია; ვაჟებმა კი სულაც გაგვაკვირვეს - სამივემ იმარჯვა.

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ **თორნიკე სანიკიძემ** მოწინავე პოზიციები დათმო და ცხრილის შუაში ჩაიკარგა, თუმცა მეხუთე ტურში მეტოქე მაინც სერიოზული ჰყავდა - ებრაელი **ისრაელ კასპის** რეიტინგი 2412 აქვს, თორნიკეს - 2486. ასეთი სხვაობა ბევრად არ ითვლება და გამარჯვება გარანტირებული არა გაქვს, მით უფრო მაშინ, როცა შავებით თამაშობ. სანიკიძემ შეძლო და მეოთხე გამარჯვება ჩაიწერა აქტივში.

**ნოდარ ლორთქიფანიძე** შესაძლოა, ყველაზე გამოუცდელი იყოს მიმდინარე ტურნირზე - ამდენ დიდოსტატში და უმაღლესი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეთა გარემოცვაში მისი 2080 რეიტინგი ღიმილის მომგვრელად ჩანს. მეხუთე ტურში ნოდარი იტალიელ საერთაშორისო ოსტატ **დანილე ვოკატურის** ხვდებოდა თეთრებით და გაიმარჯვა. ენის წვერზე მადგას სათქმელი - შედეგი მოულოდნელი იყო-მეთქი, მაგრამ ნოდარმა რამდენიმე ასეთ წარმატებას უკვე მიაღწია ტურნირზე და მადის მოსვლის არ იყოს - მეტი და მეტი მოგვინდა.

**დავით ბენიძის** მეტოქე ამერიკელი **ტაილერი ჰაჯესი** იყო. ჰაჯესი არ გახლავთ ტიტულოვანი და მაღალრეიტინგიანი მოჭადრაკე, ამიტომ დავითისგან მისი ძლევა არ უნდა გაგვკვირვებოდა. ლორთქიფანიძესა და ბენიძეს 3,5-3,5 ქულა აქვთ. ლიდერებში ვერ არიან, ისევე როგორც სანიკიძე, მაგრამ 6 ტურის შემდეგ 3.5 ქულა არცთუ ურიგო შედეგია.

გოგონებში ასეთივე წარმატებულები ვერ ვიყავით, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ წაუგიათ: **მირანდა მიქაძემ** აზერბაიჯანელი **ნარმინ კაზიმოვა** დაამარცხა თეთრებით; **ქეთი წანალაშვილმა** შავებით ყაზახ **მადონა დავლეტბაევასთან** ქულა გაიყო; ყაიმითვე ითამაშა **ნაზი პაიკიძემ** - თეთრებით ჩეხ **სონა პერტლივას** ვერ მოუგო.

მეექვსე ტურში ჩვენებურთა წილისყრა შემდეგნაირია: მიქაძე (4.5)-**მარია მუზიჩუკი** (უკრ. 5); წანალაშვილი (3)-**ულდუზ ჰამრაკილოვა** (უზბ. 3); **ანა ბერკე** (ხორ. 3)-ნაზი პაიკიძე (3); სანიკიძე (4)-**მანუელ ჰოიოს ლეინი** (მექს. 4); **ედუარდო იტურიზაგა** (ვენ. 3.5)-ლორთქიფანიძე (3.5); **მარკუს რაგერი** (ავს. 3.5)-ბენიძე (3.5).

**ზვიად შათირიშვილი**

# მხოლოდ ქალებმა იყოჩაღეს

საბერძნეთის საკურორტო ქალაქ კავალაში დასრულდა რიგით მეჩვიდმეტე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 19 ქართველი მონაწილეობდა. ტურნირზე სამი კატეგორიის შეჯიბრი იმართებოდა - A, B და C. უძლიერესში, სადაც მამაკაცებთან ერთად ქალბატონებიც ასპარეზობდნენ, 17 ქართველი ცდიდა ძალებს, B-ში კი ორმა ჩვენებურმა - **ელისაბედ ზარქუამ** და **ანუკი ხაჟომიამ** ითამაშეს. საბოლოოდ ზარქუამ მერვე ადგილი დაიკავა, რაც მის განთესვის ნომერს უდრის და შესაბამისად, წარმატებად უნდა ჩაეთვალოს, ანუკიმ კი მეთორმეტე ადგილი დაიკავა და რახან მისი განთესვის ნომერი 21-ე იყო, ცხადია, მასაც შექება ეკუთვნის.

მთავარი ყურადღება, რა თქმა უნდა, უძლიერესი ჯგუფისკენ იყო მიპყრობილი. სამწუხაროდ, პრიზიორთა შორის, მეტიც - ათეულშიც კი ვერ შეძლო ვერც ერთმა ქართველმა შესვლა. საუკეთესო შედეგი **თამაზ გელაშვილმა** აჩვენა, რომელმაც 6 ქულით დაასრულა ტურნირი და მეჩვიდმეტე ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, იყოჩაღეს ქართველმა ქალბატონებმა - ქალთა შორის საუკეთესო **სალომე მელია** გახდა. სალომემ გელაშვილის დარად 6 ქულა დააგროვა, მაგრამ კოეფიციენტის გამო 25-ე ადგილი ერგო. 6 ქულით 26-ე ადგილზე გავიდა **ნანა ძაგნიძე**, ქალთა ჩათვლაში კი მეორე პოზიცია ერგო. მესამეზე სომეხი **ელინა დანიელიანი** გავიდა - მის ანგარიშზე 5.5 ქულაა.

სხვა ქართველთა შედეგები ასეთია: 32. **დავით მაღალაშვილი** - 5.5; 36. **მალხაზ სულაშვილი** - 5.5; 40. **გიორგი მარგველაშვილი** - 5.5; 41. **ნიკოლოზ შავთვალაძე** - 5.5; 58. **შოთა აზალაძე** - 5; 60. **დავით ჯოჯუა** - 5; 72. **ნოდარ დავარაშვილი** - 5; 74. **ინგა ქარხალაშვილი** - 4.5; 78. **სოფიკო ხუხაშვილი** - 4.5; 103. **დავით ლომსაძე** - 4; 126. **ციალა ქასოშვილი** - 3.5; 130. **სალომე ხაჟომია** - 3.5; 132. **მერი ჟორჟოლიანი** - 3.5.

**ზვიად შათირიშვილი**

# ქართველთათვის საუკეთესო მეხუთე ადგილია

დასრულდა სტამბოლის მეშვიდე საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი და თუკი წინა წლებში ქართველ დიდოსტატებს უპირველიათ კიდეც, წლეულს ასეთი ბედნიერება არ გვრგებია, თუმცა ახლოს კი იყვნენ ჩვენებურები მიზანთან. ყველაზე კარგი შანსი **ლევან ფანცულაიას** ჰქონდა, მაგრამ მერვე ტურში დამარცხდა და ჩემპიონობაზე ფიქრს გამოეთხოვა. ლევანს სამეულში შესვლის შანსიც რჩებოდა, მაგრამ ბოლო ტურშიც დანებება მოუხდა - სომეხ **ლევონ ბაბუჯიანთან** ვერას გახდა, ტურნირი 6.5 ქულით დაასრულა და საბოლოოდ მეთვრამეტე ადგილზე გავიდა.

ბოლო ტურში დამარცხდა **ვალერიანე გაფრინდაშვილიც** - აზერბაიჯანელ **გადირ გუსეინოვს** შავებით წინააღმდეგობა ვერ გაუწია. გაფრინდაშვილმაც 6.5 ქულას მოუყარა თავი და 21-ე ადგილით დაკმაყოფილდა.

ქართველთა შორის საუკეთესო შედეგი **მერაბ გაგუნაშვილმა** აჩვენა: მეცხრე ტურში თეთრებით მოუგო **თამარ წერეთელს** და 7.5 ქულა დააგროვა. როგორც ტურის დასრულების შემდეგ გამოჩნდა, 7.5 ქულა მერაბისთვის მეხუთე ადგილისთვის გახდა საკმარისი. ამდენივე კიდევ ექვსმა მონაწილემ მოაქუჩა, საქმეში კოეფიციენტი ჩაერთო და შესაბამისადაც დაალაგა მოჭადრაკეები, - მერაბზე კარგი კოეფიციენტი მხოლოდ ორს აღმოაჩნდა... 7.5 ქულით დაასრულა ტურნირი **გიორგი ბაღათუროვმაც**, მაგრამ კოეფიციენტით მეშვიდე ადგილი ერგო.

საუკეთესო შედეგი აქვს **ნინო ბაციაშვილაც** - 7 ქულით მეთოთხმეტე ადგიზე გავიდა. ნინომ ბოლო ტურში თურქი **ამარ ქამჩი** დაამარცხა თეთრი ფერით. მეთოთხმეტე ადგილი საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, რაც ქალთა შორის გამარჯვებას უნდა უდრიდეს. საბედნიეროდ, ასეც მოხდა და ნინომ ყველა ქალბატონს გადაუსწრო.

მეტ-ნაკლები წარმატებით ითამაშეს დანარჩენმა ქართველებმაც, თუმცა მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. თუ ვინ რომელ ადგილზე გავიდა, ქვემოთ შემოგთავაზებთ, საუკეთესო ათეულთან ერთად.

| |
|---|
| 1. სუატ ატალიკი (თურქ. 2585) - 8 ქულა |
| 2. ლევონ ბაბუჯიანი (სომხ. 2415) - 8 |
| 3. მიხაილ გურევიჩი (თურქ. 2631) - 7.5 |
| 4. არმან პაშიკიანი (სომხ. 2564) - 7.5 |
| 5. მერაბ გაგუნაშვილი (2566) - 7.5 |
| 6. გადირ გუსეინოვი (აზერ. 2643)- 7.5 |
| 7. გიორგი ბაღათუროვი (2482) - 7.5 |
| 8. ვალერი ავესკულოვი (უკრ. 2541) - 7.5 |
| 9. ევგენი ერმენკოვი (ბელ. 2463) - 7.5 |
| 10. ოგულქან კათნბაზალაი (თურ. 2281) - 7 |
| 14. ნინო ბაციაშვილი (2348) - 7 |
| 18. ლევან ფანცულაია (2607) - 6.5 |
| 21. ვალერიანე გაფრინდაშვილი (2452) - 6.5 |
| 22. მაკა ფურცელაძე (2300) - 6.5 |
| 25. თამარ წერეთელი (2341) - 6.5 |
| 40. ნონა დათუაშვილი (2153) - 6.5 |
| 42. თეონა მესხი (2085) - 6.5 |
| 44. ბელა ხოტენაშვილი (2352) - 6 |
| 48. თამარ ხმიადაშვილი (2210) - 6 |
| 50. ანა გავაშელი (2230) - 6 |

**ზვიად შათირიშვილი**

რაგბი. ლეგიონერები

# ურუშაძე და კაჭარავა ლუჟკოვის ფინალში

მოსკოვში მიმდინარე „მოსკოვის მერის თასის" გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა - **რატი ურუშაძისა** და **დავით კაჭარავას** გუნდმა, კრასნოიარსკის „ენისეიმ" მორიგ შეხვედრაში რუმინეთის „დინამო" დაამარცხა - 46:5. ამ გამარჯვებით ჩვენებურთა გუნდმა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც იაპონიის ვიცე- ჩემპიონი „სანტორი" დაუპირისპირდება.

რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრა გაიმართა საფრანგეთში. **გურამ კავთიძის** „ლიონი" სტუმრად **ლევან ლვაბერიძის** ყოფილ გუნდს, „გრენობლს" დაუპირისპირდა და 23:16 დამარცხდა. კავთიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

სტუმრად „ტულუზთან" ვერას გახდა მეორე დივიზიონის დებიუტანტი **ავთო კოპალიანის** „კოლომიე"- 12:46. კოპალიანმა მეორე ნახევარში ითამაშა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# რუსეთს ნერუში უთავკაცებს

რუსეთის რაგბის კავშირმა აღმასკომის სხდომაზე ეროვნული ნაკრების მწვრთნელის, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფრანგი სპეციალისტის **კლოდ სორელის** თანამდებობიდან განთავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. ნაკრებს დროებით ქვეყნის ჩემპიონის, მონინოს „ვვას" დამრიგებელი **ნიკოლაი ნერუში** უხელმძღვანელებს. გავრცელებული ინფორმაციით, რუსული რაგბის მამები სამხრეთ აფრიკელი მწვრთნელის **ბლიკის ხრუნველდის** ნაკრებში დაბრუნებას გეგმავენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

მეტოქეები. უელსი

# ტოშაკმა შემადგენლობა დაასახელა


ჯონ ტოშაკი

უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჯონ ტოშაკმა** კი გუშინ საქართველოსთან 20 აგვისტოს მატჩისთვის ნაკრების 19-კაციანი შემადგენლობა დაასახელა:

მეკარეები: **ბოაზ მიჰილი** (ჰალ სიტი), **სევის პრაისი** (დერბი, ინგლისი).

მცველები: **სემ რიკეტსი** (ჰალ სიტი), **ეშლი უილიამსი** (სუონსი), **სტივ ევენსი** (რექსჰემი), **კრეიგ მორგანი** (პიტერბორო, ინგლისი).

ნახევარმცველები: **კარლ ფლეტჩერი** (კრისტალ პალასი, ინგლისი), **ენდრიუ კროფტი** (ჯილინგემი, ინგლისი), **აარონ დევისი** (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი), **ოუენ ტუდორ ჯოუნსი** (სუონსი), **კარლ რობინსონი** (ტორონტო), **საიმონ დევისი** (ფულემი, ინგლისი), **ბრაიან სტოუკი** (დონკასტერი, ინგლისი), **ჯეისონ კუმასი** (უიგანი, ინგლისი), **დევიდ ვაუგენი** (ბლექპული, ინგლისი).

თავდამსხმელები: **ფრედი ისტვუდი** (ქოვენთრი, ინგლისი), **ჯერმენ ესტერი** (პლიმუთი, ინგლისი), **პაულ პარი** (კარდიფი), **რობერტ ერნშოუ** (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი).

ტოშაკს ბევრი არ უფიქრია და 6-თვიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში კვლავ გამოიძახა „ნოტინგემ ფორესტის" თავდამსხმელი **რობერტ ერნშოუ**. როგორც ირკვევა, ტრავმირებულ კაპიტან **კრეიგ ბელამის** არყოფნაში უელსის ნაკრებს საქართველოსთან „ნოტინგემ ფორესტის" ნახევარმცველი **აარონ დევისი** უკაპიტნებს. უელსი-საქართველოს ამხანაგური მატჩი 20 აგვისტოს სუონსიში, „ლიბერთი სთედიუმზე", ადგილობრივი დროით 20:05 სთ-ზე (23:05 სთ-ზე თბილისის დროით) დაიწყება. სუონსში ამ შეხვედრას ირლანდიის ნაკრების თავკაც **ჯოვანი ტრაპატონის** სამწვრთნელო შტაბის ერთ-ერთი წევრი დაესწრება - ირლანდია ხომ დამდეგ შესარჩევში ჩვენი ერთ-ერთი მეტოქეა.

**დავით ცაბაძე**

ირლანდია

# ტრაპატონი დოლითაც ერთობა

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი შეხვედრა 6 სექტემბერს თბილისში ირლანდიასთან გვაქვს. ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა ჩვენი მეტოქეც შეაშფოთა და გუშინ ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.

*„ყურადღებით ვადევნებთ თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. კონსულტაციებს გავაგრძელებთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს ფეხბურთის ედერაციასთან, ფიფასა და უეფასთან. საქართველოში გამგზავრების მსურველ ირლანდიელ გულშემატკივარს სათანადო კონსულტაციას გავუწევთ. იმედი გვაქვს, არ მოხდება კონფლიქტის ესკალაცია და მშვიდობა მალე დამყარდება",* - ამ შინაარსის განცხადება გაავრცელა გუშინ ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ.

ამ თემას გუშინ არაერთი ირლანდიური ინტერნეტსაიტი და სააგენტო შეეხო. ვებგვერდი „აირიშთაიმსი" კი უფრო შორს წავიდა და სტატიას ასეთი სათაური წაუმძღვარა - „ირლანდიის ნაკრების თბილისში თამაში საეჭვოა"...

*„ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციიდან მართლაც დაგვიკავშირდნენ და კონსულტაციები მიმდინარეობს. თუმცა ეს ჩვეულებრივი ამბავია. როცა ამა თუ იმ ქვეყნის ნაკრებს სტუმრად აქვს თამაში და იმ ქვეყანაში კონფლიქტის ესკალაცია ხდება, სტუმართა მხარე ყოველთვის ითხოვს უსაფრთხოების გარანტიებს. ასე რომ, მსგავს ვითარებაში პირველად არ ვიმყოფებით და საგანგაშო არაფერია. იმედი გვაქვს, ცხინვალის რეგიონში მალე სიმშვიდე დამყარდება და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე არ შეექმნება",* - „ლელოსთან" საუბარში აღნიშნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **სანდრო ცნობილაძემ**.

საქართველოსთან მატჩამდე ირლანდია 20 აგვისტოს ნორვეგიაში ამხანაგურ მატჩს გამართავს. ირლანდიელთა თავკაც **ჯოვანი ტრაპატონის** ნორვეგიელებთან თამაშისთვის ნაკრებში გამოსაძახებელთა ვინაობა ჯერ არ დაუსახელებია. ირლანდიური ვებგვერდების ცნობით, სამიოდე დღის წინათ ტრაპატონი დოლს დაესწრო. გუშინ კი სინიორ ჯოვანიმ **ლაიამ ბრედისთან** და **მარკო ტარდელისთან** ერთად ვესტპორტში „ოფენ ფან ფუტბოლის" სკოლა გახსნა.

**დავით ცაბაძე**

# სათასო მატჩები გადაიდო

ომი ომია და მას თავისი წესები აქვს. რუსეთის ხელისუფლებამ ყველა დაწერილი თუ დაუწერელი ნორმა დაარღვია და ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ომი წამოიწყო.

ორიოდე დღის წინათ დაგეგმილი იყო საქართველოს თასის 1/16-ფინალური მატჩების გამართვა, მაგრამ არსებული ვითარების გამო მატჩების თარიღები შეიცვალა.

პროფესიული ფეხბურთის ლიგის განცხადებაში ვკითხულობთ: *„როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობა ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციურ წესრიგს ამყარებს. გამომდინარე აქედან, საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის" გათამაშების მერვედფინალური ეტაპის მატჩების თარიღები შეიცვალა.*

*დღეს გასამართი მატჩი თბილისის ''ვიტ ჯორჯიასა'' და ''სამტრედიას'' შორის 9 აგვისტოსთვის გადაიდო. მატჩი გაიმართება 19:30 წუთზე, „ლოკომოტივის" სტადიონზე. საფეხბურთო კლუბ ცხინვალის ''სპარტაკისა'' და მარტვილის ''მერანის'' თამაში 13 აგვისტოს ჩატარდება, ხოლო რუსთავის ''ოლიმპისა'' და ზუგდიდის „ბაიას" შეხვედრა 12 აგვისტოს შედგება. ორივე თამაში 17:00 საათზე დაიწყება. ბოლნისის ''სიონი'' ფოთის „კოლხეთს" 9 აგვისტოს 17:00 საათზე უმასპინძლებს.*

*9 აგვისტოს „ზესტაფონი" საჩხერის ''ჩიხურას'' 17:30 წუთზე მიიღებს. თბილისის ''ლოკომოტივი'' საფეხბურთო კლუბ ''ჭიათურას'' 10 აგვისტოს 17:00 სთ-ზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ეთამაშება.*

*"ამერი" -''დილა'' , 12 აგვისტო, 17:00 საათი.*

*''დინამო'' - ''თბილისი'' დიღმის საწვრთნელი ბაზა, 17:00 საათი, 10 აგვისტო.*

*"სამტრედია" "ვიტ ჯორჯიასთან" სათამაშოდ თბილისისკენ გორის გავლით მოდიოდა, როცა რუსეთი გვბომბავდა. უსაფრთხოების მიზნით, თამაში გადავდეთ. იმედია, ხვალისათვის მაინც მოგვარდება ვითარება და შეხვედრა ხვალ მაინც ჩატარდება"* – გვითხრა პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა**.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ყენია დიდი ტალანტია

## ქართველ ვირტუოზს შალკეში აქებენ



გუშინ გელზენკირხენის „შალკეს" ოფიციალურმა ვებგვერდმა სტატია გამოაქვეყნა, რომელიც მთლიანად **ლევან ყენიას** ეხება.

„დიდი ტალანტის მქონე ლევან ყენია ჯერ კიდევ 17 წლისა გამოჩნდა „შალკეში". თუმცა მაშინ ის მხოლოდ 19-წლამდელთა გუნდში ვარჯიშითა და საკონტროლო შეხვედრებში მონაწილეობით შემოიფარგლებოდა. ყენიამ მალე გამოავლინა შესაძლებლობები და მწვრთნელების სიმპათიაც იოლად, მოკლე დროში დაიმსახურა.

30-ნომრიანი ქართველი ფეხბურთელი უკვე „შალკეს" ძირითადი გუნდის წევრია. ლევან ყენიას ახალ გუნდში თანამემამულე ლევან კობიაშვილი დაუხვდა. შესაბამისად, ყენიას ადაპტაციის პრობლემა არც ჰქონია. ყენია საკმაოდ კონტაქტურია. ის უკვე დაეუფლა გერმანულ ენას, თანაგუნდელებთან უკვე ახლო ურთიერთობა აკავშირებს და ახალ გუნდში თავს უცხოდ სულაც არ გრძნობს.

*„ყენია საოცრად ფლობს ბურთს, ჩინებული პასი აქვს და მოედნის კარგი ხედვით გამოირჩევა. ერთი სიტყვით, 1.76 მეტრი სიმაღლის ფეხბურთელი საოცარი ტექნიკით გამოირჩევა. ზუსტი და გამჭოლი პასის გაკეთებაც შეუძლია და გოლის ალღოც აქვს. ის დიდი ტალანტია, მაგრამ გარკვეული საფეხბურთო კომპონენტები კიდევ აქვს დასახვეწი. ახალგაზრდა თველ ფეხბურთელს საამისოდ მოთმინება და დიდი მუშაობა მართებს",* - აღნიშნავს „შალკეს" 19-წლამდელთა გუნდის თავკაცი **ნორბერტ ელგერტი**.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები

# კუპერი მალე ჩამოვა

თერთმეტი დღეც და, ეროვნული ნაკრების ახალ თავკაც **ექტორ კუპერს** უელსთან დებიუტი ექნება. თუმცა ჯერ არც კუპერი ჩამოსულა თბილისში და არც ნაკრებში გამოძახებულთა ვინაობაა ცნობილი. ჩვენი ინფორმაციით, კუპერის სანაკრებო სია 12-13 აგვისტოს გახდება ცნობილი.

*„ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები კუპერთან ყოველდღიურ კონტაქტში ვართ. არგენტინელ მწვრთნელთან კონტრაქტის ყველა დეტალი გარკვეული და შეთანხმებულია. ის მალე ჩამოვა თბილისში და ნაკრების შემადგენლობასაც დაასახელებს",* - გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

**დავით ცაბაძე**

# ფოთის კოლხეთი აღორძინდება?

## საკმაოდ სოლიდური ბიუჯეტი გვაქვს


თემურ ბარქაია

**ფოთის „კოლხეთს" საშველი დაადგა. ორი წლის განმავლობაში პორტისა და ქალაქისგან უპატრონოდ დარჩენილ გუნდს ბიზნესმენმა თემურ ბარქაიამ მიხედა და, შეიძლება ითქვას, ქართული ფეხბურთის აკვნად მიჩნეული, კომაში ჩავარდნილი კლუბი მოასულიერა.**

**ახლახან, საქართველოს თასის 1/16 ფინალში ფოთის „კოლხეთმა" უმაღლესლიგელი ახალციხის „მესხეთი" ორი მატჩის ჯამში დაამარცხა. ეტყობა, ქალაქის ხელმძღვანელობამ დაინახა „კოლხეთისა" და მისი მეპატრონეების მონდომება და კლუბის დახმარება გადაწყვიტა. ამის თაობაზე ფოთის „კოლხეთის" პრეზიდენტი თემურ ბარქაია გვესაუბრება.**

**- ბატონო თემურ, რამდენად მართალია, რომ ფოთის მერიაში „კოლხეთისადმი" დამოკიდებულება შეცვალეს?**

- დიახ, მერიაში გუნდის თანადგომის სურვილი გამოხატეს. დიდი ხნის განმავლობაში „კოლხეთს" ძალიან უჭირდა, მე და ჩემი მეგობრები ვცდილობდით, ფეხბურთი არ ჩამკვდარიყო და „კოლხეთის" აღორძინება რეგიონალლიგიდან დავიწყეთ.

საბედნიეროდ, გადავედით პირველ ლიგაში და ახალი სეზონიც მშვენივრად დავიწყეთ - თასიდან ახალციხის „მესხეთი" გამოვაგდეთ (0:1, 3:1). მერიაში ამის მერე გადაწყვიტეს გუნდის დაფინანსება. ამიერიდან „კოლხეთის" დამფუძნებელი, 50-პროცენტიანი წილით, ქალაქის თვითმმართველობა გახდა. ეს გუნდის მომავლისთვის ძალიან დიდი საქმეა და ვფიქრობ, „კოლხეთის" უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად გადადგმული ნაბიჯია.

**- ადრე ფოთის პორტსაც და მერიასაც გუნდის დაფინანსებას უკრძალავდნენ. ახლა რა შეიცვალა?**

- ეს იყო თავად მერიის სურვილი. თანაც გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ფეხბურთი პრიორიტეტულადაა გამოცხადებული. „კოლხეთი" ყველა ფოთელის გულისტკივილი იყო და ეს ნაბიჯი მოსალოდნელიც იყო.

სხვათა შორის, ჩვენმა საკადრო პოლიტიკამ გაამართლა. სამი წლის წინათ რეგიონალლიგაში გამოსვლა 16-17 წლის ბიჭებით დავიწყეთ. ბიჭები გაიზარდნენ, გამოცდილება მიიღეს და დღეს უკვე ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცნენ.

**- გუნდში მხოლოდ ფოთელები თამაშობენ?**

- 22 მოთამაშიდან აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივია. ახალწვეულები არიან მხოლოდ ბაკარანძე, ქმეთიანი, ჭიათურის „მაღაროელიდან" წამოსული ჩხარტიშვილი, „ამერი 2-დან" შენგელია და მისი მოგვარე მეკარე.

**- შეგიძლიათ გვითხრათ, კლუბის ბიუჯეტი რამდენად სოლიდურია და უმაღლესში გადასასვლელად თუ ხართ მზად?**

- ბიუჯეტი ნამდვილად სოლიდური გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რა მდგომარეობაშიც არიან პირველი ლიგის კლუბები, მით უფრო, დასავლეთ ზონაში, ძალიან კარგი ბიუჯეტი გვაქვს. ვფიქრობ, შედეგზე ფიქრის საშუალება მოგვეცა.

**- ანუ, უმაღლეს ლიგაში გადასვლას რეალურად თვლით?**

- დიახ, ესაა ჩვენი მიზანი. მონდომებას არ დავაკლებთ, ფოთელებს სიხარული რომ მივანიჭოთ. მე არანაკლებ მიხარია ის ფაქტი, რომ გუნდის წევრებს გათვითცნობიერებული აქვთ ის, თუ რას ნიშნავს „კოლხეთის" მაისურის მორგება.

**- რა გარანტია გაქვთ, რომ ფოთის მერია შეპირებულ თანხას მართლა ჩაგირიცხავთ?**

- ვიცით, რომ „კოლხეთის" თანადგომა სერიოზულად გადაწყვიტეს. „მესხეთთან" მოგება იმდენად მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა, რომ გადაწყდა, ფოთი აღარ შეიძლება ძველებურ მდგომარეობაში იყოს. აქ ხალხი გამოფხიზლდა.

**- მართალია, თითქოს კლუბის ბიუჯეტი ნახევარ მილიონამდე გაიზარდა, მერია კი 200 ათასს გიმატებთ?**

- მერია „კოლხეთის" დამფუძნებლად შემოვიდა და ბუნებრივია, მათგან პრაქტიკულ დახმარებას ველოდებით. თუმცა კონკრეტულად რა თანხას გადაიხდიან, უახლოეს დღეებში გვეცოდინება.

**- ფოთის პორტის დახმარების იმედი არ გაქვთ?**

- პორტს უცხოელები მართავენ. დირექტორი ინგლისელია, მოადგილე კი - ინდოელი. მათ დახმარებას გამოვრიცხავთ.

**- უმაღლესში გადასასვლელ ბრძოლაში თქვენს კონკურენტად ვის მიიჩნევთ?**

- ზუგდიდის „ბაიას" ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს, ჭიათურის „მაღაროელი" წელსაც ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. ჩემი აზრით, ამ ბრძოლაში ლანჩხუთის „გურიაც" ჩაერთვება. დიახ, ლანჩხუთში გუნდის აღორძინება გადაწყვიტეს და მთავარ მწვრთნელად თემურ მახარაძის თანაშემწე ავთო ნარიაშვილი ჩამოიყვანეს. ასეთი რამ კი ვერ მოხდებოდა „გურიას" ფული რომ არ ჰქონდეს.

რაც შეეხება სათასო მატჩებს, ჩვენი მიზანია, ფეხბურთელებმა რაც შეიძლება დიდი პრაქტიკა და გამოცდილება მიიღონ უმაღლესი ლიგის გუნდებთან შეხვედრებში. ახალციხის „მესხეთი" შარშანდელი სეზონის აღმოჩენა იყო და მისი დამარცხება იოლი არ ყოფილა. ახლა ბოლნისის „სიონს" შევხვდებით. ბიჭები ასე გაიზრდებიან და ეს გამოცდილება პირველ ლიგაში აუცილებლად გამოგვადგება. შევქმენით ფარმკლუბიც, რომელიც რეგიონალლიგაში ითამაშებს და მომავალ თაობას თავადვე გავზრდით.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფანტაზია ჩიტის ბუდეში



















ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ზურაბ მენთეშაშვილთან

# მე ვერ ავფეთქდები

## ჯერ ნუ დამაბერებთ

არიან ფეხბურთელები, რომლებიც ვერ ხვდებიან ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდზე, მათ არც თოქშოუებში იწვევენ, მათზე ბევრი რამ არ იციან, მაგრამ ისინი თავიანთ საქმეს კარგად აკეთებენ, მათ გარეშე გუნდი ვერ იკვრება, ისინი გუნდის ხერხემალს წარმოადგენენ.

ზურაბ მენთეშაშვილი ქართულმა საფეხბურთო მილეთმა მაშინ გაიცნო, როცა ის 18-წლამდელთა ნაკრებში გამოჩნდა. მაშინ ის მარჯვენა მცველად ან მარჯვენა ნახევარმცველად თამაშობდა, ბურთი ფეხზე ჰქონდა აკრული, თითქმის არ კარგავდა მას - ტექნიკა და მებრძოლი ხასიათი - ასეთი სინთეზი ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი ამპლუის ფეხბურთელისთვის.

ეროვნულ ჩემპიონატში მენთეშაშვილმა სამი წელიწადი დაჰყო - რუსთავის „გორდასა“ და თბილისის „ვიტ ჯორჯიაში“, მერე კი ლატვიაში წავიდა და ახლაც იქ თამაშობს.

მენთეშა, როგორც მას ახლობლები ეძახიან, ძალიან ფასეული ფეხბურთელია ეროვნული ნაკრებისთვის. თუ კარგად გავიხსენებთ თუნდაც კლაუს ტოპმიოლერის მიერ გაწვრთნილი საქართველოს ნაკრების მატჩებს, შეიძლება ითქვას, რომ მენთეშაშვილს თამაში არ ჩაუგდია. ზურა ახლა ლატვიურ „ვენტსპილსში“ თამაშობს, მანამდე კი რვა სეზონი ასევე ლატვიურ „სკონტოში“ გაატარა, ორჯერ რუსეთში სცადა დამკვიდრება, მაგრამ...

მენთეშაშვილს ვენტსპილსში რომ დავურეკეთ, ჯერ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩზე ვკითხეთ, როცა „ვენტსპილსმა“ ნორვეგიულ „ბრანს“ 2:1 სძლია, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, ზურამ კი ამ შეხვედრაში გოლი გაიტანა და მე-16 წუთზე გააძევეს...



- ვფიქრობ, გაძევებას არ ვიმსახურებდი, მსაჯმა ყვითელი ბარათი რომ მომცა, შევეკამათე და იმიტომ გამაძევა.

**- რვა წელიწადი „სკონტოში“ გაატარე და მერე „ვენტსპილსი“ რატომ ამჯობინე? ალბათ ერთ გუნდში ამდენი ხანი რომ იყავი, ცოტა არ იყოს, მოგბეზრდა...**

- საქმე ისაა, რომ ახლა „ვენტსპილსი“ პირობებით აღემატება „სკონტოს“ და გუნდიც უკეთესი გვყავს.

**- „ვენტსპილსის“ უკრაინელი მწვრთნელი რომან გრიგორშუკი რა პოზიციაზე გათამაშებს?**

- შემტევ ნახევარმცველად, ცენტრიდან ოდნავ მარცხნივ ვარ გადაწეული. გრიგორშუკი ლატვიურ ფეხბურთს კარგად იცნობს, რამდენიმე სეზონი აქვს ნათამაშები „დინაბურგში“.

**- ეროვნულ ნაკრებში სისტემატურად თამაშობ და შეიძლება ითქვას, საკვანძო ფეხბურთელიც ხარ, ასეთს კი კარგ ევროპულ გუნდში მოწყობა არ უნდა გაუჭირდეს. რატომ შერჩი ლატვიას ამდენ ხანს? თუ ის მომენტია, რომ ლატვიას ძალიან შეეჩვიე და მანდედან წასვლა აღარ გინდა?**

- ცოტა არ იყოს, დავიღალე ამდენ ხანს ლატვიაში თამაშით, მაგრამ სხვანაირად ჯერ არ გამოდის. ვლადიკავკაზის „ალანიაში“ მივედი და იქ დიდხანს ვერ დავრჩი. „ვენტსპილსამდე“ იაროსლავის „შინიკში“ ვიყავი, თითქმის ყველა თამაშში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ მერე ახალი მწვრთნელი მოვიდა და მითხრა, არ მჭირდებიო. მოკლედ, რუსეთში ფეხი ვერ მოვიკიდე.

**- რუსეთის გარდა ლატვიაზე უკეთესი ჩემპიონატი სხვა ქვეყნებსაც აქვთ...**

- ლატვიიდან ძალიან ძნელია კარგ ევროპულ ლიგაში მოხვედრა.

**- ასეთ დროს, ალბათ, ბევრია დამოკიდებული ფეხბურთელის აგენტის უნარზე...**

- კი, მაგრამ მე, ფაქტობრივად, არ მყავს აგენტი. რომ არა ეს ფაქტორი, კარგა ხნის წასული ვიქნებოდი ლატვიიდან.

**- ლატვიური კლუბების ფინანსურ შესაძლებლობებს როგორ შეადარებდი, მაგალითად, უკრაინის საშუალო დონის გუნდებთან?**

- ლატვიურ ფეხბურთში დიდი ფული არ ტრიალებს, აქაური გუნდები ფულით ვერ შეედრებიან უკრაინულ საშუალო გაქანების კლუბებს. „ვენტსპილსი“ კი ფინანსურად დანარჩენ ლატვიურ კლუბებზე ძლიერია და პირობებით კმაყოფილი ვარ.

**- ლატვიაში ფეხბურთი ძალიან უყვართ? ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე დაახლობით რამდენი გულშემატკივარი დადის?**

- ბევრი არა, რადგან აქ ფეხბურთი მაინცდამაინც არ უყვართ, უქმეებზე მატჩზე წასვლას დალევა, მოლხენა ურჩევნიათ.

**- და ასეთ ქვეყანაში მაინც გამართული საფეხბურთო ინფრასტრუქტურაა...**

- ასეა, ბავშვთა ფეხბურთს დიდ ყურადღებას უთმობენ, ყველაფერი მოწესრიგებულია, მინდვრებიც კარგია, მხოლოდ ერთ ლატვიურ გუნდს აქვს ხელოვნურსაფარიანი მოედანი. ერთი ეგ არის, ლატვიური ფეხბურთი გულშემატკივარს ვერ იზიდავს.

**- და ასეთი ქვეყნის ნაკრებმა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა მოახერხა, სადაც გერმანიას 0:0 ეთამაშა და ჯგუფში ჩატოვა...**

- კარგი ინფრასტრუქტურა ძალიან ბევრს ნიშნავს, საქართველოშიც ასე კარგად რომ იყოს დალაგებული ყველაფერი, ჩვენც მივაღწევდით რაღაცას.

**- 28 წლის ხარ და ამ ეტაპზე შენთვის რა უფრო მნიშვნელოვანია - ნახვიდე უკეთეს ლიგაში თუ იქ, სადაც უფრო მეტი ანაზღაურება გექნება?**

- მაინცდამაინც ნუ დამაბერებთ (იცინის), ჯერ კიდევ მინდა, მაღალ დონეზე თამაში მოვახერხო და მჯერა, ამასაც მოვესწრები. თუმცა ფინანსები მაინც მთავარია.

**- ზურაბ მენთეშაშვილს ყველა ფასეულ ფეხბურთელად მიიჩნევს საქართველოს ნაკრებში, თუმცა თითქმის ერთი ამპლიტუდით თამაშობ, შენგან არ ჩანს აფეთქებები...**

- მოედანზე ყველას თავისი საქმე აქვს, მეც რომ შევუტიო და, ასე ვთქვათ, ავფეთქდე, არ გამოვა. საქართველოს ნაკრებში შეტევა ჩემზე უკეთესად სხვებს ეხერხება, ისევე, როგორც დაცვით ფუნქციებში მე სხვაზე უკეთესი ვარ.

**- 20 აგვისტოს უელსთან ამხანაგური მატჩისთვის უკვე მოგივიდა მიწვევა?**

- კი, უელსში 18 აგვისტოს გვეწყება შეკრება.

**- საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, თუმცა ეს უკვე განსაკუთრებულ ეიფორიას არ იწვევს. ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ბევრი მწვრთნელი გამოიცვალა, მაგრამ საქმეს ეს ვერ წაადგა. როგორ ფიქრობ, რა არის ჩვენი ნაკრების უმთავრესი პრობლემა?**

- იმედია, ექტორ კუპერის ხელში რაღაცას ვიზამთ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს მონდომება გვაკლია, ასე ნამდვილად არ არის. სათითაოდ რომ ავიღოთ, საქართველოს ნაკრებს კარგი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ გუნდი არ გვივარგა და შედეგიც არ არის. არ ვიცი, ეს რისი ბრალია, ამის ახსნა ძალიან რთულია.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერი

# კვირკველია არ ნერვიულობს

## 7-მილიონიანი კარადენიზიც სკამზეა

**დავით კვირკველიამ** რუსეთში სეზონი ძალზე შთამბეჭდავად დაიწყო. უკრაინიდან პრემიერლიგურ ყაზანის "რუბინში" მოხვედრილი 27 წლის ქართველი თამაშებს ერთიმეორეზე უკეთესად ატარებდა და სიმბოლურ ნაკრებშიც რამდენჯერმე სხვადასხვა გამოცემის ვერსიით დასახელდა. თუმცა ვითარება შეიცვალა და ბოლო ორი მატჩია, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ყაზანელთა ძირითად შემადგენლობაში აღარ გამოჩენილა - "რუბინის" მთავარი მწვრთნელი **ყურბან ბერდიევი** მას აღარ ათამაშებს.

გუშინ შევეცადეთ, თავად ფეხბურთელთან გაგვერკვია, რა გახდა ამის მიზეზი: *„რუბინში“ ძირითად შემადგენლობაში ადგილს არავინ დამიჯავშნის. აქ ჩემ გარდა კიდევ უამრავი ფეხბურთელი თამაშობს და უდიდესი კონკურენციაა. მოთამაშეები რომ არ მოდუნდნენ, როტაცია ჩვენს გუნდში ხშირად ხდება.*

*რატომღაც მთავარმა მწვრთნელმა ლაშა სალუქვაძე მარჯვენა ფლანგიდან მარცხნივ გადმოიყვანა და ჩემს კონკურენტად აქცია. თუმცა, ალბათ, ეს დროებითი ნაბიჯია. მწვრთნელისაც მესმის - სულ ხომ არ მათამაშებს? არ გამოვრიცხავ, რომ მოთამაშეებს ფინიშამდე ამოსუნთქვის საშუალებას გვაძლევს.“*

დათო კი ამბობს, რომ როტაცია ბუნებრივი მოვლენააო, მაგრამ პირველივე ტურებიდან ის „რუბინის“ ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა და ასეთ შემთხვევაში, თუკი რაიმე მნიშვნელოვანი არ ხდება, მოთამაშეს არავინ ცვლის.

*„რა თქმა უნდა, მირჩევნია, სულ ვითამაშო, მაგრამ „რუბინში“ ისეთ ვარსკვლავებს არ ათამაშებენ, გაგიკვირდება. თურქ კარადენიზში 7 მილიონი დოლარი გადაიხადეს და ჩემთან ერთად სკამზე დასვეს. ესპანურ პრიმერა დივიზიონში ნათამაშები სავო მილოშევიჩი კი უმეტესად სკამზე ზის,“* - ამბობს კვირკველია.

მან მთავარ მწვრთნელ ყურბან ბერდიევთან კონფლიქტი გამორიცხა. სავარაუდოდ, მისი უთამაშებლობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს გახდა.

*“არა, რა კონფლიქტი? ჩვენ შორის არანაირი უსიამოვნება არ მომხდარა, უბრალოდ, მწვრთნელი დროებით არ მათამაშებს. საგანგაშო არაფერია. მხოლოდ ორი ტურია არ მითამაშია და ყურები არ ჩამომიყრია“.*

მერაბ მამულაშვილი

# ძოძუაშვილი წიგნებს ჩაუღრმავდა

სწავლა სიბერემდეო - **რეზო ძოძუაშვილი** და **ვლადიმერ ხაჩიძე** პროფლიცენზიის მისაღებად კიევში გაემგზავრებიან. ისეთი გამოცდილი სპეციალისტი, როგორიც ბატონი რეზოა (ორი ეროვნული ნაკრები გაუწვრთნია), თავად გახდა მოსწავლე და წიგნებში ჩაღრმავებას სულაც არ თაკილობს.

*“სადიპლომო ნაშრომი მაქვს დასაწერი და ასეთ დროსა და ვითარებაში იძულებული ვარ, დავჯდე და ბევრი ვიმუშაო. უამრავი წიგნი მაქვს დასამუშავებელი, ნაშრომის დასრულების შემდეგ კი სექტემბერში კიევში უნდა ჩავიდე და პროფლიცენზია ხელახლა გავიარო. როგორც მითხრეს, ყოველ 6 წელიწადში ერთხელ აუცილებელია კურსის გავლა და ცოდნის გადახალისება.*

*ჩემთან ერთად მოუწევთ სადიპლომო ნაშრომის ჩაბარება იოჟეფ საბოსა და კიდევ ბევრ ცნობილ მწვრთნელს. რაღაცით ეს ყველაფერი მანქანის ტექდათვალიერებას ჰგავს. სხვა რა გზაა? მოთხოვნებს ყველა უნდა დავემორჩილოთ. აგვისტოში მძიმე შრომა მოგვიწევს მე და ვოვა ხაჩიძეს და სექტემბერში კიევში გავემგზავრებით,”* - გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა.

მერაბ მამულაშვილი




ეროვნული ბიბლიოთეკა

თარიღი. 1979 წლის 11 აგვისტო

# მეორე სათასო ტრიუმფი



მანუჩარ მაჩაიძე



თენგიზ სულაქველიძე

## უხერხული მეტოქე

ქართული ფეხბურთის ისტორიაში სამი ისეთი თარიღია, არასდროს რომ დაგვავიწყდება. 1964 წლის 18 ნოემბერს თბილისის „დინამო“ პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1976 წლის 3 სექტემბერს საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა, ხოლო 1981 წლის 13 მაისზე, ალბათ, საუბარი აღარც ღირს. არანაკლებ მნიშვნელოვანი თარიღია 1979 წლის 11 აგვისტოც - თბილისის „დინამომ“ თავისი ისტორიის განმავლობაში მეორედ რომ მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი. საერთოდაც, ის სეზონი „დინამოსთვის“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო - ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სწორედ იმ წელს იყო დაუვიწყარი პაექრობები „ლივერპულთან“ და „ჰამბურგთან“. ერთადერთ ხინჯად ქართველ ქომაგებს, ალბათ, ის ჰქონდათ, რომ საბჭოთა კავშირის მოქმედი ჩემპიონი 1979 წელს მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. არადა, რომ არა უაზრო ექსპერიმენტი („ფრეთა ლიმიტს“ ვგულისხმობთ), „დინამოც“ იმდენივე ქულას დააგროვებდა, რამდენსაც იმ წლის ჩემპიონი - მოსკოვის „სპარტაკი“. ანუ, „დინამომ“ ოთხი ფრით მეტი ითამაშა დასაშვებ ლიმიტზე (რვა) და აქედან ორჯერ საყაიმო ანგარიში მოსკოველ თანაკლუბელებთან შეხვედრაში დაფიქსირდა. თანაც, თბილისშიც და მოსკოვშიც ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით - 1:1 დასრულდა. შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს, რომ ასე გრძელდებოდა სამი სეზონის განმავლობაში - ანუ, ზედიზედ ექვსი მატჩი 1:1 დამთავრდა! თასის ფინალის ძირითადი და დამატებითი დროც ფრედ დასრულდა და მხოლოდ პენალტების სერიაში გაიმარჯვეს თბილისელებმა. ამასთან, ქართველებს რევანშის წყურვილიც ჰქონდათ - 1970 წელს საბჭოთა კავშირის თასის ფინალში მოსკოვის „დინამომ“თბილისელი თანაკლუბელები დაამარცხა (2:1). ალბათ, იმის თქმაც საინტერესო იქნება, რომ მოსკოველთა ლეგენდარული და იმ დროისთვის 40 წელს გადაცილებული მეკარე **ლევ იაშინი** უძლური აღმოჩნდა ერთ ეპიზოდში. ანუ, იმ დროს, როცა თბილისის „დინამოს“ 19 წლის მარცხენა მცველმა **შოთა ხინჩაგაშვილმა** უძლიერესი დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა.

და კიდევ ერთ რევანშზეც: 1979 წლის თასის ფინალამდე ერთი კვირით ადრე თბილისის „დინამოს“ არანაკლებ პრინციპული მატჩი ჰქონდა; ხალხთა სპარტაკიადის ფინალში ერთმანეთს მოსკოვისა და საქართველოს ნაკრებები შეხვდნენ და გამარჯვება ჩვენს მეტოქეს დარჩა - 2:1. თანაც, საქართველოს ნაკრებს თბილისის „დინამო“ წარმოადგენდა, მაშინ როცა მოსკოვის „დინამოდან“ სპარტაკიადაზე ოთხი ფეხბურთელი იყო. საერთოდაც, თასის ფინალამდე თბილისის „დინამოს“ ერთობ გადატვირთული გრაფიკი ჰქონდა - ორ კვირაში შვიდი ოფიციალური მატჩის ჩატარება ნამდვილად არ იყო იოლი საქმე. ამიტომაც იყო, რომ ფინალამდე გაკეთებულ პროგნოზებში უპირატესობას მოსკოველებს აძლევდნენ...

## გზა ფინალამდე

წლის დასაწყისში თასის ჯგუფური ეტაპის მატჩები გაიმართა. ერთ-ერთ ქვეჯგუფს თბილისმა უმასპინძლა და „დინამოს“ სრული ტრიუმფით დასრულდა - 5 მატჩში 5 მოგება! აი, ჩვენი გუნდის შედეგებიც: ლენინგრადის „დინამოსთან“ - 2:1 (გუცაევი, დარასელია), ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“ - 5:0 (შენგელია - 3, გ. მაჩაიძე, გუცაევი), როსტოვის სკასთან - 2:1 (გუცაევი, გ. მაჩაიძე), ქუთაისის „ტორპედოსთან“ - 3:0 (დარასელია, გ. მაჩაიძე, გუცაევი), სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ - 2:0 (ჭილაია, ჩივაძე).

წარმატებით დავძლიეთ მეოთხედფინალური ბარიერიც: იმ დროისთვის უხერხულ მეტოქეს, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ **ვახტანგ ქორიძისა** და **მანუჩარ მაჩაიძის** გოლებით რომ მოვუგეთ. აი, ნახევარფინალში კი ერთობ მძიმე ბრძოლის გადატანა მოგვიხდა - მოსკოვში ცსკა-ს წინააღმდეგ. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ - გოლი ჩვენი გუნდის მცველებისა და მეკარის შეუთანხმებელ მოქმედებას მოჰყვა. მეორე ტაიმში **ვიტალი დარასელიამ** ანგარიში გაათანაბრა და მალე მეორეც უნდა გაგვეტანა: **დავით ყიფიანის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი **ვლადიმერ გუცაევმა** ვერ გამოიყენა. თუმცა დამატებით დროში ყიფიანმა მაინც შეძლო გოლის გატანა და „დინამოს“ ფინალის საგზური მოუტანა.

## დრამატული ფინალი

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ გადატვირთული კალენდრისა და წამყვანი ფეხბურთელების ხშირი ტრავმების გამო, თბილისის „დინამო“ ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ასპარეზობდა. გამონაკლისი არც ფინალური მატჩი იყო, რომელიც „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით დაიწყო: **გაბელია - სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი - დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გ. მაჩაიძე - გუცაევი, შენგელია.** შეხვედრა ისეთი გამოდგა, ფინალს რომ შეეფერებოდა: დაძაბული და გარდამავალი უპირატესობით. თბილისის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა **ნოდარ ახალკაცმა** შესვენების მერე ტრავმამოშუშებული დავით ყიფიანი შემოიყვანა, რომელმაც ვახტანგ ქორიძე შეცვალა. ამას კი ტაქტიკური გადაადგილებები მოჰყვა და ჩვენების უპირატესობაც ნელ-ნელა გამოიკვეთა. 61-ე წუთზე ახალკაცმა მეორე ცვლილებაც განახორციელა და ამ შემთხვევაშიც აქცენტი შეტევაზე იყო გადატანილი: მარცხენა მცველის დავით მუჯირის ნაცვლად მოედანზე შემტევი ნახევარმცველი, 19 წლის ნუკრი კაკილაშვილი შემოვიდა. თავის მხრივ, მოსკოველებიც აქტიურობდნენ; განსაკუთრებით კი - **ვალერი გაზაევი** და **ალექსანდრ მაქსიმენკოვი** (სპარტაკიადის ფინალში ორი გოლი რომ გაგვიტანა), თუმცა ოთარ გაბელიამ უშეცდომოდ ჩაატარა შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო. და აი, პენალტების სერიის დროც მოვიდა. იმდენად უცნაურად დაიწყო სერია, რომ დეტალურად გვინდა აღვწეროთ. პირველ დარტყმას დავით ყიფიანი ასრულებდა, მაგრამ მოსკოველთა მეკარეს **ნიკოლაი გონტარს** ვერ აჯობა; ამის მერე ბურთთან **ალექსანდრ მახოვიკოვი** მივიდა, თუმცა მოსკოველთა კაპიტნის დარტყმა ოთარ გაბელიამ მოიგერია. ეს ის მახოვიკოვია, იმავე წელს, ჩემპიონატის მატჩში (მოსკოვში რომ გაიმართა 22 ივნისს) ვლადიმერ გუცაევმა ფინტების კორიანტელით თავბრუ რომ დაახვია და, მართლაც, აბუჩად რომ აიგდო!

...ჩვენებიდან მეორე დარტყმას ვლადიმერ გუცაევი ასრულებდა და... კვლავაც უშედეგოდ, მაშინ, როდესაც უნერვო მაქსიმენკოვმა გაბელიას აჯობა და თავისი გუნდი დააწინაურა; კიდევ კარგი, ალექსანდრე ჩივაძეს მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა და ზუსტი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა; ამას კი გაბელიას მორიგი გმირობა მოჰყვა, როცა **ალექსეი პეტრუშინის** დარტყმა ლამაზ ნახტომში მოიგერია. დარჩენილი ორორი დარტყმა მეტოქეებმა ზუსტად შეასრულეს - ვიტალი დარასელიამ, ვადიმ პავლენკომ, რამაზ შენგელიამ და ალექსანდრ ბუბნოვმა. ამის მერე უარესი ნერვების თამაში წავიდა - პირველ გაცუდებულ პენალტამდე. მანუჩარ მაჩაიძესა და **ნიკოლაი ტოლსტიხს** თავიანთი გუნდები არ დაუღალატებიათ; თენგიზ სულაქველიძემაც, ყველასთვის მოულოდნელად, ეფექტური პენალტი შეასრულა; და აი, ვალერი გაზაევისა და ოთარ გაბელიას „დუელი“, რომელიც ქართველი მეკარის გამარჯვებით დასრულდა! ეს მართლაც ღირსეული გუნდის ღირსეული გამარჯვება იყო; გუნდის, ვისგანაც იმ წლებში ქართველი ქომაგი მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდა - ჩემპიონატში, თასის გათამაშებასა თუ ევროტურნირებზე...

დაბოლოს, 1979 წლის თასის ფინალის რამდენიმე მონაწილის შთაბეჭდილებებიც გვინდა შემოგთავაზოთ. ეს ფრაგმენტები კი ქართული ფეხბურთის დამსახურებულ პიროვნებებთან სხვადასხვა დროს ჩამორთმეული ინტერვიუებიდან გახლავთ.

**ვლადიმერ გუცაევი**: *„...მოსკოვის „დინამოსთან“ ჩემპიონატის მატჩის მერე მახოვიკოვი გვარიანად გამომთვრალა და გვიან ღამით ვალერი გაზაევთან ატირებულს შეუჩივლია: გუცაევმა ეს რა მიქნა, საქვეყნოდ შემარცხვინა და ფეხბურთიდან უნდა წავიდეო. გაზაევს კი „დაუმშვიდებია“: არა უშავს, არც პირველი ხარ და არც - უკანასკნელიო...*

*...იმდროინდელ უმაღლეს ლიგაში მოსკოვის „დინამოზე“ უხეში გუნდი არ არსებობდა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ჩვენთან თამაშამდე მოსკოველთა მთავარი მწვრთნელი სევიდოვი როგორ დავალებას აძლევდა თავის ფეხბურთელებს: „ნოვიკოვმა შენგელიას უნდა სდიოს, ნიკულინმა - გუცაევს, ტოლსტიხმა კი - ყიფიანს. ანუ, თქვენ, ფაქტობრივად არ თამაშობთ და არც... მოწინააღმდეგეს ათამაშებთ. თუკი რომელიმე თქვენგანს ერთ-ერთი იმათგანი გაგექცევათ, მაშინ „საკონტროლო გასროლა“ ბუბნოვმა უნდა მოახდინოსო...“*

**თენგიზ სულაქველიძე**: *„...სიმართლე გითხრათ, პენალტი არც მანამდე და არც მერე აღარ დამირტყამს! საერთოდაც, ყოველთვის ვთვლი და ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ასეა ცხოვრებაშიც და ასე არის - ფეხბურთშიც...*

*...ფინალში ნამდვილად არ ველოდი, პენალტის შესრულება თუ მომიწევდა; მაგრამ ხუთ-ხუთი დარტყმის შემდეგ, როცა საქმე „პირველ გაფუჭებამდეა“, ვიღაცას ხომ უნდა დაერტყა? მოკლედ, იძულებული ვიყავი (ზოგმა უარი თქვა), თან, როგორია, ჩვენმა ორივე „შტატიანმა“ პენალტისტმა - დათო ყიფიანმა და ვლადიმერ გუცაევმა დარტყმები გააცუდეს! ჰოდა, პენალტის ნიშნულს ვუახლოვდები და მხოლოდ ერთ რამეს ვფიქრობ: ახლა რომ ვერ გავიტანო და ფინალი წავაგოთ, საქართველოში აღარ ჩამესვლება-მეთქი...*

*...ერთ კუთხეს „მივაშტერდი“, სხვას ვერაფერს ვხედავდი. მერე ის იყო, რომ მოსკოვის „დინამოს“ მეკარე ნიკოლაი გონტარი სხვა მხარეს გადახტა, ბურთი კი ჩემ მიერ „ამორჩეულ“ კუთხეში შევარდა. ამის მერე კი გაბელიას ჯერიც დადგა...“*

**ოთარ გაბელია**: *„...პენალტების მოგერიების საიდუმლო, როგორც ასეთი, არაფერი მქონია. უბრალოდ, რეზო ჩელებაძეს დავუძახე და ვთხოვე, კარებს უკან დამდგარიყო. სანამ მეტოქე დასარტყმელად ემზადებოდა, მის დასანახად „ჩელეს“ ჟესტიკულაციით ვანიშნებდი - აი, ნახე, ამ კუთხეში დამირტყამსმეთქი. მე კიდევ... საპირისპირო მხარეს ვხტებოდი. მოკლედ, მახოვიკოვთან და პეტრუშინთან ამ ფანდმა გაჭრა, ტოლსტიხთან და მაქსიმენკოვთან - არა.*

*...ბოლო დარტყმის წინ „ჩელე“ აღარც „მჭირდებოდა“ - გაზაევს რომ შევხედე, ნერვიულობისგან ფერი არ ედო სახეზე; ეგ კი არა, კინაღამ... ულვაშები ჩამოსცვივდა! ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. მოკლედ, პენალტი რომ მოვიგერიე, ჯერ მატჩის არბიტრს მიროსლავ სტუპარს მივაშტერდი, ბოლოს კი ის მახსოვს, ყველაზე პირველი ცხონებული ვიტალი რომ შემომახტა...*

*...გაზაევი სანამ დაარტყამდა, პირჯვარი გადავიწერე და ტელეკამერებმაც თურმე მსხვილი კადრით მაჩვენეს. რა ინსტანციებიდან აღარ რეკავდნენ - ეგ როგორ, საბჭოთა სპორტსმენმა ასე, სახალხოდ, პირჯვარი როგორ გადაიწერაო? აუჰ, რა დრო იყო? თან, საქმე მხოლოდ დისკვალიფიკაციაში არ იყო - უფრო სერიოზული სანქციებითაც მემუქრებოდნენ. ცხონებული ჟიული შარტავა მომეხმარა და ერთად მოვიფიქრეთ „გამოსავალი“: ვითომ სახიდან ოფლს ვიწმენდდი და ტელეეკრანებზე კი სხვაგვარად გამოჩნდა-თქო. ჟიული შარტავას არც ის „დავიწყნია“, მოსკოვში ეცნობებინა, რომ კომკავშირის ხაზით მკაცრად დამსაჯეს პირად საქმეში საყვედურის შეტანით. ძალიან ცუდ სიტუაციაში ვიყავი და ვიმეორებ - რომ არა ბატონი ჟიული, მოვლენები როგორ განვითარდებოდა, ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი...“*



ოთარ გაბელია

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომა

# გადამწყვეტი დღეები

## ბაპტიშტას საქმე წინ მიდის, მალუდაზე პრადე და კენიონი ილაპარაკებენ. აფელაიც არ დაგვავიწყდეს



"რომა" ჟულიო ბაპტიშტასა და **ფლორან მალუდასთვის** ბრძოლას აგრძელებს. როგორც ამბობენ, "ჩელსის" გარემარბზე მოლაპარაკებისთვის "ჯალოროსის" სპორტული დირექტორი **დანიელე პრადე** ლონდონში ჩავიდა. "რომა" ჩქარობს. მართალია, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე არც ისე ცოტა დროა, მაგრამ თადარიგის დაჭერაა საჭირო, რადგან დაგეგმილ გარიგებათა ჩაშლის შემთხვევაში, იტალიის ვიცე-ჩემპიონმა ალტერნატივის გამონახვა უნდა მოასწროს.

იტალიური სააგენტოები დარწმუნებულნი არიან, რომ ბაპტიშტას ტრანსფერი დღე-დღეზე განხორციელდება. "რეალი" უკვე ჩამოყალიბდა იმაზე, რომ ბრაზილიელი ფორვარდი არ სჭირდება. **ბერნდ შუსტერს** ახლა **რაფაელ ვან დერ ვაარტი** ჰყავს. აი, რას ამბობს ბაპტიშტას ერთ-ერთი წარმომადგენელი **ჟუან ფიგერი**: *"რამდენიმე დღეც და იტალიაში ჩავალთ, რათა "რომას" ხელმძღვანელობასთან ერთად ტრანსფერის დეტალები განვიხილოთ".*

ხვალ "ჯალოროსი" "ტოტენჰემთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს. შეხვედრა "უაით ჰართ ლეინზე" ჩატარდება. რომაელებს მშვენიერი შანსი აქვთ, რომ ლონდონური ვიზიტი მალუდას ტრანსფერისთვის გამოიყენონ. "გაძეტა დელო სპორტის" თქმით, პრადესა და მის ლონდონელ კოლეგა **პიტერ კენიონს** შორის შეხვედრა უკვე დაგეგმილია.

მალუდამ თავისი პოზიცია დააფიქსირა. მას წასვლა და ახალი გამოწვევა სურს, თან "ჩელსიშიც" არავინ იჭერს. ერთი მხრივ, **ლუიშ ფელიპე სკოლარი** არ არის წინააღმდეგი, რომ ფრანგი გარემარბი დარჩეს, მაგრამ თავად მალუდა გუნდში თავის ადგილს ვერ ხედავს. ბოლო ამბები, რომელიც **რობინიოს** 20 მილიონიან (გირვანქა) ტრანსფერს ეხება, ადასტურებს, რომ "ჩელსი" მზადაა, მალუდა სერია A-ში გაუშვას.

პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ "ჯალოროსიმ", შეიძლება, განაახლოს ინტერესი "ეინდჰოვენის" ფორვარდ **იბრაჰიმ აფელაის** მიმართ. აფელაი 22 წლისაა და 15 მილიონ ევროდ ფასობს.



ვალენსია

# ბარსა სილვასთვის 25 მილიონს იმეტებს

## ჟიგიჩს სტოკ სიტი ელოდება

ბარსელონაში გამომავალი გაზეთი "სპორტი" გვაუწყებს, რომ **დავიდ სილვას** თაობაზე კატალონიურ გრანდსა და "ვალენსიას" შორის მოლაპარაკებები ფრიად წარმატებით მიმდინარეობს. ფინანსური კრიზისის გამო, "ღამურები" იძულებულნი არიან, ზოგიერთ წამყვან მოთამაშეს შეელიონ. თუმც ამას ხალისით ნამდვილად არ აკეთებენ. სილვას გარდა, საუბარია **დავიდ ვილიას** გასხვისებაზეც. თუმც ამ უკანასკნელის წარმომადგენელი გასაგებად ამბობს, რომ მისი კლიენტი "მესტალიის" დატოვებას არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში, ამ სეზონში მაინც. მეტიც, უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები კონტრაქტის გახანგრძლივებაზეც.

რაც შეეხება სილვას, იმავე "სპორტს" თუ ვენდობით, "ვალენსიასა" და "ბარსას" შორის გადამწყვეტი კონტაქტი ამ უიქენდზე შედგება. მოლაპარაკებების ძირითადი საგანი, ცხადია, ტრანსფერის საფასური იქნება. კატალონიელები 25 მილიონ ევროს ჩამოდიან. მიუხედავად იმისა, რომ "ვალენსიას" ფული ჰაერივით სჭირდება, თავს იფასებს და არ თანხმდება.

გუნდის მთავარი მწვრთნელი **უნაი ემერიც** შეგუებულია იმ აზრს, რომ ვილია და სილვა შეიძლება, წავიდნენ. არადა, "ვალენსიისთვის" ორივეს გადამწყვეტი როლი აკისრია: *"ისინი ფუნდამენტური მოთამაშეები არიან, მოთამაშეები, რომელთაც აბსოლუტურად ვენდობი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბაზარზე მათზე დიდი მოთხოვნაა. ნამდვილად არ ვიცი, რა სიტუაციაში ვიქნებით 31 აგვისტოსთვის, მაგრამ დღევანდელი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი რჩებიან".*

აი, **ნიკოლა ჟიგიჩს** კი ემერი კალთებს ნამდვილად არ დაახევს. აყლაყუდა სერბს პრემიერლიგაში აღზევებული "სტოკ სიტისკენ" აქვს გეზი აღებული. 27 წლის ჟიგიჩს 10 მილიონ გირვანქად აფასებენ. ინგლისური კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **ტონი სქოულზი** ვალენსიაში ჩაფრინდა, რათა ტრანსფერს წერტილი დაუსვას.

იუვენტუსი

# ტრეზეგე მეოთხე ფორვარდად?




"ილ ჯორნალეს" თუ დავუჯერებთ, **დავიდ ტრეზეგეს** სკამზე ჯდომა ემუქრება. "იუვენტუსში" თავდამსხმელების სიჭარბეა. **კლაუდიო რანიერის** ოთხი სრულფასოვანი ფორვარდი ჰყავს და ოთხივეს ძირითადში თამაშის პრეტენზია აქვს. ფაქტია, მწვრთნელი მათ ხუშტურებს ვერ დააკმაყოფილებს. ვილაც უნდა შეეგუოს, რომ სკამის ხეხვა მოუწევს, მაგრამ თუ ვერ შეეგუა, გამოსავალი ტრანსფერზე დაყენება იქნება.

დღევანდელი გადასახედიდან, სწორედ ტრეზეგეა ის ფორვარდი, რომელსაც რანიერი, სავარაუდოდ, რეზერვში გაამწესებს. წინასასეზონო ამხანაგურ მატჩებში თავი ძირითადად **კარვალიო ამაურიმ** და **ვინჩენცო იაკვინტამ** გამოიჩინეს. შესაბამისად, საუკეთესო წყვილიც, ჯერჯერობით, ესაა. ამ მომენტისთვის ყველაზე ცოტა **ალესანდრო დელ პიეროს** აქვს ნათამაშები. კაპიტანი ჯერ ევროპის ჩემპიონატზე იყო, მერე არდადეგებზე და გუნდთან ერთად ვარჯიში გვიან დაიწყო. გასაკვირი არაა, რომ დელ პიერო სასურველი ფორმისგან შორსაა. ესეც არ იყოს, სკამზე ჯდომა მას ისედაც ნაკლებად ემუქრება.

მაგრამ როგორია, ძირითადში ნაკლებად ათამაშო ფორვარდი, რომელსაც ყველა სეზონში სტაბილურად გააქვს თავისი წილი. ბოლო ჩემპიონატში "ტრეზეგოლმა" 20-ჯერ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე და რომ არა მცირე საგაზაფხულო ჩავარდნა, ბომბარდირიც გახდებოდა. ერთი მხრივ, ტრეზეგეს ჰქონდა შანსი, "ბარსელონაში" გადასულიყო, მაგრამ "იუვემ" მისი გასხვისება არ ისურვა. მაგრამ თუ მართლაც სკამზე ჯდომა მოუწევს, ეს მისთვის ბოლო ტურინული სეზონი იქნება. ცნობისთვის, "ბიანკონერის" შემადგენლობაში ჩატარებულ 218 მატჩში მან 160 გოლი მიითვალა.

გერმანიის ნაკრები

# ლემანი ლიოვს გარანტიას ვეღარ მისცემს

## 38 წლის მეკარისთვის ბუნდესგუნდი უკვე წარსულია

გადაწყვეტილება საბოლოოა და გადახედვას აღარ ექვემდებარება: **იენს ლემანმა** გერმანიის ნაკრები დატოვა. პრინციპში, დროც იყო. ლემანი 38 წლისაა. ბუნდესგუნდში მას 61 მატჩი აქვს ჩატარებული. იენსმა ეტიკეტი დაიცვა და გადაწყვეტილების შესახებ პირველად **იოახიმ ლიოვი** ჩააყენა საქმის კურსში:

*"ვეცადე, გასაგებად ამეხსნა მწვრთნელისთვის, რომ როცა "შტუტგარტთან" ჩემი ერთწლიანი კონტრაქტი ამოიწურება, გარანტია არ არის, კიდევ შევძლო ფეხბურთის თამაში. ამიტომაც ვთხოვე ლიოვსა და მეკარეთა მწვრთნელ ანდრეას კიოპკეს, რომ ამიერიდან ნაკრებში აღარ გამითვალისწინონ".*

ლემანს გერმანიის ეროვნულ გუნდში დებიუტი 1998 წელს, ომანის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ჰქონდა. მისი უკანასკნელი ბრძოლა კი ესპანეთთან ევრო 2008-ის ფინალი იყო, რომელიც, მისდა სამწუხაროდ, მარცხიანი გამოდგა.

ახლა ლემანის მემკვიდრეობაზე ატყდება ერთი ამბავი. ლიოვს დიდი არჩევანი აქვს. გერმანია მდიდარია მაღალი კლასის მეკარეებით. მაგრამ დიდი არჩევანი, ამავდროულად, დიდი თავსატეხიცაა. მედიისა და სპეციალისტების აზრით, ბუნდესგუნდის პირველი კიპერი "ლევერკუზენის" მეციხოვნე **რენე ადლერი** გახდება. ადლერი 23 წლისაა. ვარაუდობენ, რომ 20 აგვისტოს, ბელგიასთან ნიურნბერგში გასამართ ამხანაგურ მატჩში, გერმანელთა კარს სწორედ ადლერი დაიცავს.



ვილიარეალი

# სენამ ყველა მოიცილა



**მარკუშ სენა** ევრო 2008-ის ერთ-ერთი ვარსკვლავი იყო და ესპანეთის ნაკრების ჩემპიონობაში გვარიანი წვლილიც შეიტანა. "ვილიარეალის" შთამბეჭდავი სეზონიც მის გარეშე ასეთი ნამდვილად ვერ იქნებოდა. ამ მოვლენებმა სენას საბაზრო ფასი თითქმის ორჯერ გაზარდა, მით უფრო ევროპის ჩემპიონატის შემდეგ. სან პაულოში დაბადებულმა 32 წლის საყრდენმა არაერთი წინადადება მიიღო. ესპანური ტრიუმფის ერთ-ერთი შემოქმედი, აწ უკვე "ფენერბაჰჩეს" თავკაცი **ლუის არაგონესი** მას თურქეთისკენ ექაჩებოდა...

მაგრამ იყო უფრო მაცდური შეთავაზებებიც: მაგალითად, "იუვენტუსი", "არსენალი"... სხვათა შორის, **ოუენ ჰარგრივსის** "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლამდე, სერ **ალექს ფერგიუსონისთვის** სასურველ მოთამაშეთა შორის, სენა ერთ-ერთი პირველი იყო...

სულ ბოლოს, მისით ყველაზე მეტად **არსენ ვენგერი** იყო დაინტერესებული. ამ ზაფხულს მოსიე არსენს ნახევარდაცვაში სერიოზული ძალა დააკლდა: გუნდიდან წავიდნენ **მატიო ფლამინი** და **ჟილბერტო სილვა**. მაგრამ სენა ვენგერისთვისაც მიუწვდომელი აღმოჩნდა. ფეხბურთელის კატეგორიული უარი გახდა იმის მიზეზიც, რომ "იუვენტუსმა" შუა ხაზისთვის **კრისტიან პოულსენი** შეარჩია. დავვეთანხმებით, პოულსენი სენას სრულფასოვანი ალტერნატივა არ არის.

გუშინ "ვილიარეალის" ლიდერმა "დეილი მეილს" ასეთი კომენტარი მისცა: *"დიახ, მართალია, რომ "არსენალისგან", "იუვენტუსისა" და "ფენერბაჰჩესგან" სერიოზული წინადადებები მქონდა, მაგრამ გადავწყვიტე, "ვილიარეალში" დავრჩენილიყავი. მიზეზი მარტივია: თავს აქაც ბედნიერად ვგრძნობ. იმედი მაქვს, ამ სეზონში ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ და დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში ჩემი გუნდისთვის დიდი სამსახურის გაწევა შემიძლია".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის ჩემპიონატი

# ლიონი, ისევ უალტერნატივო ფავორიტი

## ჟიულიმ პარი სენ ჟერმენს ღიმილი დაუბრუნა, მაკელელემ კი ამბიცია...

დღეს საფრანგეთის ჩემპიონატი იწყება. „გარდიანმა" ამ მოვლენას მოზრდილი სტატია მიუძღვნა. მან ტურნირის უმთავრეს ფავორიტად ბოლო წლების უცვლელი ჩემპიონი „ლიონი" დაასახელა, შეაფასა კლუბების შანსები და დაასკვნა, რომ „ლიონის" ჰეგემონიის დარღვევა მხოლოდ ერთ კლუბს, მარსელის „ოლიმპიკს" შეუძლია.

ფრანგი გულშემატკივრებისათვის წლევანდელი ზაფხული ავადმოსაგონარი გამოდგა. საფრანგეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე სრული ფიასკო იწვნია. ფრანგები ჯგუფიდან ვერ გავიდნენ. სამარცხვინო შედეგის მიუხედავად, მთავარმა მწვრთნელმა **რაიმონ დომენეკმა** თანამდებობა შეინარჩუნა.

„ლილის" პრეზიდენტი **მიშელ სეიდუ** ამ იმედგაცრუებულ გულშემატკივრებს შორის იყო, თუმცა მას მოწყენილობის სხვა მიზეზიც ჰქონდა: სეიდუს მთავარი მწვრთნელის, **კლოდ პიუელის** „ლიონში" გაშვება მოუხდა. სხვათა შორის, ლიონელთა ერთ-ერთი ბოსი მისი ღვიძლი ძმა, **ჟერომ სეიდუ** გახლავთ. „ლილი" დამრიგებელს არ გაუშვებდა, პიუელს რომ არ ეთხოვა. ახალ გუნდში ჩადასვლიდან ორი დღის შემდეგ, პიუელმა „ლილის" წამყვანი ნახევარმცველი **ჟან მაკუნიც** წაიყვანა. ამგვარად, „ლილს" ორი საკვანძო ფიგურა გამოაკლდა. მათ გარეშე გუნდს შარშანდელი შედეგის გამეორებაც (მეშვიდე ადგილი) გაუჭირდება.

„ლიონზე" რაღა ვთქვათ? ეს გუნდი ბოლო შვიდი ჩემპიონატის გამარჯვებულია, მაგრამ ბოლო ოთხი წლიდან მესამედ, გუნდი ტიტულის დაცვას ახალი მწვრთნელით შეეცდება. პიუელი უფრო ავტორიტეტული სპეციალისტია, ვიდრე მისი წინამორბედი **ალენ პერენი**. პერენმა გუნდში ერთი სეზონი გაატარა. მან საფრანგეთის ჩემპიონატი და თასი მოიგო, მაგრამ მაინც კარისაკენ მიუთითეს. მოსიე პერენმა „სტად ჟერლანზე" ავტორიტეტი ვერა და ვერ მოიპოვა. მან ვერც ფეხბურთელებთან გამონახა საერთო ენა და ვერც კლუბის ხელმძღვანელობასთან. გულშემატკივრებმა ალენ პერენს მოსიარულე გვამი შეარქვეს.

ახალმა დამრიგებელმა ორი მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გადაჭრას — რა მოუხერხოს **ჟუნინიო პერნამბუკანოსა** და როგორ გამოიყენოს **ქარიმ ბენზემას** პოტენციალი. ჟუნინიო „ლიონის" შვიდივე ტიტულის თანამონაწილეა. ის ფანების საყვარელი ფეხბურთელია, მაგრამ ბოლო დროს ვეღარც უწინდელი დინამიურობით გმოირჩევა და ვეღარც შედეგიანი თამაშით. ამიტომაც „ლიონმა" მაკუნი და ნიცელი ფლეიმეიქერი **ედერსონი** შეიძინა. კიდევ ერთ ცენტრალურ ნახევარმცველს, **ჟერემი ტულალანს** ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს. ჟუნინიოს შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი შრომა მოუწევს.

გასულ სეზონში „ლიონი" ერთი თავდამსხმელით თამაშობდა. გუნდს შეტევაში ქარიმ ბენზემა ჰყავდა. პიუელი 4-4-2 სქემას ანიჭებს უპირატესობას. ბენზემას პარტნიორობას გაუწევენ **ფრედერიკ პიკიონი, ფრედი**, ან **სიდნი გოვუ**. ამ უკანასკნელს „პორტსმუთში" გადასვლა სურდა, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა.



ქარიმ ბენზემა, ფავორიტების საუკეთესო ფეხბურთელი

ფრანგი მიმომხილველების აზრით, როგორი სქემაც არ უნდა აირჩიოს პიუელმა, შეგვიძლია, დარწმუნებული ვიყოთ, რომ „ლიონი" გამართულ ფეხბურთს ითამაშებს. მას ამაში ორი ახალწვეული — მეკარე **უგო ლიორისი** და განაპირა მცველი **მირალ პიანიჩი** დაეხმარებიან. ამ უკანასკნელს ფრანგ **აარონ რემსის** უწოდებენ. რემსი 17 წლის უელსელი მცველია, რომელიც „არსენალმა" შეიძინა. „ლიონის" დაცვის ბურჯია **ჯონ მენსა,** განის ნაკრების ათლეტური კაპიტანი. მენსას შეუძლია, ისეთივე ავტორიტეტი გახდეს, როგორიც მისი თანამემამულე მიკაელ ესიენი იყო. მოგეხსენებათ, ამჟამად ესიენი „ჩელსის" საკვანძო ნახევარმცველია.

გასულ სეზონში, „ლიონს" ყველაზე სერიოზული კონკურენცია „ბორდომ" გაუწია. გასკონელთა მთავარი მწვრთნელია **ლორან ბლანი**. მოსიე ბლანი მიიჩნევს, რომ ახალ სეზონში, მის გუნდს ვერცხლის მედლებისათვის ბრძოლა გაუჭირდება. მიმომხილველები ახალგაზრდა მწვრთნელს ზედმეტ თავმდაბლობაში ადანაშაულებენ. მათი აზრით, „ბორდომ" ნაყოფიერი სატრანსფერო კამპანია ჩაატარა. მან დაცვა **დიეგო პლასენტეთი** გააძლიერა, ხოლო პენსიაში გასული ფლეიმეიქერის, **ჟოან მიკუს** ადგილზე მილანელი **ჟოან გურკუფი** მიიყვანა.

გურკუფმა საკონტროლო მატჩები მაღალ დონეზე ჩაატარა. ნახევარდაცვაში მისი პარტნიორია **ჟოან გუფრანი**. გუფრანი „კანიდან" შეიძინეს. ამ ყმაწვილების დუეტს „ჟო-ჟო" დაარქვეს. „ბორდოს" თავდასხმაში ჰყავს მოსკოვის „სპარტაკის" ყოფილი თავდამსხმელი **ფერნანდო კავენაგი**. მან მარტო 2008 წელს 15 გოლი გაიტანა. კავენაგის გარდა, წინა ხაზში თამაშობენ **მარუან შამახი** და **დავიდ ბელიონი**.

თუ „ბორდო" წაიფორხილებს, „ლიონის" ძირითადი კონკურენტის როლს მარსელის „ოლიმპიკი" შეასრულებს. მარსელელები სასწაულებრივად გარდაისახნენ მას შემდეგ, რაც ოქტომბერში, გუნდის მთავარ მწვრთნელად **ერიკ გერეტსი** დაინიშნა. „ოლიმპიკის" ერთადერთი სერიოზული დანაკარგია **სამირ ნასრი**. ახალგაზრდა ნახევარმცველი ლონდონის „არსენალში" გადავიდა.

**ჰატემ ბენ არფასა** და **ბაკარი კონეს** სახით, გუნდს მრისხანე თავდასხმელები ჰყავს. მარსელელთა განკარგულებაშია **ჯიბრილ სისეც**, მაგრამ ის სამსახურის შეცვლას აპირებს. საფრანგეთის ნაკრების ფორვარდს ინგლისური კლუბები ეპატიჟებიან.

თუ სისე წავა, ხოლო გერეტსი 4-2-3-1 სქემას აირჩევს, ის წინა ხაზში ბენ არფას, **ვალბუენას, ნიანგსა და კონეს** დააყენებს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ მარსელელებს სისეს გარეშეც მრისხანე თავდასხმა ეყოლებათ. გუნდმა ორი ცენტრალური მცველი, **ილტონი და ელ ამინ ერბათი** შეიძინა. „მარსელის" საჩემპიონო შანსები ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად საიმედოდ ითამაშებს დაცვა. საკონტროლო მატჩებით თუ ვიმსჯელებთ, მარსელელები „ლიონს" აშკარად ჩამოუვარდებიან.

ბევრს ელიან „სენტ ეტიენისაგან". გუნდმა შარშანდელი სეზონი მძიმედ დაიწყო. მთავარ მწვრთნელ **ლორან რუსეს** დათხოვნის საფრთხეც კი დაემუქრა, მაგრამ საბოლოოდ მისმა შეგირდებმა ევროპული საგზურები მოიპოვეს — სხვათა შორის, პირველად 27 წლის განმავლობაში. „სენტ ეტიენს" სამი ახალწვეული ჰყავს: **სილვენ დესტენი, დაისუკე მაცუი** და **სებასტიან გრაქსი**. მოსიე რუსე უმთავრეს მიღწევად იმას მიიჩნევს, რომ პერსპექტიული თავდამსხმელი **ბაფეტიმბი გომისი** შეინარჩუნა. ბევრის გასაკვირად, **რაიმონ დომენეკმა** გომისი ევროპის ჩემპიონატის განაცხადში შეიყვანა. ბაფეტიმბიმ თვით **დავიდ ტრეზეგეს** ადგილი დაიკავა.

დიდი ამბიციები ექნება გასულ სეზონში სიმყუდროვის დამრღვევ „ნანსის". შარშან ეს კლუბი საკუთარ თავს გადაახტა და მეოთხე ადგილზე გავიდა. ზაფხულის ტრანსფერებისას „ნანსი" ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა, **კიმ** და **სებასტიან პიუგრენიემ** დატოვა. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ნანსელები მაღალი მიზნებისათვის ვეღარ იბრძოლებენ და მათთვის უფრო ჩვეულ ადგილას, ცხრილის შუაგულში გაჩერდებიან.

ახალ სეზონში, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კლუბი „პარი სენ ჟერმენი" იქნება. დედაქალაქური კლუბი პირველი ლიგიდან გავარდნას სასწაულებრივად გადაურჩა. ამავე დროს, მან საფრანგეთის ლიგის თასი მოიპოვა და ევროპულ საგზურს გამოკრა ხელი. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ლიგის თასის მფლობელი კლუბი ამ ტურნირში მომავალ წლამდე ვერ ითამაშებს. გულშემატკივრების ხულიგნური გამოხტომების გამო, „პარი სენ ჟერმენი" ლიგის თასიდან ერთი წლით მოიკვეთა.

კლუბის პრეზიდენტმა **შარლ ვილნევმა** ორ გამოცდილ ნახევარმცველს, **ლუდოვიკ ჟიულისა** და **კლოდ მაკელელეს** გაუფორმა კონტრაქტი. ფრანგი მიმომხილველების სიტყვებით, ჟიულიმ პარიზულ კლუბს ღიმილი დაუბრუნა, მაკელელემ კი — ამბიცია.

პრეზიდენტ ვილნევსა და მთავარ მწვრთნელ **პოლ ლე გენს** შორის, უთანხმოებებიც სუფევს. მაგალითად, მოსიე ვილნევმა რენელი ჯიმი ბრიანის ტრანსფერისათვის 10 მილიონი ევროს გამოყოფაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, სიამოვნებით დათანხმდა **მატეა კეუმანთან** საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას. გადაწყვეტილია „ლე მანის" საყრდენი ნახევარმცველის, **სტეფან სესენიონის** შეძენაც. შარშანდელი სეზონის გათვალისწინებით, პარიზელებს მოკრძალებული ამოცანები აქვთ. ლე გენი ამბობს, რომ ის ათეულში მოსახვედრად იბრძოლებს. თუ გუნდი ძლიერ თავდამსხმელსაც შეიძენს, შეუძლია, ევროპულ საგზურზეც იოცნებოს.

დებიუტანტებს შორის, პირველ ლიგაში დარჩენის საუკეთესო შანსი „ნანტს" აქვს. ნანტელებმა თავდასხმა „ვერდერის" ყოფილი თავდამსხმელით, **ივან კლასნიჩით** გააძლიერეს. გაუჭირდება „ჰავრს", რომელმაც საუკეთესო ფორვარდი, **გიიომ ოარო** „პარი სენ ჟერმენში" გაყიდა. ამ უკანასკნელმა შარშანდელ სეზონში 28 გოლი გაიტანა და დიდწილად განაპირობა მისი გუნდის უმაღლესში აღზევება. კიდევ უფრო ნაცრისფრად მოსჩანს ღარიბი „გრენობლის" მომავალი. გუნდის მთელი იმედები თავდამსხმელ **დანიელ მორეირას** უკავშირდება, რომელმაც გასულ სეზონში „რენის" შემადგენლობაში 39 გოლი შეაგდო.

გასულ სეზონში, „ლიონს" ოქროს მედლების დაუფლება ძალიან გაუჭირდა. მან „ბორდოს" მხოლოდ ორი ქულით გაუსწრო. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ზედიზედ მერვე ტიტულის მოპოვება კიდევ უფრო ძნელი იქნება.

ინგლისის სუპერთასი

# მანჩესტერი თუ პორტსმუთი?

## იუნაიტედი მეცამეტედ ბოლო ცხრამეტ წელიწადში, პორტსმუთი პირველად 1949 წლის შემდეგ

„მანჩესტერ იუნაიტედს" ორი ლიდერი, **კრისტიანო რონალდო** და **უეინ რუნი** დააკლდება. კრისტიანომ გასულ სეზონში 42 გოლი გაიტანა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, კოჭის ოპერაცია გაიკეთა და შვებულება გამოიწერა. ის ორი თვე ვერ ითამაშებს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ, ფეხბურთელმა დაადასტურა, რომ „იუნაიტედში" რჩება. ამით წერტილი დაესვა სპეკულაციებს „რეალში" რონალდოს მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ.

რუნი და **მაიკლ ქერიკი** ვირუსის გამო ვერ ითამაშებენ. მანჩესტერელი ექიმები ამბობენ, რომ ფეხბურთელები ნიგერიაში ყოფნისას დაავადდნენ. სხვათა შორის, ნიგერიული ტურნეს დროს, „იუნაიტედი" „პორტსმუთს" შეხვდა და 2:1 დაამარცხა. შინ დაბრუნებისას, რუნიმ და ქერიკმა თავი შეუძლოდ იგრძნეს. ექიმებს წარმოდგენა არ აქვთ, რამდენი ხანი დასჭირდება მათ განკურნებას.

**სერ ალექს ფერგიუსონს** თავდასხმაში პრობლემები შეექმნება. რუნისა და რონალდოზე უკვე მოგახსენეთ. **ლუი საა** ფორმაშია არაა. მწვრთნელის განკარგულებაში მხოლოდ **კარლოს ტევესია**. სწორედ ტევესმა გაუტანა „პორტსმუთს" გამარჯვების გოლი ნიგერიულ მატჩში. ფერგიუსონი: *„თავდამსხმელების ავადმყოფობა დიდი თავსატეხია. უეინს პრემიერლიგის პირველი ტურები გაუცდება. ლუის მომავალი გაურკვეველია. მან შესაძლოა, სხვა კლუბს მიაშუროს. ამ ეტაპზე ფორვარდების მწვავე ნაკლებობას განვიცდით."*



სერ ალექს ფერგიუსონი ჰარი რედნაპისათვის სამაგიეროს გადახდას აპირებს

„პორტსმუთს" ძირითად შემადგენლობაში ეყოლება **პიტერ კრაუჩი**. **ჰარი რედნაპმა** „ლივერპულის" ყოფილი თავდამსხმელი 11 მილიონ გირვანქად შეიძინა, რაც კლუბის ისტორიაში სარეკორდო თანხაა. კრაუჩს პარტნიორობას გაუწევს **ჯერმეინ დეფო**. პიტერს „ქომიუნითი შილდთან" კარგი მოგონებები აკავშირებს. ორი წლის წინ, „ჩელსი"-„ლივერპულის" მატჩისას (1:2) მან გადამწყვეტი გოლი შეაგდო.

ეს გუნდები 25 აგვისტოს კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს. ამჯერად პრემიერლიგის კალენდარულ მატჩში. თამაში პორტსმუთის „ფრეტონ პარკზე" გაიმართება. „იუნაიტედს" საშუალება მიეცემა, შური იძიოს გასულ სეზონში ნაწვნევი მარცხის გამო. რედნაპის შეგირდებმა „მანჩესტერს" ასოციაციის თასის მეოთხედფინალში (რომელიც მარტში გაიმართა) მინიმალური ანგარიშით ასიამოვნეს და ცხრა წლის წინანდელი შედეგის გამეორების საშუალება არ მისცეს.

გასულ სეზონში, „პორტსმუთმა" ასოციაციის თასი 1939 წლის შემდეგ პირველად მოიგო. ფინალურ მატჩში, მათ „კარდიფ სიტი" დაამარცხეს (1:0). „მანჩესტერ იუნაიტედი" ქომიუნითი შილდისათვის ბოლო 19 წელიწადში მე-13-დ იბრძოლებს, „პორტსმუთი" კი პირველად შორეული 1949 წლის შემდეგ. იმასაც შეგახსენებთ, რომ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მატჩის არბიტრი **მარკ კლეტენბურგი პიტერ უოლტონით** შეცვალა. კლეტენბურგი დიდი ვალების ქონის გამო დაიწუნეს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კრისტიანო რონალდოსთან

# რეალი და მანჩესტერი ერთმანეთს გადავკიდე

## მას სამეფო კლუბში თამაშის იმედი არ დაუკარგავს



გუშინ პორტუგალიურ "აბოლაში" კრისტიანო რონალდოს ინტერვიუ გამოქვეყნდა. მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავის გულახდილი განცხადების წყალობით ცნობილი გახდა, რომ წლევანდელი საპნის ოპერა დასრულებულია. კერძოდ, რონალდოს მადრიდის "რეალში" გადასვლა გამოირიცხა. კრისტიანომ პირადად თქვა, "მანჩესტერში" ვრჩები და ახალი ტიტულების მოპოვებას შევეცდებიო.

**- რამდენიმე დღის წინ სერ ალექს ფერგიუსონმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, კრისტიანო რონალდოს საკითხი დახურულია, ის "მანჩესტერში" ითამაშებსო. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?**

- მე და ფერგიუსონმა დიდი ხნის განმავლობაში ვისაუბრეთ. მან მე მომისმინა, მე კი მის მოსაზრებებს გავეცანი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საკამათო საკითხი იყო, ბოლოს საერთო ენა მაინც გამოვნახეთ. მოკლედ, გადაწყდა, რომ მომავალ სეზონს "მანჩესტერში" გავატარებ. იმედია, ამით ყოველგვარ მითქმა-მოთქმასა და სპეკულაციას წერტილი დაესმება. ამიერიდან ვინც იტყვის, რომ კრისტიანო რონალდო მადრიდის "რეალში" შეიძლება გადავიდეს, მატყუარა იქნება. ახალი სეზონიდან ისევ "მანჩესტერის" ღირსებას დავიცავ. ბევრი ამბობს, რომ "იუნაიტედში" ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე და "ოლდ ტრეფორდზე" ბოლომდე არ დავიხარჯები. ეს სრული სისულელეა. როგორც ყოველთვის, ჩემს კლუბს მაქსიმალურ სარგებელს მოვუტან. სხვანაირად არ შემიძლია. როცა მოედანზე გავდივარ, შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამოვამჟღავნო.

**- თქვენი აზრით, ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობას როგორი განწყობა დაეუფლება?**

- ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემ გამო ამხელა აჟიოტაჟი და სკანდალი ატყდა: გულწრფელად გითხრათ, სატრანსფერო მოლაპარაკება ჩემ მიერ იყო ინსპირირებული, რადგან პირველად სწორედ მე ვთქვი, რომ მადრიდის "რეალში" თამაში მსურდა. ამით გახარებულმა ესპანელმა საფეხბურთო ფუნქციონერებმა "მანჩესტერს" ჩემი გაყიდვა შესთავაზეს. ინგლისიდან მათ უარი მიიღეს და შემდეგ თანხა გაზარდეს. მოკლედ, მართლაც მთელი სერიალის მომსწრენი გავხდით. თუ ვინმეს გული დავწყვიტე, ბოდიშს ვუხდი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მადრიდის "რეალი" ბრძოლაში მე გამოვიწვიე. პასუხისმგებლობას ვგრძნობ და იმედს ვიტოვებ, რომ ყველა კარგად გამიგებს.

**- სიმართლე გითხრათ, ცოტა გაუგებარია ასე რატომ ღელავთ.**

- იმიტომ, რომ ჩემ გამო მსოფლიოს ორი საუკეთესო კლუბი დაუპირისპირდა ერთმანეთს. "რეალის" ხელმძღვანელობის მიმართ უამრავი სალანძღავი სიტყვა დაიხარჯა. ამ პირობებში შეუძლებელია, თავს უხერხულად არ ვგრძნობდე. სამეფო კლუბი და „მანჩესტერი" ერთმანეთს გადავკიდე. არ ვიცი, რა უნდა ვთქვა. იმედია, მადრიდელები ნაწყენი არ იქნებიან. მე გულწრფელად ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაში მსურს. უბრალოდ, სურვილს ყოველთვის ვერ აისრულებ.

**- მადრიდის "რეალში" გადასვლის სურვილი პირველად ჩემპიონთა ლიგის ფინალის დასრულების შემდეგ გამოთქვით. ეს ნაბიჯი რატომ გადადგით?**

- იმიტომ, რომ წინა დღით ჩემს მენეჯერს ველაპარაკე. მან მითხრა, მადრიდელებს შენთან მოლაპარაკების დაწყება სურთო. შეიძლება ითქვას, გული მომეცა, გავთამამდი და ხმამაღლა განვაცხადე, "ოლდ ტრეფორდიდან" "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლა მინდა-მეთქი. ბუნებრივია, "მანჩესტერის" ხელმძღვანელობა გულხელდაკრეფილი არ ყოფილა. ისინი მიხვდნენ, რომ კლუბის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს კარგავდნენ და პირობების გაუმჯობესებაზე დაიწყეს ლაპარაკი. მიუხედავად ამისა, ბოლო მომენტამდე ვიმედოვნებდი, რომ მადრიდში აღმოვჩნდებოდი.

**- "მანჩესტერიდან" წამოსვლა ასე რატომ გინდოდათ?**

- არ მინდა, ისე გაიგოთ, თითქოს "იუნაიტედში" ცუდად ვგრძნობდი თავს და თანახმა ვიყავი, კლუბი ნებისმიერ ფასად გამომეცვალა. სულაც არა. იმთავითვე ვამბობდი, "ოლდ ტრეფორდიდან" მხოლოდ იმ შემთხვევაში ავიბარგები, თუ "რეალში" ვითამაშებ-მეთქი. სამეფო კლუბში ასპარეზობა რამდენიმე მიზეზის გამო მსურდა. ჩემი აზრით, "მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად ფაქტობრივად ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება განსაკუთრებული წარმატება იყო და ვიგრძენი, რომ ერთი ციკლი ამოვწურე. მინდოდა, ჩემი შესაძლებლობები სხვა ფრონტზე გამომეცადა. "რეალი" აბსოლუტურად განსხვავებული ყაიდის ფეხბურთს თამაშობს და ვფიქრობდი, რომ ესპანურ გრანდს იოლად შევეგუებოდი. მოკლედ, ახალი თავგადასავლები მჭირდებოდა. ამისათვის, "რეალში" გადასვლა საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა. სამწუხაროდ, ბრიტანელებმა ძალიან ბევრი დაბრკოლება შექმნეს და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ კონტრაქტი არ გაფორმებულიყო. მათ ადგილზე ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდი. "მანჩესტერი" მსოფლიოს ერთ-ერთი უპირველესი გრანდია და წამყვანი მოთამაშის დაკარგვა არ უნდოდა. ეს ის შემთხვევა იყო, როცა თანამედროვე ფეხბურთში გამეფებული წესრიგი დაირღვა. თითქოს ორივე მხარე დაუშვებელი და მიუღებელი მეთოდებით იბრძოდა. ასე იყო თუ ისე, საპნის ოპერა დასრულდა. სულ მცირე, ერთი წელი ისევ "ოლდ ტრეფორდზე" ვარ.

**- მიმომხილველები იმასაც ამბობენ, რომ სამეფო კლუბი არა მარტო ტრადიციული და ლამაზი ფეხბურთის გამო, არამედ მრავალმილიონიანი კონტრაქტისთვისაც აირჩიეთ.**

- ფულის შოვნა რომ დომოდა, "მანჩესტერიდან" წამოსვლაზე ლაპარაკს არ დავიწყებდი. მერწმუნეთ, ეს გუნდი არაჩვეულებრივ ხელფასს მიხდის. აქ მეფესავით ვარ და ფულზე დახარბებული რომ ვყოფილიყავი, თავს არ ავიტკივებდი, მშვიდ ცხოვრებას გავაგრძელებდი და ჯიბეს გავისქელებდი. მაგრამ მე ახალგაზრდა და ამბიციური ფეხბურთელი გახლავართ. მიუხედავად იმისა, რომ მანჩესტერში დავრჩი, ახლაც მიმაჩნია, წინსვლისთვის კლუბის გამოცვლა მჭირდებოდა. იმედია, ჩემს კარიერას სერიოზული დარტყმა არ მიადგება. "სანტიაგო ბერნაბეუზე" პირველივე სეზონში ფენომენალურ წარმატებებს მივაღწევდი. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

**- ხომ არ გეშინიათ, რომ მანჩესტერელი გულშემატკივრები ცუდად მიგიღებენ?**

- არა. მე არაფრის მეშინია, თუმცა საამისო შესაძლებლობა მართლაც არსებობს. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივართა ერთი ნაწილი ძალიან გაბრაზებული იქნება და როგორც კი დამინახავს, საყვედურებით ამავსებს, თუმცა "მანჩესტერის" ფანების აბსოლუტური უმრავლესობა გამიგებს და მხარში დამიდგება. მე არაფერი დამიშავებია, უბრალოდ, ჩემი ცხოვრების უკეთესად მოწყობას ვცდილობდი. ეჭვი არ მეპარება, გართულებული ურთიერთობები ისევ მალე დალაგდება და ჩემსა და გულშემატკივრებს შორის არაჩვეულებრივი დამოკიდებულება დამყარდება.

**- "რეალში" გადასვლის იმედი საბოლოოდ დაკარგეთ?**

- თვალთმაქცი არასდროს ვყოფილვარ და არც ახლა ვაპირებ ვინმეს მოტყუებას. "რეალში" გადასვლის სურვილი არ დამიკარგავს. დარწმუნებული ვარ, მომავალი სეზონის მიწურულს სატრანსფერო მოლაპარაკებები განახლდება და ბოლოს და ბოლოს, "სანტიაგო ბერნაბეუზე"აღმოვჩნდები. არ ვიცი, შეიძლება ბევრს ვაწყენინო, მაგრამ "რეალში" თამაში ჩემი ოცნებაა.

**- გასაგებია, რომ სერ ალექს ფერგიუსონისთვის შეუცვლელი ფეხბურთელი ხართ. თქვენმა გოლებმა გასულ სეზონში "იუნაიტედს" დაუჯერებელი გამარჯვებები მოუტანა, მაგრამ ხელშეუხებელი მოთამაშე არავინაა. ძალიან მაინტერესებს, სერ ალექს ფერგიუსონმა მხოლოდ სპორტული მოტივების გამო არ გაგასხვისათ თუ სხვა მიზეზებიც ჰქონდა?**

- არ ვიცი, რა მიზეზზე ლაპარაკობთ. ფერგიუსონი ყოველთვის ამბობდა და ალბათ, ახლაც გეტყვით, რომ კრისტიანო რონალდოს გარეშე მუშაობა თანამედროვე "მანჩესტერში" ვერ წარმოუდგენია. არ ვიცი, ასეთი ვინ ვარ, მაგრამ სერ ალექსი მართლაც საოცრად მაფასებს. მართლა ვერ ვხვდები, სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო. არა მგონია, ჯიუტობისა და ნიშნის მოგების გამო ამდენი პრობლემა შეექმნა. სერ ალექსს კლუბის კეთილდღეობა აღელვებს და მიიჩნევს, რომ "მანჩესტერი" რონალდოთი და "მანჩესტერი" რონალდოს გარეშე, ორი აბსოლუტურად განსხვავებული გუნდია. ასეთი მაღალი შეფასებისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

**- როგორც ვხვდები, "რეალში" გადასვლაზე ხელი არ ჩაგიქნევიათ. ბრძოლის განახლებას როდისთვის გეგმავთ?**

- მე არავის ვებრძვი, არც ბრძოლის ობიექტი ვარ. უბრალოდ, ფეხბურთელი გახლავართ და ვცდილობ, სასურველი კლუბი შევარჩიო. მადრიდის "რეალი" იმდენად მომწონს, რომ ამ გუნდში გადასვლას აუცილებლად შევეცდები. რაც მთავარია, ძალიან ახალგაზრდა ვარ. დროს ნაყოფიერად თუ გამოვიყენებ, ძალიან ბევრ რამეს მოვასწრებ.

**- "რეალმა" თქვენ ნაცვლად რაფაელ ვან დერ ვაარტი იყიდა. ჰოლანდიელს ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამით სამეფო კლუბის მესვეურებმა თქვენზე სამუდამოდ ჩაიქნიეს ხელი?**

- ჯერ ერთი, მე და ვან დერ ვაარტი ერთი და იმავე ამპლუის ფეხბურთელები არ ვართ. და მეორე, რაფაელი ფეხბურთის ღმერთი რომ იყოს, სამეფო კლუბში მოხვედრის შანსს მაინც არ დავკარგავ. დიდი ოცნების შესასრულებლად ძალიან ბევრს ვიმუშავებ. როცა ასეთი მოტივირებული ხარ, სურვილს აუცილებლად აისრულებ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### ბაიერნი: სამკლაური ვან ბომელს მოარგეს

სპეკულაციებს ბოლო მოეღო. "ბაიერნის" კაპიტანი **მარკ ვან ბომელი** გახდა. ეს ამბავი პრესას თავად **იურგენ კლინსმანმა** გაანდო: "*არჩევანი ვან ბომელზე შევაჩერეთ. ის თავიდანვე სერიოზული და რეალური კანდიდატი იყო. მას შემდეგ, რაც ივნისის ბოლოდან საწვრთნელ პროცესში ჩავებით, დავრწმუნდი, რომ ვან ბომელი ამ როლს იმსახურებდა. იმსახურებდა იმიტომ, რომ ნამდვილი ლიდერია და ამ პერიოდში ეს ნათლად გამოჩნდა*".

31 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი ესტაფეტას ლეგენდარული **ოლივერ კანისგან** აიღებს, რაც მისთვის დამატებითი პასუხისმგებლობა იქნება. ალბათ, ნაწყენი დარჩებოდა ფრანგი მარჯვენა მცველი **ვილი სანიოლი**, რომელიც კაპიტნად საკუთარ თავს მოიაზრებდა.

ვან ბომელი "ბაიერნში" 2006 წელს, "ბარსელონადან" გადავიდა, მანამდე კი, 1999-დან 2005 წლამდე, "ეინდჰოვენში" თამაშობდა. მშობლიურის გარდა, ის გერმანულ, ინგლისურ და ესპანურ ენებსაც ფლობს.

### რეიესი ბენფიკაში

"ატლეტიკომ" **ხოსე ანტონიო რეიესი** "ბენფიკაში" გაანათხოვრა. არენდა ერთწლიანია. ამას გარდა, მომავალ წელს "არწივებს" ფეხბურთელის საბოლოო გამოსყიდვაც შეეძლებათ. გარიგების მიხედვით, პორტუგალიურმა გრანდმა რეიესის სატრანსფერო უფლების 25 პროცენტიც მიიღო.

"*მოვედი აქ, რათა ტიტულები მოვიგო. "ბენფიკა" დიდი კლუბია. ბოლო დროს გუნდში არა ერთი მაღალი კლასის მოთამაშე მოვიდა. მინდა დავამტკიცო, რომ "ბენფიკამ" ნდობა ტყუილად არ გამომიცხადა*" - უთხრა რეიესმა პორტუგალიელ ჟურნალისტებს.

### პალოპი და კანუტე ორი კვირით

"სევილიას" მეკარე **ანდრეს პალოპმა** ჰოლანდიური შეკრების დროს ტრავმა მიიღო. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფეხბურთელს რეაბილიტაციისთვის ორი კვირა დასჭირდება. მაგრამ ეს ანდალუსიელთა ერთადერთი დანაკლისი არ არის. კუნთი გაეჭიმა და ლაზარეთში მოხვდა "სევილიას" მთავარი დამრტყმელი ძალა **ფრედერიკ კანუტეც**. ექიმების დასკვნით, მასაც ორკვირიანი მკურნალობა დასჭირდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ესპანეთის ჩემპიონატი სამ კვირაში იწყება, პალოპსა და კანუტეს მზადების დასკვნითი ეტაპისთვის მხოლოდ 7 დღე რჩებათ...

### მიხაილოვიჩი: მოურინიო მანჩინის ხალხს იცილებს

**სინიშა მიხაილოვიჩი** გამოჩნდა. **რობერტო მანჩინის** ყოფილი ასისტენტი უმუშევარია და მეგობრის დასაქმებას ელის, რათა ისევ მასთან ერთად იმუშაოს. მანამდე კი სინიშამ "ინტერში" მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა. რა თქმა უნდა, მთავარი თემა **ჟოზე მოურინიო** და მისი პოლიტიკა იყო. მიხაილოვიჩმა საინტერესო კომენტარი გააკეთა. მისი აზრით, "ნერაძურის" ახალ მწვრთნელს **დეიან სტანკოვიჩის** გაყიდვა უნდა, რადგან ამ უკანასკნელმა მანჩინის "ინტერიდან" გაშვებას მხარი არ დაუჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ლეგენდა

# სერ ბობი რობსონი: ვიცი, რომ ვკვდები

ლეგენდარულმა ინგლისელმა მწვრთნელმა **სერ ბობი რობსონმა** განაცხადა, რომ ნელ-ნელა მარცხდება სიმსივნესთან ბრძოლაში, მაგრამ მდგომარეობის დროებით გაუმჯობესების იმედს მაინც არ კარგავს. რობსონი დაავადებას 1991 წლიდან ებრძვის, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ ისეთი გუნდების გამარჯვებაში დაედო ლომის წილი, როგორებიც არიან "პორტუ" და "ბარსელონა".

"ფულჰემის" ყოფილ ფორვარდს გასულ წელს საშინელი სიმართლე უთხრეს: სიმსივნის მეტასტაზებმა ფილტვები დაფარა და მკურნალობა კიდევ უფრო გაძნელდაო. 75 წლის რობსონმა აღნიშნა, რომ ეს ალბათ მისი ბოლო გაბრძოლება იქნება დაავადებასთან. თანაც, "ნიუკასლის" ყოფილი მწვრთნელი გვარწმუნებს, რომ დაავადებას ამ ქვეყანაზე მისი ბოლო დღეების "დამსხვრევის" უფლებას არ მისცემს.

*"ველოდი იმას, რაც მითხრეს. ვცდილობ, მაქსიმალური სიამოვნება მივიღო იმ დროით, რაც დამრჩა. არ მეგონა, თუ ამდენ ხანს გავძლებდი. ეს ჩემი ექიმებისა და მათი საქმისადმი დამოკიდებულების წყალობით მოხდა. ამჟამად მდგომარეობა სტაბილურია და ბოლო ქიმიოთერაპიული მკურნალობის შემდეგ არ გამწვავებულა. მკურნალობამ შეაჩერა სიმსივნური მეტასტაზების ზრდა. მალე კიდევ გამაშუქებენ. მე მოვკვდები უფრო ადრე, ვიდრე გვიან. ყველა ადამიანი მოკვდავია და მე დამიდგა დრო, ვისიამოვნო ყოველი დარჩენილი წუთით. სიკვდილზე სულაც არ ვფიქრობ და ჩემი დიდი პრობლემა დღეს არის ძველი, არასაკმარისად ნამკურნალები ლარინგიტი"*, - აღნიშნა რობსონმა The Sun-თან ინტერვიუში.

რობსონის საერთო მდგომარეობა, ხასიათი, ცხოვრების სტილი არ შეცვლილა ჯანმრთელობისგან გამოწვეული პრობლემების მიუხედავად. პირიქით, ადამიანმა, რომელმაც 1981 წელს "იფსვიჩ თაუნს" ევროპაში გაამარჯვებინა, 500 000 გირვანქა სტერლინგი გადარიცხა თაინსაიდის სიმსივნესთან ბრძოლის ფონდში.

*"არ ვაპირებ გულხელდაკრეფილი სახლში ჯდომას და იმაზე ფიქრს, რა მოხდება და რა არა. ყოველთვის მიმძიმდა ჩემთვის ძვირფასი ადამიანებისთვის რაიმეზე უარის თქმა. ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ უარი უფრო ხშირად უნდა მეთქვა. ახლა კი სულ სხვა სიტუაციაა"*, - აღნიშნა სერ ბობი რობსონმა.

საოცარია, ასეთმა მძიმე დაავადებამ სულიერად როგორ გააძლიერა ეს ადამიანი.

**დავით ჩუბინიძე**

## TV სპორტი

### 9 აგვისტო. შაბათი

#### I არხი

08:00 პეკინი 2008 (LIVE).
11:00 პეკინი 2008. სპორტული გადაცემა.
11:30 პეკინი 2008 (LIVE).
12:15 პეკინი 2008 (LIVE).
15:15 პეკინი 2008 (LIVE).
16:00 პეკინი 2008. სპორტული გადაცემა.
16:30 პეკინი 2008 (LIVE).
18:15 პეკინი 2008 (LIVE).
21:00 პეკინი 2008. სპორტული თოქ-შოუ.

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

09:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
10:00 პეკინი 2008. კრივი. 75 კგ. 81 კგ. წინასწარი ბრძოლები (LIVE).
11:40 პეკინი 2008. ხელბურთი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. რუსეთი-კორეა (LIVE).
13:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:35 პეკინი 2008.
13:55 პეკინი 2008. ძიუდო. ქალები - 48 კგ. კაცები - 60 კგ. მე-3 ადგილისთვის. ფინალები (LIVE).
15:30 პეკინი 2008.
15:55 პეკინი 2008. კალათბურთი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. აშშ-ჩეხეთი (LIVE).
17:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:10 პეკინი 2008. კალათბურთი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. რუსეთი-ლატვია (LIVE).
20:00 პეკინი 2008. პლაჟის ფრენბურთი. წინასწარი ეტაპი (LIVE).
20:55 პეკინი 2008. ფეხბურთი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. აშშ-იაპონია.
22:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-მარსელი (LIVE).
00:55 პეკინი 2008. ხელბურთი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. უნგრეთი-შვედეთი.
02:10 პეკინი 2008. ველოსპორტი (შოსე). კაცები. ჯგუფური რბოლა.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 მძლეოსნობა.
07:55 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. კვალიფიკაცია (LIVE).
10:15 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
10:55 პეკინი 2008. ტყვიის სროლა (LIVE).
11:55 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. კვალიფიკაცია (LIVE).
14:15 პეკინი 2008.
15:00 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
14:55 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. კვალიფიკაცია (LIVE).
18:10 პეკინი 2008. კალათბურთი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. რუსეთი-ლატვია (LIVE).
20:05 პლაჟის ფეხბურთი.
21:15 პეკინი 2008.
22:15 პეკინი 2008. ცურვა.
01:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ატ. პარანაენსე (LIVE).
03:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-ვოლფსბურგი.
04:45 სპორტდოსიე.
05:10 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
05:55 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები (LIVE).

#### EUROSPORT

06:00 პეკინი 2008. ძალოსნობა. ქალები. 48 კგ (LIVE).
06:30 პეკინი 2008. ტყვიის სროლა. 10 მ. ქალები. ფინალი (LIVE).
06:45 პეკინი 2008. ძალოსნობა. ქალები. 48 კგ (LIVE).
08:45 ოლიმპიური ამბები.
08:00 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. კვალიფიკაცია (LIVE).
10:00 ოლიმპიური ამბები.
10:15 პეკინი 2008. ველოსპორტი (შოსე). კაცები. ჯგუფური რბოლა (LIVE).
11:00 ოლიმპიური ამბები.
11:15 პეკინი 2008. ველოსპორტი (შოსე). კაცები. ჯგუფური რბოლა (LIVE).
13:15 პეკინი 2008. აკადემიური ნიჩბოსნობა. წინასწარი ეტაპები (LIVE).
14:30 პეკინი 2008. ცურვა. წინასწარი ეტაპები (LIVE).
17:30 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. კვალიფიკაცია (LIVE).
18:00 პეკინი 2008. ფრენბურთი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. იაპონია-აშშ (LIVE).
19:00 მისია - პეკინი (LIVE).
19:15 პეკინი 2008. ფრენბურთი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. იაპონია-აშშ (LIVE).
20:00 პეკინი 2008. ცურვა. წინასწარი ეტაპები.
21:30 პეკინური ექსპრესი
22:30 მისია - პეკინი (LIVE).
22:45 პეკინი 2008. ცურვა. წინასწარი ეტაპები.
00:15 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. კვალიფიკაცია.
01:00 პეკინური ექსპრესი
02:00 პეკინი 2008. ველოსპორტი (შოსე). კაცები. ჯგუფური რბოლა.
03:15 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. კაცები. კვალიფიკაცია.
04:45 პეკინი 2008. ცურვა. წინასწარი ეტაპები.
05:55 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები (LIVE).

### 10 აგვისტო. კვირა

#### I არხი

08:00 პეკინი 2008 (LIVE).
11:00 პეკინი 2008. სპორტული გადაცემა.
11:30 პეკინი 2008 (LIVE).
12:15 პეკინი 2008 (LIVE).
15:15 პეკინი 2008 (LIVE).
16:00 პეკინი 2008. სპორტული გადაცემა.
16:30 პეკინი 2008 (LIVE).
18:15 პეკინი 2008 (LIVE).
21:00 პეკინი 2008. სპორტული თოქ-შოუ.

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

09:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
09:55 პეკინი 2008.
10:25 პეკინი 2008. წყალში ხტომა. ქალები. 3 მ. სინქრონული ხტომები. ფინალი (LIVE).
11:25 პეკინი 2008. ძალოსნობა. ქალები. 53 კგ (LIVE).
13:10 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. არგენტინა-ავსტრალია (LIVE).
14:55 პეკინი 2008. ძალოსნობა. კაცები. 56 კგ (LIVE).
16:45 პეკინი 2008. წყალბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. უნგრეთი-ჩერნოგორია.
17:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:10 პეკინი 2008. კალათბურთი. ჯგუფური ეტაპი. კაცები. აშშ-ჩინეთი (LIVE).
20:00 პეკინი 2008. პლაჟის ფრენბურთი. წინასწარი ეტაპი (LIVE).
20:55 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. იტალია-კორეა.
22:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ტულუზა (LIVE).
01:00 არგენტინის ჩემპიონატი. კოლონი-რივერ პლეიტი (LIVE).
02:50 პეკინი 2008. ძიუდო. ქალები - 52 კგ. კაცები - 66 კგ. მე-3 ადგილისთვის. ფინალები.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:55 პეკინი 2008. ტყვიის სროლა (LIVE).
08:55 პეკინი 2008.
09:55 პეკინი 2008. ველოსპორტი (შოსე). კაცები. ჯგუფური რბოლა (LIVE).
13:35 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
14:00 პლაჟის ფეხბურთი.
15:10 პეკინი 2008.
15:55 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. ქალები. კვალიფიკაცია (LIVE).
17:35 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
18:10 პეკინი 2008. კალათბურთი. ჯგუფური ეტაპი. კაცები. აშშ-ჩინეთი (LIVE).
20:05 პეკინი 2008. ფრენბურთი. ჯგუფური ეტაპი. კაცები.
21:55 პეკინი 2008.
23:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-პალმეირასი (LIVE).
00:45 პეკინი 2008. ფარიკაობა. ქალები. ფინალი (LIVE).
03:25 პეკინი 2008. კალათბურთი. ჯგუფური ეტაპი. კაცები.
05:30 სპორტკლუბი.
05:55 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები (LIVE).

#### EUROSPORT

07:45 ოლიმპიური ამბები.
08:00 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. ქალები. კვალიფიკაცია (LIVE).
09:15 ოლიმპიური ამბები.
09:30 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. ქალები. კვალიფიკაცია (LIVE).
11:00 ოლიმპიური ამბები.
11:15 პეკინი 2008. აკადემიური ნიჩბოსნობა. წინასწარი ეტაპები (LIVE).
12:30 პეკინი 2008. ველოსპორტი (შოსე). ქალები. ჯგუფური რბოლა (LIVE).
13:15 პეკინი 2008. აკადემიური ნიჩბოსნობა. წინასწარი ეტაპები (LIVE).
14:00 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
14:30 პეკინი 2008. ცურვა. წინასწარი ეტაპები (LIVE).
17:30 პეკინი 2008. წყალში ხტომა. ქალები. 3 მ. სინქრონული ხტომები. ფინალი (LIVE).
18:15 პეკინი 2008. კალათბურთი. ჯგუფური ეტაპი. კაცები. აშშ-ჩინეთი (LIVE).
19:00 ოლიმპიური ამბები.
19:15 პეკინი 2008. კალათბურთი. ჯგუფური ეტაპი. კაცები. აშშ-ჩინეთი (LIVE).
20:00 პეკინი 2008. ძალოსნობა. კაცები. 56 კგ (LIVE).
20:30 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. ქალები. კვალიფიკაცია.
21:30 პეკინური ექსპრესი
22:30 მისია - პეკინი.
22:45 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები.
00:00 პეკინი 2008. წყალში ხტომა. ქალები. 3 მ. სინქრონული ხტომები. ფინალი.
01:00 პეკინური ექსპრესი
02:00 პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. ქალები. კვალიფიკაცია.
03:00 პეკინი 2008. ველოსპორტი (შოსე). ქალები. ჯგუფური რბოლა.
04:00 პეკინი 2008. ცურვა. წინასწარი ეტაპები.
05:55 პეკინი 2008. ცურვა. ფინალები (LIVE).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ჰერაკლესი-ქსანტი | 0:0 |
| ინტერი-სევილია | 0:0 |
| სპარტა-მიდლსბრო | 1:6 |
| ექსელსიორი-ფეიენოორდი | 0:7 |
| აეკ-ბოლტონი | 1:0 |
| ლოკერენი-როდა | 0:1 |
| სტოკი-ოსასუნა | 2:2 |
| ლივერპული-ლაციო | 1:0 |
| აიაქსი-არსენალი | 2:3 |

#### ინგლისი

##### კონფერენსი

| | |
|---|---|
| ბაროუ-ოქსფორდი | 3:0 |

#### გერმანიის თასი

##### 1/32 ფინალი

| | |
|---|---|
| ტრირი-ჰერტა | 1:3 |
| აუე-სტ. პაული | 0:0, პენ. 5:4 |
| ფრანქფურტი-ოსნაბრიუკი | 2:0 |
| ოფენბახი-ფიურტი | 1:0 |
| მუნსტერი-ბოხუმი | 0:0, პენ. 5:6 |
| უნტერჰახინგი-ფრაიბურგი | 0:2 |

#### საფრანგეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბასტია-ანჟერსი | 0:0 |
| ბულონი-გინგამი | 2:0 |
| ბრესტი-კლერმონი | 2:2 |
| შატორუ-ტრუა | 0:1 |
| რეიმსი-აიაჩო | 1:3 |
| სედანი-ნიმი | 2:1 |
| დიჟონი-სტრასბური | 1:3 |
| მეცი-ტური | 1:0 |
| მონპელიე-ამიენი | 2:1 |

#### ჰოლანდია

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ვეენდამი-კამბური | 0:3 |
| დენ ბოში-ვაალვიკი | 1:1 |
| დორდრეხტი-ეინდჰოვენი | 2:0 |
| ექსელსიორი-ტელსტარი | 0:1 |
| ფორტუნა-ემენი | 1:2 |
| ჰაარლემი-ტოპ ოსი | 2:1 |
| ჰელმონდი-აპელდოორნი | 1:2 |
| ომნივორლდი-როსენდალი | 1:2 |
| ცვოლე-მაასტრიხტი | 0:0 |

#### შვედეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ჰაკენი-კვიდინგი | 1:1 |

#### ფინეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ატლანტისი-ვიიკინგიტი | 2:2 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| ლინცერი-რიდი | 2:1 |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ავსტრია (ლ)-ტიროლი | 2:3 |
| ავსტრია A-ფოკლაბრუკი | 1:1 |
| ზალცბურგი A-ადმირა | 2:1 |
| სტ. პოლტენი-ლუშტენაუ | 3:0 |
| გრიოდიგი-ლეობენი | 2:2 |

#### შვეიცარია

##### ჩელენჯლიგა

| | |
|---|---|
| ფონდსი-ვინტერტური | 0:2 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| ბრეი-სლიგო | 0:0 |
| კორკი-ბოჰემიანსი | 0:1 |
| გალვეი-უნივერსიტი | 1:2 |
| შემროკი-ფინ ჰარპსი | 0:2 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| დ. სტრედა-კოშიცე | 1:3 |

#### პოლონეთი

| | |
|---|---|
| ლეხი-ბელხატოვი | 2:3 |
| ლეგია-პოლონია | 2:2 |

#### უკრაინა

| | |
|---|---|
| დნიპრო-შახტარი | 0:0 |

#### უნგრეთი

| | |
|---|---|
| ჰონვედი-დიოშდიორი | 3:1 |

#### რუმინეთი

| | |
|---|---|
| პოლიტეხნიკა-სტიაუა | 0:2 |
| ვასლუი-გლორია (ბის) | 1:0 |

#### ბრაზილია

| | |
|---|---|
| კრუზეირო-ინტერნასიონალი | 2:0 |
| ფიგუერენსე-ბოტაფოგო | 1:2 |
| პალმეირასი-ვიტორია | 3:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ისტორია

# ცეცხლთან თამაში

**ფორმალურად პეკინის თამაშები 24 მარტს დაიწყო, როცა საბერძნეთის ოლიმპიაზე ტრადიციულად მზის სხივებით აანთეს ოლიმპიური ცეცხლი. "ლელო" მთავარი ოლიმპიური სიმბოლოს გადაადგილების ისტორიაზე მოგითხრობთ.**



## ოლიმპიიდან ბერლინამდე

ცეცხლმა და ოლიმპიურმა თამაშებმა თანაცხოვრება ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან დაიწყეს. ძველ ოლიმპიაში ჩირაღდნებით განათებულ ტაძრებთან ათლეტები, მოგზაურები და გულშემატკივრები ღმერთებს მსხვერპლს სწირავდნენ. ამ ჩირაღდნების შუქზე იმართებოდა ორთაბრძოლები, მხატვრებისა და სკულპტორების კონკურსები, იღებოდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ერთ-ერთ გამარჯვებულ ოლიმპიელს მთავარი სამსხვერპლო ცეცხლის დანთების პატივს ანიჭებდნენ.

რა თქმა უნდა, XX საუკუნეში ოლიმპიურმა ჩირაღდანმა დაკარგა თავისი ღრმა რელიგიური აზრი. თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობაში ცეცხლი, ხუთი რგოლი ან თეთრი მტრედი, პირველ რიგში სამყაროს გაერთიანების სიმბოლოებად მიიჩნევიან. ისინი მოუწოდებენ სახელმწიფოებს, თავიანთი მაღალი ამბიციები მხოლოდ სპორტულ არენებზე გამოამჟღავნონ. როგორც ცნობილია, ოლიმპიაში თამაშების მსვლელობისას, ბალკანეთის სახელმწიფოებსა და მათ კოლონიებს ეკრძალებოდათ საომარი მოქმედებების წარმოება.

სწორედ ოლიმპიური ჩირაღდნის სამშვიდობო მისიაზე აკეთებდნენ აქცენტს თამაშების ძველი ტრადიციის აღდგენის მომხრეები. ესენი იყვნენ ამსტერდამის (1928) ოლიმპიადის ორგანიზატორები. იმ პერიოდში ევროპა ახალი კონფლიქტების მიჯნაზე იმყოფებოდა. ამ სიტუაციაში მშვიდობის ძველი სიმბოლოს რეანიმაცია ძალიან მახვილგონივრულ გადაწყვეტილებად მოჩანდა.

სამწუხაროდ, ოლიმპიურმა ცეცხლმა თავისი პროპაგანდისტული ფუნქციები ვერ შეასრულა. ვერ დაიფარა მსოფლიო მორიგი ომისგან. ეს ჯერ კიდევ 1936 წელს გაირკვა - ბერლინში სკანდალურად ცნობილი ოლიმპიადის წინ.

ბერლინის თამაშების წინ პირველად გაიმართა ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა. ცეცხლის მოგზაურობის იდეა, რომელმაც ერთ-ერთ უმთავრეს ოლიმპიურ ტრადიციას დაუდო სათავე, ბერლინის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს **კარლ დიმს** დაებადა. ამ უკანასკნელს ოლიმპია-ბერლინის მარშრუტზე ესტაფეტის ჩატარება, თავის დროზე ძველ საბერძნეთში გამართულმა ერთმა ღონისძიებამ უკარნახა. საქმე ეხება მორბენალი "პრომეთეების" შეჯიბრს, რომლებსაც ხელში ანთებული ჩირაღდნები ეჭირათ. ეს ტურნირი ლეგენდარული პრომეთეს პატივსაცემად ტარდებოდა.

კარლ დიმის საინტერესო ჩანაფიქრი ისე მოეწონათ მესამე რაიხის ხელმძღვანელებს, რომ მომავალი ესტაფეტა სასწრაფოდ გადააქციეს მასშტაბურ სააგიტაციო ღონისძიებად. ესტაფეტის მარშრუტი იმ ქვეყნებზე გადიოდა, რომლებიც გერმანიის გეოსტრატეგიული ინტერესების სფეროში შედიოდნენ. ჩირაღდნის მსვლელობისას გამართული ყველა საზეიმო აქცია ნაციზმის პროპაგანდას ემსახურებოდა. რა თქმა უნდა, ეს მტკივნეული დარტყმა იყო მშვიდობის ოლიმპიური სიმბოლოს პრესტიჟზე.

## ცეკვები ცეცხლის გარშემო

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დიდი შემართებით დაიწყო თავისი მთავარი სიწმინდეებისთვის შელახული ავტორიტეტის აღდგენა. საგულისხმოა, რომ მეთოდები, რომელსაც სოკ იყენებდა, თითქმის არ განსხვავდებოდა ნაცისტურისგან. ისევე როგორც ბერლინის შემთხვევაში, მთავარი საგიტაციო აქცენტი ჩირაღდნის ესტაფეტაზე გადაიტანეს. პირველი ომისშემდგომი ესტაფეტა (ლონდონის თამაშების წინ) მთლიანად მშვიდობის თემით იყო განმსჭვალული. წარმოიდგინეთ თეატრალიზებული სურათი: ესტაფეტის პირველი მონაწილე, ბერძენი **დიმიტრელისი** ჩირაღდნის ხელში აღებამდე სამხედრო ფორმას იხდის და სპორტულ კოსტუმს იცვამს. ყველა გაზეთში მისი ფოტო დაიბეჭდა, და წარწერა: *"ევროპაში მშვიდობა ბრუნდება"*.

საყოველთაო ერთიანობის იდეამ წლების განმავლობაში თავისი აქტუალობა დაკარგა. მიუხედავად ამისა, ოლიმპიური ესტაფეტის პროპაგანდული მნიშვნელობა არ შემცირებულა. მშვიდობის ქადაგების ნაცვლად, ის გრანდიოზულ სარეკლამო აქციად გადაკეთდა და ამით დიდ სამსახურს უწევდა ოლიმპიური თამაშების სპონსორებს.

ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სარეკლამო კამპანიაში, სოკ და მისი დამხმარე საორგანიზაციო კომიტეტები არ მეორდებოდნენ. ყოველთვის რაღაც ახლის მოფიქრება, რაიმე უცნაური და ორიგინალური ხერხის მოძებნა სჭირდებოდათ. და უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში, ამას ახერხებდნენ კიდეც.

სიურპრიზები 1952 წელს, ოსლოს თამაშების დროს დაიწყო. ეს იყო ზამთრის პირველი ოლიმპიადა, რომელსაც ჩირაღდნის ესტაფეტა უძღოდა წინ. მისი ორგანიზატორები დაშორდნენ ანტიკურ თემას და ყველაფერი ჩრდილოურ მანერაზე გააკეთეს. მათ უარი განაცხადეს გერმანელთა სიმპათიურ იდეაზე, რომელიც ოლიმპიის მთაზე ცეცხლის მზის სხივებით დანთებას ითვალისწინებდა. ზამთრის ცეცხლისთვის სხვა საკულტო ადგილი სჭირდებოდათ. საბოლოოდ, ოლიმპიური ცეცხლის წყარო ნორვეგიული სათხილამურო სპორტის პიონერის **სონდრე ნორჰეიმის** სახლ-მუზეუმის ბუხარი გახდა. ორიგინალური იყო ცეცხლის გადაადგილების ხერხი: მთელი საესტაფეტო გზა თხილამურებით გაიარეს.

იმავე 1952 წელს უჩვეულო იდეით გაგვაკვირვეს ჰელსინკის ზაფხულის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა. პირველად ესტაფეტის მარშრუტის ნაწილი ჩირაღდანმა თვითმფრინავით (საბერძნეთიდან შვეიცარიამდე) გაიარა.

■ ■ ■

ცეცხლის არატრადიციული გზით გადატანის იდეას 1956 წელსაც დაუბრუნდნენ. მელბურნში ცხენების შეყვანაზე დაწესებული ემბარგოს გამო, ავსტრალიური ოლიმპიადის საცხენოსნო ნაწილი სტოკჰოლმში გადაიტანეს. სპეციალურად ამ შეჯიბრებებისთვის გაიმართა მეორე ესტაფეტა. ჩირაღდანი მხოლოდ ცხენოსნებს ეპყრათ ხელთ.

ტოკიოს თამაშების (1964) საორგანიზაციო კომიტეტი დიდი აჟიოტაჟით გამოეხმაურა აზიაში ოლიმპიადის პირველად ჩატარებას და ეს მოვლენა ესტაფეტის მანამდე არნახული სიგრძით აღნიშნა - მარშრუტმა 26 065 კილომეტრი შეადგინა. საინტერესოა, რომ იმავე წელს, რამდენიმე თვით ადრე (ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიადის წინ), პირიქით, ძალიან მოკლე ესტაფეტა გაიმართა. ცეცხლი ათენიდან ვენაში თვითმფრინავით ჩაიტანეს და იქიდან სასწრაფოდ ინსბრუკში გადააგზავნეს.

1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადის ესტაფეტა ერთ დიდ სპექტაკლად გადააქციეს, რომელიც **ქრისტეფორე კოლუმბის** მოგზაურობის მოტივებზე იყო დადგმული. მარშრუტის დიდი ნაწილი ამერიკის აღმომჩენის გზას იმეორებდა. სამხრეთ ამერიკაში, მთვარის აცტეკურ პირამიდაზე ჩირაღდანმა ინდიელთა ძველ რიტუალშიც კი მიიღო მონაწილეობა.

1976 წელს ცეცხლი ასევე მოგზაურობდა სხვადასხვა კონტინენტზე. მაგრამ იმისთვის, რომ ევროპიდან ამერიკაში გადასულიყო, არა რამდენიმე კვირა (როგორც ეს 1968 წელს მოხდა), არამედ რამდენიმე წამი (!) დასჭირდა. საქმე ისაა, რომ ათენში ცეცხლის ენერგიის ნაწილი ლაზერულ სხივად გარდაქმნეს, რომელიც თანამგზავრით გაგზავნეს ოტავაში, საიდანაც ესტაფეტა ჩვეულებრივად გაგრძელდა.

1988 წელს, კალგარის ზამთრის თამაშების წინ, შესამჩნევად გაიზარდა ესტაფეტის გეოგრაფია - ცეცხლმა პოლარულ წრეში იმოგზაურა.

ზოგჯერ ოლიმპიადის ორგანიზატორები ცეცხლთან თამაშის დროს ზედმეტად ინდომებდნენ და ეს ყველაფერი გაუთვალისწინებელი და ნაღვლიანი შემთხვევებით მთავრდებოდა. იმავე 1988 წელს, სეულის ზაფხულის ოლიმპიადის გახსნაზე, თეთრი მტრედები იქამდე გაუშვეს, სანამ მთავარი ოლიმპიური ცეცხლი დაინთებოდა. რამდენიმე მტრედი, იმის ნაცვლად რომ გაფრენილიყო, დიდი ჩირაღდნის კიდეზე ჩამოჯდა. გასაგებია, რომ როგორც კი მთავარი ცეცხლი აინთო, იქვე მსხდომი ფრინველებიც დაიწვნენ. ამის შემდეგ, საზეიმო გახსნებზე ფრინველებს მხოლოდ ცეცხლის დანთების შემდეგ უშვებენ.

განსაკუთრებულად ორიგინალური იყო სიდნეიში ესტაფეტის გამართვის იდეა. ავსტრალიური ოლიმპიადის წინ ჩირაღდანმა სტიქია შეიცვალა და წყალქვეშ (!) იმოგზაურა. ეს ყველაფერი განსაკუთრებული დაივერული კონსტრუქციის მეშვეობით მოხერხდა.

## ვინ ანთებდა ცეცხლს

**ზაფხული 1936. ბერლინი.** ფრიც შილგენი, ველომრბოლი

**ზაფხული 1948. ლონდონი.** ჯონ მარკი, ველომრბოლი

**ზამთარი 1952. ოსლო.** ეიგილ ნანსენი, ნობელიის მშვიდობის პრემიის ლაურეატისა და ცნობილი მოგზაურის ფრიტიოფ ნანსენის შვილიშვილი

**ზაფხული 1952. ჰელსინკი.** ჰანეს კოლემაინენი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსნობაში

**ზამთარი 1956. კორტინა დ'ამპეცო.** გვიდო კაროლი, ოლიმპიური ჩემპიონი ციგურებით სირბილში

**ზაფხული 1956. მელბურნი.** რონ კლარკი, მსოფლიო ჩემპიონი მძლეოსნობაში (იუნიორები)

**ზაფხული 1956. სტოკჰოლმის ცხენოსანთა თამაშები.** ჰანს ვილკე, შვედეთის ნაკრების კაპიტანი ცხენოსნობაში

**ზამთარი 1960. სქვო-ველი.** კენ ჰენრი, ოლიმპიური ჩემპიონი ციგურებით სირბილში

**ზაფხული 1960. რომი.** ჯანკარლო პერისი, მძლეოსანი

**ზამთარი 1964. ინსბრუკი.** ჯოზეფ რიდერი, ოლიმპიური ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში

**ზაფხული 1964. ტოკიო.** იოსინორი საკაი, ადამიანი, რომელიც 1945 წლის 6 აგვისტოს ჰიროსიმაში, ატომური ბომბის ჩამოგდების დღეს დაიბადა.

**ზამთარი 1968. გრენობლი.** ალენ კალმა, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ფიგურულ სრიალში

**ზაფხული 1968. მეხიკო.** ენრიკეტა ბასილეო, მძლეოსანი (პირველი ქალი, რომელმაც ოლიმპიური ცეცხლი აანთო)

**ზამთარი 1972. საპორო.** ჰიდეკი ტაკადა, საპოროს მძლეოსანთა სკოლის სტუდენტი

**ზაფხული 1972. მიუნხენი.** გინტერ ზანი, მსოფლიო ჩემპიონი ველოსპორტში (იუნიორები)

**ზამთარი 1976. ინსბრუკი.** ცეცხლი ერთდროულად აანთეს იოზეფ ჰეისტმანტლმა და კრისტლ ჰაასმა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ციგაობასა და თხილამურებით სირბილში

**ზაფხული 1976. მონრეალი.** ცეცხლი ერთდროულად აანთეს სკოლის მოსწავლეებმა - სტეფანი პრეფონტენმა და სანდრა ჰენდერსონმა. არ გამართლდა ჭორი მათი დაქორწინების შესახებ

**ზამთარი 1980. ლეიკ პლესიდი.** ფსიქოლოგიის დოქტორი ჩარლზ მორგან კერი. მას ეს პატივი ესტაფეტის სხვა მონაწილეებმა დააკისრეს.

**ზაფხული 1980. მოსკოვი.** სერგეი ბელოვი, ოლიმპიური ჩემპიონი კალათბურთში

**ზამთარი 1984. სარაევო.** სანდრა დუბრავჩიჩი, ფიგურული სრიალი

**ზაფხული 1984. ლოს ანჯელესი.** რეფერ ჯონსონი, ოლიმპიური ჩემპიონი ათჭიდში

**ზამთარი 1988. კალგარი.** რობინ პერი, სკოლის მოსწავლე

**ზაფხული 1988. სეული.** სონ კი ჩუნი, ოლიმპიური ჩემპიონი მარათონში

**ზამთარი 1992. ალბერვილი.** მიშელ პლატინი და სკოლის მოსწავლე ფრანსუა-სირილ გრანჟი. მათ გაუშვეს მექანიზმი, რომელმაც ძლიერი ელექტრული ნაპერწკალი წარმოქმნა და მთავარი ჩირაღდნისკენ ცეცხლი მიიტანა

**ზაფხული 1992. ბარსელონა.** ანტონიო რებოლო, პარაოლიმპიელი მშვილდოსანი

**ზამთარი 1994. ლილეჰამერი.** სტადიონზე ცეცხლი მოთხილამურე სტეინ გრუბენმა მიიტანა, რომელიც ტრამპლინიდან გადახტა და პირდაპირ სტადიონზე დაეშვა. ცეცხლი პრინცმა ჰააკონ მაგნუსმა დაანთო.

**ზაფხული 1996. ატლანტა.** მოჰამედ ალი, ლეგენდარული მოკრივე, ოლიმპიური ჩემპიონი, პროფესიონალებს შორის მსოფლიო ჩემპიონი

**ზამთარი 1998. ნაგანო.** მიდორი იტო, ფიგურული სრიალი

**ზაფხული 2000. სიდნეი.** კეტი ფრიმანი, ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსნობაში

**ზამთარი 2002. სოლტ-ლეიკ-სიტი.** 1980 წლის ამერიკის ჰოკეის ნაკრების წევრები

**ზაფხული 2004. ათენი.** ნიკოლას კაკლამანაკისი, ოლიმპიური ჩემპიონი აფროსნობაში

**ზამთარი 2006. ტურინი.** სტეფანია ბელმონდო, 10-გზის ოლიმპიური მედალოსანი თხილამურებით სირბილში

**ზაფხული 2008. პეკინი.** ლი ნინი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში

## რითი მოგზაურობდა ოლიმპიური ჩირაღდანი

თხილამურები, თვითმფრინავი, ცხენი, ხომალდი, წყლის თხილამურები, მოტოციკლი, ლაზერის სხივი, ვერტმფრენი, თოვლმავალი, თვითმფრინავი "კონკორდი", ფრეგატი "კატალუნია", ირმის მარხილი, პარაშუტი, ინვალიდის სავარძელი, კანოე, პონი-ექსპრესი, ორთქლმავალი, მატარებელი, ძაღლის მარხილი, ციგა, "ფერარის" ბოლიდი...

გია თვალაბეიშვილი